

# ბანკი ქართულ ენასა და ლიბერატურაში

2010

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეგი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!**  
**პასუხების ფურცლის გაკენსა დაუშვებელია!**  
**ტესტის ბუკლეგი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!**

ქართული ენისა და ლიგერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ენა; II. ქართული ლიგერატურა; III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება.

I ნაწილის (ქართული ენა) №1 დავალება შემდეგნაირად უნდა შეასრულოთ: მაგალითად, თუ პირველი (1) ხაზგასმული სიტყვისათვის შეარჩიეთ ლექსიკური ერთეული, რომელიც გ) ასოთია აღნიშნული, ამ შემთხვევაში უჯრედების პირველ სტრიქონში X-ით ის უჯრედი უნდა მონიშნოთ, რომელიც „გ“ ასოს შეესაბამება. მეორე სტრიქონში X ნიშანი იმ ასოს ქვეშ უნდა დასვათ, რომელიც მეორე (2) ხაზგასმული სიტყვისათვის თქვენ მიერ შერჩეულ ლექსიკურ ერთეულს შეესაბამება და ა. შ.

თუ პასუხების ფურცელში უჯრედი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ იგი მთლიანად გააშავეთ და იმავე სტრიქონში მონიშნეთ სხვა უჯრედი.

ტესტის I ნაწილის დანარჩენი დავალებებისა და II ნაწილის (ქართული ლიგერატურა) შესრულებისათვის აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ბუკლეგში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს. **ყურადღებით გაეცანით ამ ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადაგანა პასუხების ფურცელში.**

ტესტის III ნაწილი – წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება – ორი დავალებისაგან შედგება. უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (ან №1 ან №2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: ა) **წაკითხულის გააზრება** და ბ) **წერითი დავალება**.

წაკითხულის გააზრების შესრულებისას **გაითვალისწინეთ**: თუ თქვენ აირჩიეთ დავალება №1, აღნიშვნები პასუხების ფურცელში გადაიგანეთ **საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას** (დავალება №1 – ა) წაკითხულის გააზრება), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აირჩიეთ დავალება №2, აღნიშვნები პასუხების ფურცელში გადაიგანეთ **№2 დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას** (დავალება №2 – ა) წაკითხულის გააზრება). შეგიძლიათ წაკითხულის გააზრების ყველა პასუხი ჯერ ტესტის ბუკლეგში მონიშნოთ და შემდეგ გადაიგანოთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას.

წერითი დავალების შავი ვარიანტის დასაწერად ტესტის ბუკლეგში საგანგებოდ ამისათვის გამოყოფილია რამდენიმე გვერდი (გვ. 13-15).

**ბახსოვდით**: აუცილებელია ყველა პასუხის გადაგანა პასუხების ფურცელში!  
**გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომელის პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!**

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

## I. ქართული ენა

(4) 1. ტექსტში საზგასმული სიტყვების ნაცვლად შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელია კონტექსტისათვის უფრო შესაფერისი ლექსიკური ერთეულები.

ა) განავითარებს; ბ) გამოჩეული; გ) განასახიერებს; დ) განუმეორებელი; ე) დანიშნულება; ვ) კეთილდღეობა; ზ) მნიშვნელობა; თ) სიმტკიცე; ი) უეცარი; კ) ჯანმრთელობა.

საგნობრივ სიმბოლიკაში ყვავილს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ჩინურ და იაპონურ კულტურაში კამელია საკულტო მცენარეა. ამ ქვეყნებში მისი სიმბოლური (1)შინაარსი სხვადასხვაგვარია. ჩინეთში კამელია სილამაზეს, (2)სიჯანსაღესა და სულიერ სიმხნევს (3)გამოხატავს, ხოლო იაპონიაში მწუსარების სიმბოლოა და, რატომღაც, (4)მოულოდნელ სიკვდილთან არის ასოცირებული.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები საზგასმული სიტყვების შესაბამისი ნომრების გასწვრივ მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

|    |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |
|----|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|
|    | ა                        | ბ                        | გ                        | დ                        | ე                        | ვ                        | ზ                        | თ                        | ი                        | კ                        |
| 1. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

(10) 2. ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები. ხუთ წინადადებაში თითო-თითო შეცდომაა, ხუთი წინადადება უშეცდომოა. თუ წინადადებაში შეცდომაა დაშვებული, აღნიშვნა **X** გააკეთეთ პირველი რიგის შესაბამის უჯრედში, ხოლო თუ წინადადებაში შეცდომა არაა, აღნიშვნა **X** გააკეთეთ მეორე რიგის შესაბამის უჯრედში.

|   | I                        | II                       |
|---|--------------------------|--------------------------|
|   | შეცდ.                    | უშეცდ.                   |
| 1. გიორგი მთაწმინდელი იყო XI საუკუნის გამოჩენილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე.                             | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. მან კონსტანტინოპოლში შეისწავლა ბერძნული ენა და ეზიარა ბიზანტიურ კულტურას.                                | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. გიორგი მთაწმინდელმა შეძლო წარმატებით გაძლოლოდა ივირონში მოღვაწე ქართველთა სამონასტრო ცხოვრებას.          | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება მრავალ საუკუნოვანი ქართული მწერლობის წინაშე.                        | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 5. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საეკლესიო მწერლობის თითქმის ყველა დარგის განვითარებაში.                 | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 6. უპირველეს ყოვლისა, გიორგი მთაწმინდელმა თარგმნა ის თხზულებები, რომელიც მანამდე არ არსებობდა ქართულ ენაზე. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 7. მან ბიბლიის ზოგიერთი წიგნი ხელმეორედ თარგმნა, ზოგის ხელნაწერი კი ბერძნულს შეადარა და დახვეწა.            | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

8. მისი ორიგინალური შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია ჰაგიოგრაფიული თხზულება „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“.
9. მასში ავტორმა პირველ ათონელების თავგადასავალი მოუთხრო მკითხველებს და საგანგებოდ აღნიშნა მათი ღვაწლი.
10. გარდა ამისა, იგივე ნაწარმოებში წარმოდგენილი ისტორიული მასალა ადასტურებს, რომ ივერთა მონასტერი ქართველებმა დააარსეს.

(14) 3. ტექსტში დაშვებულია სულ 11 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. *გაასწორეთ* ეს შეცდომები და ხარვეზები და *ისე გადაწერეთ ტექსტი*, რომ არც ერთი წინადადების შინაარსი არ შეცვალოთ. თუ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში არ იქნება არც ერთი შეცდომა, დამატებით მოგეცემათ 3 ქულა.

*გაითვალისწინეთ*, ერთ წინადადებაში შეიძლება შეგხვდეთ ერთზე მეტი შეცდომა ან ხარვეზი.

დიდი კატეხის ოჯახში გამოიყოფა პანტერათა სახეობა რომელსაც მიეკუთვნებიან შემდეგი ცხოველები ლომი, იაგუარი, ვეფხვი და ლეოპარდი. დიდი კატეხი მტაცებელი მხეცებია. თითოეული მათთაგანის გადარჩენის ერთადერთი პირობაა ნადირობა. ამ ოჯახის საშინლად იშვიათი წარმომადგენელია იაგუარი. სხვა დიდი კატეხის მსგავსად, ისიც შებინდებისას ნადირობს. იგი მსხვერპლის დანაკუწებს ახდენს და ძვლებიანად ჰღებავს.

იაგუარს, რომელსაც მხოლოდ სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ ტყეებში შეხვდებით დიდი საფრთხის წინაშე დგას. ამ უნიკალური სახეობის თავშესაფარი ადგილები თან და თან ჩანადრდება. სამწუხაროდ, როდესაც ვხელყოფთ ბუნებას, ამით მისი განადგურების თანამონაწილენი ვხვდებით.

(12) 4. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი სკოლის სამეურვეო საბჭომ გამოაცხადა კონკურსი: საუკეთესო ღონისძიება თემაზე – „კომპიუტერული ტექნოლოგიები თანამედროვე განათლების მიღების აუცილებელი პირობაა“. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შექმენით ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელოთ, რამდენად აქტუალურია ეს თემა;
- აღწერეთ, კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებთ;
- დაასაბუთოთ, რა მნიშვნელობა ექნება ამ ღონისძიებას უშუალოდ თქვენი სკოლისათვის.

შეარჩიეთ ოფიციალურ-საქმიანი ტექსტის სტილი. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული, უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტექსტში გამოყოფილია ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი).

***გაითვალისწინეთ:* არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!**

### შავი სამუშაოსათვის

-----

-----

-----

-----

## II. ქართული ლიტერატურა

### (3) 5. აღმზრდელები ეუბნებიან გრიგოლ ხანძთელს:

„აჰა, მოიწია ჟამი წინაისწარმეტყუელისა დავითის თქუშულისაი, რომელსა იტყვის: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? არამედ უბრალოი ხელითა და წმიდაი გულითა“. და აწ შენ გპოვა ქრისტემან უბრალოი ხელითა და წმიდაი გულითა და რაითა შენ აღხვიდე მთასა უფლისასა და დადგე ადგილსა წმიდასა მისსა შემწირველად წმიდასა და უსისხლოსა მსხუერპლსა მისსა ღირსებისა შენისათვის და სასოდ სულთა და ხორცთა ჩუნთა“.

1. *განმარტეთ*, აღმზრდელთა აზრით, რა ღირსების გამო იმსახურებს გრიგოლი მღვდლად კურთხევას (ციტირება დაუშვებელია!).
2. *დაასახელეთ*, აღმზრდელთა აზრით, ვისი ნებაა გრიგოლის მღვდლად კურთხევა.
3. *ამოიწერეთ* ხუთი სიტყვა, რომლებშიც ჩანს – აღმზრდელები იმედით ელიან გრიგოლის მღვდლად კურთხევას.

(4) **6. ნურადინ-ფრიდონი სთავაზობს ტარიელსა და ავთანდილს:**

„აწ ვინცა ვიცით უკეთე შეტყორცა საგდებელისა,  
მან ერთსა ბურჯსა გარდვაგდოთ წვერი საბლისა გრძელისა,  
მას ზედა გავლა ასრე მიხს, ვითა გარბენა ველისა,  
თქვენ ჭირად გიყო შიგანთა პოვნა კაცისა მრთელისა.  
აბჯრითა გავლა არად მიხს ჭირად, გატანა ფარისა;  
შიგან ჩავხლტები კისკასად, ვეცემი მსგავსად ქარისა,  
ლაშქართა დავხოც, გავახვამ, ჰნახოთ გაღება კარისა!  
თქვენცა მუნ მოდით, სადაცა გესმას ზრიალი ზარისა“.

1. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით მეოთხე სტრიქონის შინაარსი.
2. *ამოიწერეთ* შედარება მეორე სტროფიდან (არა უმეტეს სამი სიტყვისა).
3. *განმარტეთ*, რა ადგილას იბარებს ფრიდონი თავის მეგობრებს (ციტირება დაუშვებელია!).
4. *დაასახელეთ*, ფრიდონის რა თვისება ჩანს მოცემულ მონაკვეთში.

(3) **7. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი დავით გურამიშვილის „დავითიანიდან“:**

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,  
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შეეკარების;  
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების,  
ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების.  
ჩემის უცებით შევატყვევ, ბრიყვთათვის რაც შემიტყვია:  
ავი და კარგი, გარჩევით ვხედავ, რომ ახლოს მიწყვია.  
მინდა და სწავლის სიმოკლით ცალ-ცალკე ვერ გამოიყვია.  
ჰგავს უხორთუმოს სპილოსა ჭკვიანი კაცი ბრიყვია.

1. *ამოიწერეთ* მეტაფორა, რომლითაც ავტორი აღნიშნავს ცოდნას (არა უმეტეს ორი სიტყვისა).
2. *განმარტეთ*, რით ხსნის დავითი იმას, რომ მკვეთრად ვერ მიჯნავს ავსა და კარგს (ციტირება დაუშვებელია!).
3. *განმარტეთ*, რის თქმა სურს ავტორს უკანასკნელი სტრიქონით.

(3) **8. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან „ხმა იღუმალი“:**

ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა  
შეუწყალისა სინიდისისა?...  
მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა,  
მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა.  
ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი  
ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი,  
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,  
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?

1. *განმარტეთ*, რით ასაბუთებს პოეტი იმას, რომ იღუმალი ხმა მისი სინდისის ხმა არ უნდა იყოს (ციტირება დაუშვებელია!).
2. *ამოიწერეთ* მეორე სტროფიდან ეპითეტი, რომელიც მიუთითებს, რომ შინაგანი ხმა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს პოეტისათვის.
3. *დაასახელეთ* ლიტერატურული მიმართულება, რომელსაც მიეკუთვნება ეს ტექსტი.

(3) **9. აღექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ხვეისბერი გოჩა“ ვკითხულობთ:**

მამა ეუბნებოდა: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო“, და სწორედ ამ სიტყვებით აგონებდა იმ მოვალეობას, რომელიც ერთს პირს მთელს სახლობასთან აკავშირებს და მისი საქციელი მთელი ოჯახობის გამაპატიოსნებელი თუ დამამცირებელი არის. მაგრამ,

თუნდა ასეც არ ყოფილიყო, ონისესაც კარგად ესმოდა თავისი ვალი, წუთის თავდავიწყებას საკმაო დანაშაულადა სთვლიდა, ფიცულობდა, რომ აღძრულს გრძნობას გულიდან ამოიფხვრიდა და სწორედ ამ წადილმა წამოაძახა: „წავალ, შევალ ქორწილში... უღვაში მაქვს, ქუდი მხურავს და გულიც უნდა დამმორჩილდეს“.

1. *განმარტეთ*, რის თქმა სურს ხევისბერს სიტყვებით: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“ (ციტირება დაუშვებელია!).
2. *ამოიწერეთ* ონისეს წამოაძახილიდან ხატოვანი გამოთქმა, რომელიც ღირსების გრძნობას გამოხატავს (არა უმეტეს ორი სიტყვისა).
3. *განმარტეთ*, ონისეს რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული ამ მონაკვეთში.

**(3) 10. ვაჟა-ფშაველას პოემაში „გველის მჭამელი“ ვკითხულობთ:**

აღზნებით გმირთა სახელებს  
ლექსებში სთვლიდენ წმიდადა;  
მოსუცნი ჩიბუხებს სწევდენ,  
ბოლი ეხვიათ ნისლადა,  
განმარტავდიან მათ ამბავს,  
შანდობა თქვიან გმირთადა.  
ახლების საწურთნელადა  
იხსენებდიან ქებითა:  
„თქვენ იცით, ამას იქითა  
კაცად ვინც გამასდგებთა!“

1. *ამოიწერეთ* სიტყვა, რომელიც გამოხატავს მოსუცების განსაკუთრებულ ემოციურ დამოკიდებულებას სამშობლოსათვის თავდადებულთა მიმართ.
2. *დაასახელეთ*, ტროპული მეტყველების რა საშუალებას იყენებს ავტორი სტრიქონში: „ბოლი ეხვიათ ნისლადა“.
3. *განმარტეთ*, რა მიზნით აქებენ მოსუცები გმირებს და ამბობენ მათს შესანდობარს (ციტირება დაუშვებელია!).

**(4) 11. ლეო ქიჩელის მოთხრობაში „ჰაკი აძბა“ კაც აძბას ცოლი ეუბნება ჰაკის:**

– ყველამ გაიგო და შენ რად არ იცი, ჰაკი, რომ ბოლშევიკები შემოსულან და დიდი მიტინგია ქალაქში. ბიძაშენიც იქ წავიდა. საოცარ ამბებს მოედიან.

– ჰაიტ, უჯუშ რომ მარტოა! ახლავე უნდა წავიდე, მოვნახო, – წამოიძახა ჰაკიმ ბოლშევიკების გაგონებაზე. სიტყვა ბოლშევიკი როგორც მისი გაზრდილისათვის, ისე მისთვისაც თავისთავად უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა. ასეთი წარმოდგენა ბოლშევიკებზე ჰაკის უჯუშის წყალობით და ზეგავლენით ჰქონდა შეთვისებული. მით უმეტეს, რომ ემხასთან ერთად გამოეგლო რუსეთის სამოქალაქო ომის საშინელება.

1. *განმარტეთ*, კონკრეტულად რამ განაპირობა ის, რომ სოხუმელები „საოცარ ამბებს მოედიან“.
2. უჯუშის მიმართ ჰაკი აძბას რა დამოკიდებულება ვლინდება წამოაძახილში: „ჰაიტ, უჯუშ რომ მარტოა!“
3. *განმარტეთ*, ბოლშევიკების მიმართ უჯუშ ემხას რა დამოკიდებულება ჩანს ტექსტის ამ მონაკვეთში (ციტირება დაუშვებელია!).
4. *დაასახელეთ*, რა ისტორიულმა მოვლენამ ჩამოუყალიბა ჰაკის „ასეთი წარმოდგენა ბოლშევიკებზე“.

**(2) 12. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „თოვლი“ ვკითხულობთ:**

მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ  
მშვიდი დღეების თეთრი ბროლება,  
მინდვრის ფოთლები შენს დაშლილ თმაში  
და თმების ქარით გამოქროლება.

1. *ამოიწერეთ* სიტყვა, რომელშიც გადატანითი მნიშვნელობით იგულისხმება „ტკბობა“.
2. *განმარტეთ*, რა განცდის გამოხატვა სურს ავტორს ამ სტროფით.

### III. წაკითხულის გააზრება და წერიტი დავალება

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

წაკითხულის გააზრების შესრულებისას **გაითვალისწინეთ**: თუ თქვენ აირჩიეთ დავალება №1, აღნიშვნები პასუხების ფურცელში გადაიტანეთ საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას (დავალება №1 – ა) წაკითხულის გააზრება), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აირჩიეთ დავალება №2, აღნიშვნები პასუხების ფურცელში გადაიტანეთ №2 დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას (დავალება №2 – ა) წაკითხულის გააზრება).

#### დავალება № 1

„ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილია ავთანდილისა და ვაჭრების შეხვედრის ამბავი:

მუნ ქარავანი ურიცხვი მოსდგმოდა ზღვისა კიდესა.

შეიჭირებდეს, ჭმუნვიდეს, ვერცა დგეს, ვერცა ვლიდესა.

ყმაძან სალამი უბრძანა, ქებასა შეასხმიდესა,

ჰკითხა, თუ: „ვინ ხართ, ვაჭარნო?“, მათ საუბარი ჰკიდესა...

გარდახდა, ჰკადრეს: „ჩვენ ვართო მობაღდადენი ვაჭარნი,

მაჰმადის სჯულის მჭირაენი, აროდეს გვისმან მაჭარნი,

ზღვათა მეფისა ქალაქსა სავაჭროდ გარდმონაჭარნი,

საქონელ-სრულნი, მდიდარნი, არ ღარნი გვეკონან ნაჭარნი.

ჩვენ აქა ვპოვეთ ზღვის პირსა კაცი უსულოდ მდებარე,

გუშველეთ, ენა მოეცა სიტყვისა გამოძგებარე;

ვკითხეთ, თუ: „ვინ ხარ, ღარიბო, რასა საქმისა მდებარე?“

გვითხრა: „თუ შეხვალთ, დაგხოცენ, კიდე ცოცხალ ვარ მე ბარე?!“

თქვა: „ქარავანი ეგვიპტით გამოვემართეთ ერთთა,

ზღვასა შევედით ტვირთულნი ღართა მრავალ-ფერთა,

მუნ მეკობრეთა დაგვხოცნეს ძელით სახნისისწვერითა;

ყველაი წახდა, არ ვიცი, აქა მოსრულვარ მე რითა!“

ლომო და მზეო, ესეა მიზეზი აქა დგომისა,

დაბრუნვებითა გვეცემის ზიანი არ-საზომისა;

შევიდეთ, ვა თუ დაგვხოცნენ, ძალი არა გვაქვს ომისა,

ვერცა ვღვათ, ვერცა წასრულვართ, დონე წაგვსლვია რჩომისა“.

ყმაძან უთხრა: „ვინცა ჭმუნავს, ცუდია და ცუდად სცთების!

რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვცთების;

მე მივიწოდებ სისხლთა თქვენთა, შემოვისხამ, და-ცა-მწვთების!

ვინცა გებრძვის, ხრმალი ჩემი მბრძოლთა თქვენთა დააცვთების“.

მოქარავნენი აივსნეს სიხარულითა დიდითა,

თქვეს: „ყმა ვინმეა, ჭაბუკი, არა ჩვენებრვე რიდით-ა,

აქვს თავისაგან იმედი, ვიყვნეთ გულითა მშვიდითა“.

შევიდეს, ჩასხდეს ხომაღდსა, გამართეს ზღვისა კიდითა.

სიამოვნისა ღართა იარეს, არ სიძნელითა,

მათი ბადრაგა ავთანდილ უძღვის გულითა ქველითა.

გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა,

მას ნავსა ნავთა სალექლად სახნისი ჰგია ძელითა...

კიოდეს იგი ღაშქარნი, ხმა მათი არ გაწყდებოდა,

აძგერეს ძელი, რომელსა ზედა სახნისი ჰგებოდა;

ყმა ნავის თავსა უშიშრად ქვედგა, არ თუ-რე კრთებოდა,

კეტი ჰკრა, ძელი მოსტეხა, ლომს მკლავი არ უდრკებოდა.

ძელი მოტეხა ავთანდილ, დარჩა ნავ-დაულექველი;

შეშინდეს იგი ღაშქარნი, გზა ძებნეს გარდსახვეწელი;

ველარ გარდესწრნეს, გარდუხლტა მტერთა მი და მო მღევწელი;

არ დარჩა კაცი ცოცხალი მუნ მისგან დაუფრეწელი.

მათ ლაშქართა გულ-უშიშრად ასრე ხოცდა, ვითა თხასა,  
ზოგი ნავსა შეანარცხის, ზოგსა ყრიდა შიგან ზღვასა;  
ერთმანერთსა შემოსტყორცის, რვა ცხრასა და ცხრა ჰკერის რვასა;  
დაკოდილნი მკედართა შუა იმაღვიან, მალევენ ხმასა.

გაუმარჯვდა ომი მათი, ვითა სწადდა მისსა გულსა.

ზოგთა ჰკადრეს ზენაარი: „ნუ დაგვხოცო, შენსა სჯულსა!“

არ დახოცნა, დაიმონნა, დაპრჩომოდა რაცა წყლულსა.

მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა“.

#### ა) წაკითხულის გააზრება:

დავალებების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

#### უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- (1) 13. ვაჭრების რა სულიერი მდგომარეობა ჩანს პირველ სტროფში?
- ა) აღშფოთება.
  - ბ) განრისხება.
  - გ) შეშფოთება.
  - დ) შეცბუნება.
- (1) 14. რომელ სიტყვებში ჩანს მინიშნება, რომ ვაჭრები მაჰმადიანები არიან?
- ა) „აროდეს გვისმან მაჭარნი“.
  - ბ) „არ ლარნი გვქონან ნაჭარნი“.
  - გ) „ეგვიპტით გამოვმართეთ ერთთა“.
  - დ) „ტვირთულნი ლართა მრავალ-ფერთა“.
- (1) 15. ვინ არის „კაცი უსულოდ მდებარე“?
- ა) ბაღდადეგი მექარავნე.
  - ბ) გულანშაროელი ვაჭარი.
  - გ) ეგვიპტელი ვაჭარი.
  - დ) ზღვათა სამეფოს მეომარი.
- (1) 16. რის თქმა სურთ ვაჭრებს სიტყვებით: „ძალი არა გვაქვს ომისა“?
- ა) გზის გაგრძელების ეშინიათ.
  - ბ) იქვე დარჩენის ეშინიათ.
  - გ) საქონლის დაკარგვის ეშინიათ.
  - დ) უკან დაბრუნების ეშინიათ.
- (1) 17. ავთანდილის რომელ სიტყვებში ჩანს, რომ იგი პასუხისმგებლობას იღებს ვაჭრების სიცოცხლეზე?
- ა) „ვინცა ჭმუნავს, ცუდია და ცუდად სცოტების“.
  - ბ) „მე მივინდობ სისხლთა თქვენთა“.
  - გ) „მომავალი არ აგვცოტების“.
  - დ) „როცა მოვა საქმე ზენა“.
- (1) 18. რატომ „აივსნეს სიხარულითა დიდითა“ ვაჭრები?
- ა) დარწმუნდნენ, რომ ავთანდილი არაბეთის სპასპეტი იყო.
  - ბ) დარწმუნდნენ, რომ ავთანდილი მდიდარი ადამიანი იყო.
  - გ) დარწმუნდნენ, რომ ავთანდილი მათსავით ვაჭარი იყო.
  - დ) დარწმუნდნენ, რომ ავთანდილი უშიშარი რაინდი იყო.
- (1) 19. როგორ შეუტიეს მეკობრეებმა ბაღდადეგ ვაჭართა გემს?
- ა) ვაჭართა გემზე გადასვლა სცადეს მექარავნეთა დასახოცად.
  - ბ) ვაჭართა გემისაკენ ძელზე წამოგებულნი სახნისი გააქანეს.



- გ) ვაჭართა გემის დალაშქვრა სცადეს კეტების საშუალებით.
- დ) ვაჭართა გემს დაუშინეს ისრები და ძელი აძგერეს.

(1) 20. რატომ შეშინდა მეკობრეთა ლაშქარი?

- ა) ავთანდილმა არ დაინდო არც ერთი მეკობრე.
- ბ) ავთანდილმა კეტის დარტყმით დაამსხვრია მათი იარაღი.
- გ) ავთანდილმა კეტის დარტყმით შეანგრია მათი გემი.
- დ) ხმალშემართული ავთანდილი მათ გემზე გადახტა.

(1) 21. რომელ სტრიქონში ჩანს, რომ მეკობრეები წინააღმდეგობის გაწევას ვეღარ ბედავდნენ?

- ა) „მათ ლაშქართა გულ-უშიშრად ასრე ხოცდა, ვითა თხასა“.
- ბ) „ზოგი ნავსა შეანარცხის, ზოგსა ყრიდა შიგან ზღვასა“.
- გ) „ერთმანერთსა შემოსტყორცის, რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა“.
- დ) „დაკოდილნი მკვდართა შუა იმაღვიან, მალვენ ხმასა“.

(1) 22. ავთანდილის რა თვისება ჩანს უკანასკნელ სტროფში?

- ა) გულუხვობა.
- ბ) ვაჟკაცობა.
- გ) მიმტვევებლობა.
- დ) შორსმჭვრეტელობა.

ბ) წერითი დავალება:

**წერითი დავალების ინსტრუქცია:**

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არააღვეკატურადაა გაგებულნი, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

*წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.*

**გააანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- ამ მონაკვეთის მიხედვით იმსჯელებთ ავთანდილის მხატვრული სახის შესახებ;
- ამ მონაკვეთის მიხედვით იმსჯელებთ, რა თვისებებით განსხვავდებიან ვაჭრები რაინდებისაგან;
- იმსჯელებთ, რა მხატვრული საშუალებებით არის გამოხატული ავტორის სათქმელი. **თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

## დავალბა № 2

**ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტები ლეო ქიჩელის რომანიდან „გვალი ბიგა“:**

ჯარგელის ლაფარეს კაცის ლანდი მოსწვდა. ფარდული გაიბრინა, მთვარის სინათლეზე გამოვიდა და შიშით ზარდაცემულ გვადის წინ აეტუნა... არჩილ ფორია იყო.

– ასე გვიან რომ გარჯილხარ, ჭირიმე, რა შეგმთხვევია ისეთი? ჩემთან თუ რამე საქმე გაქვს? – ცოტა არ იყოს მოურიდებლად ჰკითხა მან თავის დაუპატიჟებელ სტუმარს სიტყვის ბანზე აგდებით.

– დასაჭერად დამდევენ და ვიძალები... მომერია ამდენი მტერი... და აჰა, უნდა გავეცალო კიდევაც აქაურობას! მივიღივარ... მაგრამ ტყეში კი არა, როგორც ნათქვამი მაქვს შენთვის... ალბათ, გახსოვს. – აქ არჩილმა მოულოდნელად სიტყვა გასწვიტა, თვალები დაუპატარავდა და გვადის საიდუმლო ცდით შეხედა, – ნუთუ არ გაგონდება?... თუ ტყეში გავარდნა მომიხდა-მეთქი, მაშინ გითხარი... ჩემს ქარხანას ასე და ისე ვუზამ-მეთქი...

– ჰა... ჭირიმე! – უცებ გააბა გვადიმ მუქარიანი ხმით და უკან დაიხია. წარბები შუბლზე შეიგდო და თვალები გადმოკარკლა. საფრთხობელასავით გაიფოფრა...

ჯერ კიდევ ხურმის ძირში იდგა ფორიას პირისპირ და მის გადაკრულ სიტყვებს ისმენდა, როცა გვადიმ გულში ბეჯითად ამოიჭრა: როგორც კი იგი ფეხს გადაადგამდა მისი ეზოდან, შორიასლო უჩინრად უკან დადევნებოდა და მანამდე კვალდაკვალ მიჰყოლოდა, სანამ მის ნამდვილ ზრახვასა და გეზს საბოლოოდ არ გამოარკვევდა... გვადის გეგმა უბრალო იყო: რაკი მისი რწმენით სახერხ ქარხანას მოელოდა განსაცდელი, ფორიასთვის იქ მისვლა უნდა დაესწრო და კარებთან დაედარაჯნა. იმედი ჰქონდა, რომ იგი გაცილებით უფრო ადრე მიაღწევდა ქარხანამდის...

ქარხანას უახლოვდებოდა, როცა ქოშინი აუტყდა:

– ვაიმე! – აღმოსდა უცებ... მან თვალი მოჰკრა, რომ ქარხნის ალაყაფის გვერდით ადამიანის შავი ლანდი იდგა მესერს აყუდებული. ვინ უნდა ყოფილიყო, თუ არა არჩილ ფორია. ნუთუ გვადიმ დააგვიანა?... სასოწარკვეთილებისა და სიმწრისაგან რომ არ ებღავლა, გვადიმ დამუშტული ხელი პირში ჩაიჩარა... მისი ანთებული გონების თვალწინ ქარხნის თავზე ხანძრის ვეება ალმა იელვა.

– ჰაჰაჰაი! – შეჰკვივლა მკერდის შიგნით გვადიმ, უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და ფეხზე წამოვარდა. გაიხედა: ის ლანდი უკვე აღარსად ჩანდა. გვადიმ მკლავები გაშალა, თითქოს ფრთები გამოისხაო, და ფრენით აჰყვა ბექობს. იქ მივარდა, სადაც ლანდი უკანასკნელად დაინახა. ზღუდეს ისე დაეძგერა, თითქოს შეგლეჯა დაუპირაო.

ერთ ალაგას ზღუდიდან მესრები იყო გამოდებული. დატოვებულ ფარღალაღალაში კაცი თავისუფლად გაეტეოდა. გვადი არ დაფიქრებულა. შიგ შეჰყო თავი და მსრებიც თან შეიტანა.

ამ დროს ვიდაცამ ხელი მხარზე დაჰკრა... გვადი კინაღამ დაპირქვევდა. იმავე ხელმა ხორცს მარწუხივით მოსჭიდა თითები და გვადი ზე ასწია, – ზღუდეს გარეთ დარჩენილ ტანიან-ფეხიანად ეზოში შეათრია.

– ჰაა, მოხვდი ჩემს ხაფანგში თუ არა? – მოესმა გვადის ზედ ყურთან სისინი, და არჩილ ფორიას თვალების ალმა სახეში ჩაანათა, რისხვის ცეცხლი შეაფრქვია.

იგრძნო გვადიმ, რომ დაიღუპა. სული განაბა...

რაკი გვადის წინააღმდეგობას არ გრძნობდა, ხელი უშვა მხარზე და ახლა მკლავში ჩაავლო. ქარხნის ეზოს იმ კუთხისკენ წაიყვანა, სადაც ხის დახერხილი მასალა ხორებად იყო ჩამწკრივებული. ერთის წინ დააყენა.

– ეს შენი ოდის ფიცრებია... ჩემი ხელით მაქვს შერჩეული და დაწყობილი. ვითომ პატივი გეცი, ოხერო! რას ვიფიქრებდი, რომ მოღალატე იყავი!... გამოეთხოვე სამუდამოდ: ჩემი ცეცხლი პირველად მაგ ფიცრებს ჩანთქავს! მინდა შენი თვალით დაინახო, სანამ ცოცხალი ხარ!..

ისლი ფიცრებში სწრაფად შესტენა. ასანთი ამოიღო და გაჰკრა.

როგორც კი დაინახა გვადიმ ცეცხლი, ერთი ყრუდ წამოიგმინა, მოირდვა და ფორიას თავგანწირულად ეძგერა. ასანთი გაუქრო.

– რას მიბედავ, ძაღლო! – შესძახა არჩილმა, მკერდში ჩაავლო ხელი, ფეხზე სარმა მოსდვა, მოიქნია და შორს გაისროლა ბურთივით... დაეძგერა თუ არა მიწას მთელი თავისი ტანის სიმძიმით, გვადი უკუქცევის ძალას აჰყვა და ფეხზე დადგა. იელვა თუ არა კვლავ ასანთმა ფორიას ხელში, თვალის დახამხამებაში ყამა ქარქაშიდან ამოიღო. ტარს ორივე ხელი ჩასჭიდა და უროსავით მაღლა შემართა. ერთი ნახტომით ფორიას ზურგს უკან მოექცა და მთელი ძაღლონით მოქნეული ყამა თავში დასცა ჭახანით.

ფორიას კრინტი არ დასცდენია, ისე დავარდა მიწაზე...

საშინელი სიჩუმე ხორასთან ოდნავად არ დარღვეულა.

იგრძნო: ეს სიკვდილის დუმილი იყო...

მთვარის სინათლე ჰქრებოდა. დედამიწაზე ბინდი ჩამომდგარიყო. განთიადის წინამორბედი. ღამის აშლილ ღანდებს რევა შეექმნათ ჰაერში. და ამ რევაში გვადის თვალების წინ ბინდის სიღრმეებიდან გამომაგვალმა ადამიანების სახეებმა ელვასავით გაიკრთომარეს...

მის წინ, სულ ახლოს, მარიაში იდგა. დიდრონ თვალეში სიყვარული უნათებდა შუადღის მზესავით.

გული აუჩვილდა გვადის. სიტყვა ვერ დასძრა.

– ყველანი შენთან ვართ, გვადი! – გაისმა მარიამის ხმა. მერე სულ ჩუმად ჰკითხა:

– მართალია?

– აჰა, ჭირიმე... – წარმოსთქვა გვადიმ და მარიამს სისხლიანი ყამა გაუწვდინა.

მარიამმა ტუჩები მოკეჭა. თითები ლოყაზე მიიწყო. გვადის თვალეში თვალეში გაუყარა და თავი გააქნია.

– ნანა, ნანა, ნანაია! – ხელების გასავსავებით სთქვა და შემდეგ მოკლედ წამოიკივლა: – სისხლი!

– სისხლიანი ვარ, მარიამ... არ მომეკარო!

უცებ მარიამიც გაჩუმდა და გვადიც.

– ჩემს ბავშვებს თუ მიხედე აქეთ წამოსვლისას, ჭირიმე... ნეტავი არ დაგეტოვებინა მარტონი... – პირველმა გვადიმ დაარღვია სიჩუმე.

– ისინიც აქ გაჩნდებიან სულ მალე, გვადი... აჰა, გაიხედე, მგონი, მოდიან კიდევაც...

გვადიმ გაიხედა. – შორს რძისფერ სივრცეში გამწკრივებული ხუთი ჩხირი გამოჩნდა, მეტნაკლები სიგრძისა. ერთი მეორეს მოსდევდა უფროს-უმცროსობის კვალობაზე. გვადიმ გამოიცნო თავისი შვილები... უცებ აღელდა. მკერდის სიღრმიდან გმინვა აღმოხდა. ყამა მიწაზე დაანარცხა. სისხლიანი ხელები ზურგს უკან მოიგდო:

– არა, ჭირიმე! ეს არ იქნება! გაიქეცი ახლავე! შეხვდი, დააყენე! უკან ჯარგვალში წაასხი ყველანი! უთხარი, ბაბაიას კაცი არ მოუკლავს-თქვა! სხვაგან არის წასული და მალე დაბრუნდება-თქვა!.. როგორ მოგივიდა, რომ გამოუშვი! მათმა თვალეებმა სისხლი არ უნდა ნახონ, მარიამ!

ცის კიდურს განთიადის პირველი სხივი მოსწყდა, ბინდი გაარღვია და გვადის წინ მიწას გაერთხა.

#### ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

#### უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

(1) 13. რა ფუნქცია აქვს ტექსტის პირველ აბზაცს?

- ა) აჩვენოს აბსურდული სიტუაცია.
- ბ) აჩვენოს დრამატული სიტუაცია.
- გ) აჩვენოს კომიკური სიტუაცია.
- დ) აჩვენოს ტრაგიკული სიტუაცია.

(1) 14. გვადის რა სურვილის შესახებ მიგვანიშნებს ავტორი მეორე აბზაცში?

- ა) გვადის სურს სტუმრის გულის მოგება.
- ბ) გვადის სურს სტუმრის თავიდან მოშორება.
- გ) გვადის სურს სტუმრის პატივით მიღება.
- დ) გვადის სურს სტუმრის შეშინება.

- (1) 15. რა განაპირობებს გვადის ამგვარ რეაქციას: „...უკან დაიხია. წარბები შუბლზე შეიგდო და თვალები გადმოკარკლა. საფრთხობელასავით გაიფოფრა“?
- მისვდა, რომ მთელ სოფელს საფრთხე ემუქრება.
  - მისვდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.
  - მისვდა, რომ მის შვილებს საფრთხე ემუქრება.
  - მისვდა, რომ სახერხ ქარხანას საფრთხე ემუქრება.
- (1) 16. რა მოტივი ამოძრავებდა გვადის, როდესაც გადაწყვიტა, არჩილისათვის ქარხანასთან მისვლა დაესწრო?
- არჩილის გულის მოგება სურდა.
  - არჩილის მოკვლა სურდა.
  - სახელის მოხვეჭა სურდა.
  - ქარხნის გადარჩენა სურდა.
- (1) 17. რატომ დაეუფლა გვადის „სასოწარკვეთილებისა და სიმწრის“ განცდა?
- იმიტომ, რომ გაიფიქრა – არჩილს ხელს ვეღარ შეუშლიდა.
  - იმიტომ, რომ იცოდა – არჩილთან შებრძოლებისას დამარცხდებოდა.
  - იმიტომ, რომ შეეშინდა – მარტოს მოუწევდა არჩილთან შებრძოლება.
  - იმიტომ, რომ წარმოიდგინა – ქარხნის თავზე ხანძრის ალი ავარდა.
- (1) 18. როგორ მოხვდა არჩილის მიერ დაგებულ ხაფანგში გვადი?
- გვადი ჩქარობდა და დაავიწყდა – არჩილი ჩასაფრებული ელოდა.
  - გვადი ჩქარობდა და ვერ შენიშნა – ზღუდეს მესრები აკლდა.
  - გვადი ჩქარობდა და თავად ეძებდა ხიფათს.
  - გვადი ჩქარობდა და საკმარისი სიფრთხილე ვერ გამოიჩინა.
- (1) 19. რატომ გაიმეტა გვადიმ არჩილ ფორია სასიკვდილოდ?
- იმიტომ, რომ მარიამს იცავდა.
  - იმიტომ, რომ სოფელს იცავდა.
  - იმიტომ, რომ ქარხანას იცავდა.
  - იმიტომ, რომ შვილებს იცავდა.
- (1) 20. როგორ ადამიანად წარმოაჩენს ავტორი არჩილ ფორიას?
- შურიან ადამიანად.
  - შურისმაძიებელ ადამიანად.
  - ძუნწ ადამიანად.
  - ხარბ ადამიანად.
- (1) 21. რა მოტივი ამოძრავებს გვადის, როცა მარიამს ეუბნება: „გაიქეცი ახლავე! შეხვდი, დააყენე! უკან ჯარგვალში წაასხი ყველანი“?
- არ სურს შვილებმა შეიტყონ, რომ იგი გმირია.
  - არ სურს შვილებმა შეიტყონ, რომ იგი დამარცხებულია.
  - არ სურს შვილებმა შეიტყონ, რომ იგი ლაჩარია.
  - არ სურს შვილებმა შეიტყონ, რომ იგი მკვლეელია.
- (1) 22. გვადის რა სულიერი მდგომარეობა ჩანს მარიამთან დიალოგის დროს?
- აღშფოთება.
  - განრისხება.
  - შეცბუნება.
  - შეძრწუნება.

ბ) წერითი დავალება:

**წერითი დავალების ინსტრუქცია:**

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულნი, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამომვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკე-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

*წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.*

**გააანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ გვადის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტში ასახული კონფლიქტის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ არჩილის ქცევის მოტივაციას);
- იმსჯელეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი თავისი სათქმელის გამოსახატავად. ***თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!***

**შავი სამუშაოსათვის**

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

A series of horizontal dashed lines spanning the width of the page, intended for writing or drawing.

A series of horizontal dashed lines spanning the width of the page, intended for writing or drawing.





# ქართული ენა და ლიტერატურა

## I ვარიანტი (შეფასების სქემა)

### ქართული ენა

1. 1. – ზ); 2. – კ); 3. – გ); 4. – ი).
2. I შეცდ. 3, 4, 6, 9, 10; II უშეცდ. 1, 2, 5, 7, 8.
3. დიდი კატების ოჯახში გამოიყოფა პანტერათა სახეობა, რომელსაც მიეკუთვნებიან შემდეგი ცხოველები: ლომი, იაგუარი, ვეფხვი და ლეოპარდი. დიდი კატები მტაცებელი მხეცები არიან. თითოეული მათგანის გადარჩენის ერთადერთი პირობაა ნადირობა. ამ ოჯახის ძალიან იშვიათი წარმომადგენელია იაგუარი. სხვა დიდი კატების მსგავსად, ისიც შებინდებისას ნადირობს. იგი მსხვერპლს ანაკუწებს და ძვლებიანად ღეჭავს.  
იაგუარი, რომელსაც მხოლოდ სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ ტყეებში შეხვდებით, დიდი საფრთხის წინაშე დგას. ამ უნიკალური სახეობის თავშესაფარი ადგილები თანდათან ჩანადგება. სამწუხაროდ, როდესაც ხელვეფოვთ ბუნებას, ამით მისი განადგურების თანამონაწილენი ვხდებით.

### ქართული ლიტერატურა

5. აღმზრდელთა აზრით, გრიგოლი მღვდლად კურთხევას იმსახურებს იმის გამო, რომ იგი უცოდველია (წმინდა ადამიანია, სრულქმნილია). გრიგოლის მღვდლად კურთხევა უფლის (ქრისტეს, მაცხოვრის) ნებაა. ხუთი სიტყვა, რომლებშიც ჩანს – აღმზრდელები იმედით ელიან გრიგოლის მღვდლად კურთხევას, არის: „სასოდ სულთა და ხორცთა ჩუნთა“.  
1. *სულიერად წმინდაა* \_\_\_\_\_ 1ქ  
2. *ღვთის* \_\_\_\_\_ 1ქ  
3. *სასოდ სულთა და ხორცთა ჩუნთა* \_\_\_\_\_ 1ქ
6. მეოთხე სტრიქონის შინაარსია: თქვენ რომ შემოხვალთ, უვნებელს ვერავის ნახავთ (ცოცხალს ვერავის ნახავთ). შედარებაა: „ვეცემი მსგავსად ქარისა“ („მსგავსად ქარისა“). ფრიდონი თავის მეგობრებს იბარებს იქ, სადაც ბრძოლის ხმას (ხმაურს, ყიჟინას, მოთქმას, გოდებას) გაიგონებენ. მოცემულ მონაკვეთში ჩანს ფრიდონის ვაჟკაცობა (შეუპოვრობა, მოხერხებულობა, თავდაჯერებულობა...).  
1. *უვნებელი კაცის პოვნა გაგიჭირდებათ* \_\_\_\_\_ 1ქ  
2. *ვეცემი მსგავსად ქარისა* \_\_\_\_\_ 1ქ  
3. *სადაც ბრძოლის ხმას გაიგონებენ* \_\_\_\_\_ 1ქ  
4. *ვაჟკაცობა* \_\_\_\_\_ 1ქ
7. ავტორი აღნიშნავს ცოდნას მეტაფორით – „უხილავი საუნჯე“. იმას, რომ მკვეთრად ვერ მიჯნავს ავსა და კარგს, დავითი ხსნის ცოდნის ნაკლებობით (უცოდინრობით). უკანასკნელი სტრიქონით ავტორს იმის თქმა სურს, რომ ნიჭიერი, მაგრამ გაუნათლებელი ადამიანი უხორთუმო სპილოსავით უმწეოა.  
1. *უხილავი საუნჯე* \_\_\_\_\_ 1ქ  
2. *გაუნათლებლობით* \_\_\_\_\_ 1ქ  
3. *უმწეოა ნიჭიერი, მაგრამ გაუნათლებელი კაცი* \_\_\_\_\_ 1ქ
8. იმას, რომ იღუმალი ხმა მისი სინდისის ხმა არ უნდა იყოს, პოეტი ამგვარად ასაბუთებს: იგი ვერ ხედავს საკუთარ თავში ბოროტებას (ისეთი არაფერი გაუკეთებია, რომ სინდისის ქენჯნას განიცდიდეს). ეპითეტი, რომელიც მიუთითებს, რომ შინაგანი ხმა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს პოეტისათვის, არის „მაცთური“. ეს ტექსტი მიეკუთვნება რომანტიზმის ლიტერატურულ მიმართულებას.  
1. *ვერ ხედავს ბოროტ განზრახვას საკუთარ თავში* \_\_\_\_\_ 1ქ  
2. *მაცდური* \_\_\_\_\_ 1ქ  
3. *რომანტიზმს* \_\_\_\_\_ 1ქ

9. სიტყვებით „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“, ხევისბერს იმის თქმა სურს, რომ ონისემ წინაპრები არ უნდა შეარცხვინოს (ისე იცხოვროს, რომ გვარი არ შეარცხვინოს; არ დაივიწყოს მოვალეობა თემის წინაშე). ხატოვანი გამოთქმა, რომელიც ღირსების გრძნობას გამოხატავს, არის „ულვაში მაქვს“ („ქუდი მხურავს“). ამ მონაკვეთში გამოხატულია შფოთვა (მღელვარება, შინაგანი გაორება...).

1. გვარი არ შეარცხვინოს -----1ქ.
2. „ულვაში მაქვს“ („ქუდი მხურავს“) -----1ქ.
3. შფოთვა -----1ქ.

10. სიტყვა, რომელიც გამოხატავს მოხუცების განსაკუთრებულ ემოციურ დამოკიდებულებას სამშობლოსათვის თავდადებულთა მიმართ, არის: „აღვზნებით“. სტრიქონში „ბოლი ეხვიათ ნისლადა“, ავტორი იყენებს შედარებას (დასაშვებია აგრეთვე – ჰიპერბოლა). მოხუცები გმირებს აქებენ და მათს შესანდობარს ამბობენ იმ მიზნით, რომ ახალგაზრდებს მაგალითი აჩვენონ.

1. აღვზნებით -----1ქ.
2. შედარებას -----1ქ.
3. ახალგაზრდების აღსაზრდელად -----1ქ.

11. ის, რომ სოხუმელები „საოცარ ამბებს მოედიან“, განაპირობა ბოლშევიკების შემოსვლამ. ამ წამოძახილში ვლინდება მზრუნველობა (ერთგულება, თავდადება...). ტექსტის ამ მონაკვეთში ჩანს უჯუმ ემხას შიში (სიძულვილი). ისტორიული მოვლენა, რომელმაც ჩამოუყალიბა ჰაკის „ასეთი წარმოდგენა ბოლშევიკებზე“, იყო რუსეთის სამოქალაქო ომი.

1. ბოლშევიკების გამოჩენამ -----1ქ.
2. მზრუნველობა -----1ქ.
3. შიში -----1ქ.
4. სამოქალაქო ომი -----1ქ.

12. „ტკობა“ გადატანითი მნიშვნელობით იგულისხმება სიტყვაში „მათრობდა“. ავტორი ამ სტროფით გამოხატავს მონატრებას (წარსულის გახსენებით გამოწვეულ სევდას).

1. მათრობდა -----1ქ.
2. მონატრებას, სინანულს, გულისტკივილს -----1ქ.

## წაკითხულის გააზრება

### (დავალება №1)

- |                 |                 |                 |                 |                 |
|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 13. გ) -----1ქ. | 14. ა) -----1ქ. | 15. ვ) -----1ქ. | 16. ა) -----1ქ. | 17. ბ) -----1ქ. |
| 18. დ) -----1ქ. | 19. ბ) -----1ქ. | 20. ბ) -----1ქ. | 21. დ) -----1ქ. | 22. გ) -----1ქ. |

### (დავალება №2)

- |                 |                 |                 |                 |                 |
|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 13. ბ) -----1ქ. | 14. ბ) -----1ქ. | 15. დ) -----1ქ. | 16. დ) -----1ქ. | 17. დ) -----1ქ. |
| 18. დ) -----1ქ. | 19. გ) -----1ქ. | 20. ბ) -----1ქ. | 21. დ) -----1ქ. | 22. დ) -----1ქ. |

**№ 4 დავალების შეფასების კრიტერიუმები**  
(საერთო ოთხივე ვარიანტისათვის)

მაქსიმალური ქულა – 12.

**I. კრიტერიუმი**

| №  | ტექსტის ორგანიზება  | ქულები                     |
|----|---|----------------------------|
| 1. | ტექსტი <i>ორგანიზებულია</i> და პასუხი გაცემულია <i>სამივე</i> მითითებაზე.   | 3                          |
| 2. | ტექსტი <i>ორგანიზებულია</i> და პასუხი გაცემულია <i>ორ</i> მითითებაზე ან პასუხი გაცემულია <i>სამივე</i> მითითებაზე, მაგრამ ტექსტი <i>არ არის</i> სათანადოდ ორგანიზებული.           | 2                          |
| 3. | ტექსტი <i>ორგანიზებულია</i> , მაგრამ პასუხი გაცემულია მხოლოდ <i>ერთ</i> მითითებაზე ან პასუხი გაცემულია <i>ორ</i> მითითებაზე, მაგრამ ტექსტი <i>არ არის</i> სათანადოდ ორგანიზებული. | 1                          |
| 4. | ტექსტი <i>არ არის</i> სათანადოდ ორგანიზებული და პასუხი გაცემულია მხოლოდ <i>ერთ</i> მითითებაზე ან/და დავალება არაადეკვატურადაა გაგებულნი.  | 0<br>ნაწერი არ<br>სწორდება |

**II. კრიტერიუმი**

| №  | დასაბუთება  | ქულები |
|----|---|--------|
| 1. | <i>კარგად</i> არის დასაბუთებული <i>სამივე</i> მითითება.   | 3      |
| 2. | <i>კარგად</i> არის დასაბუთებული <i>ორი</i> მითითება და მესამე – <i>ნაწილობრივ</i> .   | 2      |
| 3. | <i>კარგად</i> არის დასაბუთებული <i>ერთი</i> მითითება და <i>ნაწილობრივ</i> არის დასაბუთებული დანარჩენი ორიდან <i>ერთი მაინც</i> ან <i>ორი</i> მითითება <i>კარგად</i> არის დასაბუთებული, მაგრამ <i>ერთი</i> საერთოდ <i>არ არის</i> შესრულებული. | 1      |
| 4. | <i>ნაწილობრივ</i> არის დასაბუთებული <i>სამივე</i> მითითება ან <i>კარგად</i> არის დასაბუთებული მხოლოდ <i>ერთი</i> მითითება, დანარჩენი <i>ორი</i> საერთოდ <i>არ არის</i> შესრულებული.   | 0      |

**III. კრიტერიუმი**

| №  | ლექსიკა და სტილი  | ქულები |
|----|---|--------|
| 1. | ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება. გვხვდება ორიოდ სტილისტური ხარვეზი. | 2      |
| 2. | ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება სტილისტური ხარვეზები.  | 1      |
| 3. | ნაშრომი სტილისტურად გაუმართავია.  | 0      |

#### IV. კრიტერიუმი

| №  | მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი              | ქულები |
|----|---|--------|
| 1. | არ არის დაშვებული <i>ორზე მეტი</i> შეცდომა.   | 3      |
| 2. | არ არის დაშვებული <i>ოთხზე მეტი</i> შეცდომა.  | 2      |
| 3. | არ არის დაშვებული <i>ექვსზე მეტი</i> შეცდომა. | 1      |
| 4. | დაშვებულია <i>ექვსზე მეტი</i> შეცდომა.        | 0      |

#### V. კრიტერიუმი

| №  | პუნქტუაცია                                   | ქულები |
|----|--|--------|
| 1. | არ არის დაშვებული <i>სამზე მეტი</i> შეცდომა. | 1      |
| 2. | დაშვებულია <i>სამზე მეტი</i> შეცდომა.        | 0      |

**წერიტი დავალების შეფასების კრიტერიუმები**  
(საერთო ოთხივე ვარიანტისათვის)

წერიტი დავალების მაქსიმალური ქულაა **25**. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.

თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

**I კრიტერიუმი**

| <b>№</b> | <b>დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება</b>   | <b>ქულები</b>                          |
|----------|---|--|
| 1.       | დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებულ, ტექსტი ღრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.          | <b>4</b>                               |
| 2.       | დავალების პირობა და ტექსტი ადეკვატურადაა გაგებულ.   | <b>3</b>                               |
| 3.       | დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში ადეკვატურადაა გაგებულ და გააზრებული, თუმცა ერთ შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან ტექსტის არაადეკვატური გაგება. | <b>2</b>                               |
| 4.       | <i>ერთზე მეტ</i> შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებულ.  | <b>1</b>                               |
| 5.       | ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულ.  | <b>0</b><br>ნაწერი<br>აღარ<br>სწორდება |

**II კრიტერიუმი**

| <b>№</b> | <b>ნაშრომის აგება</b>  | <b>ქულები</b> |
|----------|--|---------------|
| 1.       | ნაშრომი უპასუხებს <i>სამივე</i> მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.                     | <b>3</b>      |
| 2.       | ნაშრომი უპასუხებს <i>სამ</i> მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს <i>ორ</i> მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. | <b>2</b>      |
| 3.       | ნაშრომი უპასუხებს <i>ორ</i> მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს <i>ერთ</i> მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. | <b>1</b>      |
| 4.       | ნაშრომი უპასუხებს <i>ერთ</i> მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.  | <b>0</b>      |

### III კრიტერიუმი

| №  | <i>მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება</i>  | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | მსჯელობა <i>სამივე</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია (არგუმენტირებულია) და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.  | 6             |
| 2. | მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.  | 5             |
| 3. | მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).   | 4             |
| 4. | მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>ორ</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.   | 3             |
| 5. | მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, <i>მეორე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).  | 2             |
| 6. | <i>სამივე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.  | 1             |
| 7. | <i>ორი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული. | 0             |

### IV კრიტერიუმი

| №  | <i>ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება</i>   | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის <i>არაერთი</i> მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.   | 2             |
| 2. | ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის <i>ერთი</i> მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითით.  | 1             |
| 3. | ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ არ არის დასაბუთებული კონკრეტული მაგალითებით; ანდა ნაშრომში არ არის <i>გამოყოფილი</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები. | 0             |

### V კრიტერიუმი

| №  | <i>დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება</i>  | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.  | 3             |
| 2. | ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.   | 2             |
| 3. | ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება. | 1             |
| 4. | ნაშრომში <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.  | 0             |

### VI კრიტერიუმი

| №  | <i>ფაქტობრივი შეცდომები</i>                           | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში <i>არ არის</i> დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა. | 1             |
| 2. | ნაშრომში <i>დაშვებულია</i> ფაქტობრივი შეცდომა.        | 0             |

### VII კრიტერიუმი

| №  | <i>ლექსიკა და სტილი</i>   | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდ სტილისტური ხარვეზი. | 2             |
| 2. | ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.  | 1             |
| 3. | თხზულება სტილისტურად გაუმართავია.   | 0             |

### VIII კრიტერიუმი

| <i>№</i> | <i>სინტაქსური კონსტრუქციები</i>                          | <i>ქულები</i> |
|----------|--|---------------|
| 1.       | ნაშრომში დაშვებულია <i>ერთი</i> სინტაქსური შეცდომა.      | <b>2</b>      |
| 2.       | ნაშრომში დაშვებულია <i>ორი</i> სინტაქსური შეცდომა.       | <b>1</b>      |
| 3.       | ნაშრომში დაშვებულია <i>ორზე მეტი</i> სინტაქსური შეცდომა. | <b>0</b>      |

### IX კრიტერიუმი

| <i>№</i> | <i>მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია</i>     | <i>ქულები</i> |
|----------|---|---------------|
| 1.       | არ არის <i>ოთხზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.     | <b>2</b>      |
| 2.       | არ არის <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.    | <b>1</b>      |
| 3.       | დაშვებულია <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა. | <b>0</b>      |



# II ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2010

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!**  
**პასუხების ფურცლის გაქონვა დაუშვებელია!**  
**ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!**

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ენა; II. ქართული ლიტერატურა; III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება.

I ნაწილის (ქართული ენა) №1 დავალება შემდეგნაირად უნდა შეასრულოთ: მაგალითად, თუ პირველი (1) ხაზგასმული სიტყვისათვის შეარჩიეთ ლექსიკური ერთეული, რომელიც გ) ასოთია აღნიშნული, ამ შემთხვევაში უჯრედების პირველ სტრიქონში X-ით ის უჯრედი უნდა მონიშნოთ, რომელიც „გ“ ასოს შეესაბამება. მეორე სტრიქონში X ნიშანი იმ ასოს ქვეშ უნდა დასვათ, რომელიც მეორე (2) ხაზგასმული სიტყვისათვის თქვენ მიერ შერჩეულ ლექსიკურ ერთეულს შეესაბამება და ა. შ.

თუ პასუხების ფურცელში უჯრედი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ იგი მთლიანად გააშავეთ და იმავე სტრიქონში მონიშნეთ სხვა უჯრედი.

ტესტის I ნაწილის დანარჩენი დავალებებისა და II ნაწილის (ქართული ლიტერატურა) შესრულებისათვის აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს. **ყურადღებით გაეცანით ამ ინსტრუქციებს** და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადაგანა პასუხების ფურცელში.

ტესტის III ნაწილი – წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება – ორი დავალებისაგან შედგება. უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (ან №1 ან №2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: ა) **წაკითხულის გააზრება** და ბ) **წერითი დავალება**.

წაკითხულის გააზრების შესრულებისას **გაითვალისწინეთ**: თუ თქვენ აირჩიეთ დავალება №1, აღნიშვნები პასუხების ფურცელში გადაიგანეთ **საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას** (დავალება №1 – ა) წაკითხულის გააზრება), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აირჩიეთ დავალება №2, აღნიშვნები პასუხების ფურცელში გადაიგანეთ **№2 დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას** (დავალება №2 – ა) წაკითხულის გააზრება). შეგიძლიათ წაკითხულის გააზრების ყველა პასუხი ჯერ ტესტის ბუკლეტში მონიშნოთ და შემდეგ გადაიგანოთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას.

წერითი დავალების შავი ვარიანტის დასაწერად ტესტის ბუკლეტში საგანგებოდ ამისათვის გამოყოფილია რამდენიმე გვერდი (გვ. 13-15).

**ბახსოვდით**: აუცილებელია ყველა პასუხის გადაგანა პასუხების ფურცელში!  
**გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომელის პასუხების ფურცელი საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გაღებანილი!**

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

**ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.**

**გისურვებთ წარმატებას!**

## I. ქართული ენა

(4) 1. ტექსტში საზგასმული სიტყვების ნაცვლად შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელია კონტექსტისათვის უფრო შესაფერისი ლექსიკური ერთეულები.

- ა) ერთგული; ბ) ბრიალებს; გ) იმედისმომცემი; დ) კდემამოსილება; ე) კეთილგონიერება; ვ) საიმედო; ზ) საოცარი; თ) საოცნებო; ი) ღვივდება; კ) ხარობს.

საგნობრივ სიმბოლიკაში ყვავილს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ევროპულ კულტურაში ერთ-ერთი პოპულარული სიმბოლოა ია. მაღალი ხეების ჩრდილში ამოსული ეს (1)საკვირველი ყვავილი (2)თავმდაბლობა განასახიერებდა. თეთრი ია უმანკოების სიმბოლოა. გავრცელებული რწმენის თანახმად, იგი ქალწულთა საფლავებზე (3)იზრდება. ლურჯი ია (4)თავდადებულ სიყვარულზე მიანიშნებს.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები საზგასმული სიტყვების შესაბამისი ნომრების გასწვრივ მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

|    |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |
|----|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|
|    | ა                        | ბ                        | გ                        | დ                        | ე                        | ვ                        | ზ                        | თ                        | ი                        | კ                        |
| 1. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

(10) 2. ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები. ხუთ წინადადებაში თითო-თითო შეცდომაა, ხუთი წინადადება უშეცდომოა. თუ წინადადებაში შეცდომაა დაშვებული, აღნიშვნა **X** გააკეთეთ პირველი რიგის შესაბამის უჯრედში, ხოლო თუ წინადადებაში შეცდომა არაა, აღნიშვნა **X** გააკეთეთ მეორე რიგის შესაბამის უჯრედში.

|   | I<br>შეცდ.               | II<br>უშეცდ.             |
|---|--------------------------|--------------------------|
| 1. ცნობილი ფილოსოფოსი და ფილოლოგი ეფრემ მცირე მოღვაწეობდა XI საუკუნის II ნახევარში.                 | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. ეფრემი კონსტანტინოპოლში ეზიარა ბიზანტიურ კულტურას და სრულყოფილად შეისწავლა ბერძნული ენა.         | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. საბერძნეთიდან იგი გადავიდა შავ მთაზე, სადაც შეუერთდა ქართველ მოღვაწეთა მრავალ რიცხოვან ჯგუფს.    | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. ეფრემმა დაგვიტოვა მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებების სახით. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 5. იგი არ ჯერდებოდა ტექსტის მხოლოდ თარგმნას და მას სიტყვათა განმარტებებს ურთავდა.                   | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 6. ეფრემი ამ გზით ამდიდრებდა ლექსიკურ ფონდს, რითაც ხელს უწყობდა სალიტერატურო ენის სრულყოფას.        | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 7. იგივე მიზნით იგი იკვლევდა იშვიათად ხმარებული ქართული სიტყვების წარმომავლობას და განმარტავდა მათ. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

8. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ევრემის როლი ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარებაში.
9. ევრემის შრომებში განხილულია საკითხები, რომელიც ენის ნორმალიზაციას უკავშირდება.
10. მან ბერძნულ ენის ანალოგიით შექმნა პუნქტუაციის სისტემა და არაერთი გრამატიკული ტერმინი.

(14) 3. ტექსტში დაშვებულია სულ 11 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. *გაასწორეთ* ეს შეცდომები და ხარვეზები და *ისე გადაწერეთ ტექსტი*, რომ არც ერთი წინადადების შინაარსი არ შეცვალოთ. თუ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში არ იქნება არც ერთი შეცდომა, დამატებით მოგეცემათ 3 ქულა.

*გაითვალისწინეთ*, ერთ წინადადებაში შეიძლება შეგხვდეთ ერთზე მეტი შეცდომა ან ხარვეზი.

კატების ოჯახში გამოიყოფა პანტერათა სახეობა რომელსაც მიეკუთვნებიან შემდეგი მტაცებლები ღომი, იაგუარი, ვეფხვი და ლეოპარდი. ამ სახეობის ყველაზე დიდი წარმომადგენელია ვეფხვი. იგი ნადირობას დამით აწარმოებს. ვეფხვი გზა და გზა მაღალ ბალახში იმალება და მსხვერპლს სიბნელეში უეცრად ესხმის თავს. იგი ნანადირევის ნარჩენებს ფოთლებით ჰფარავს. ვეფხვის ახალდაბადებული ნაშიერები საშინლად ლამაზები, მაგრამ ბრმები და უსუსურებია. ყოველი მათთაგანი დედაზეა დამოკიდებული.

საჭიროა ვუზრუნველყოთ ამ უნიკალური ოჯახის უსაფრთხოება, რადგან დიდი კატების რამდენიმე სახეობას, რომელთაც ადამიანებმა საარსებო გარემო შეუზღუდეს გადაშენების გზაზეა.

(12) 4. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი სკოლის სამეურვეო საბჭომ გამოაცხადა კონკურსი: საუკეთესო ღონისძიება თემაზე – „უცხოური ენების შესწავლა ხალხთა დაახლოების აუცილებელი პირობაა“. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შექმენით ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელოთ, რამდენად აქტუალურია ეს თემა;
- აღწერეთ, კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებთ;
- დაასაბუთოთ, რა მნიშვნელობა ექნება ამ ღონისძიებას უშუალოდ თქვენი სკოლისათვის.

შეარჩიეთ ოფიციალურ-საქმიანი ტექსტის სტილი. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული, უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტექსტში გამოყოფილია ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი).

**გაითვალისწინეთ:** არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!

### შავი სამუშაოსათვის

-----

-----

-----

-----



(4) **6. ფატმანი ავთანდილს უამბობს უსენის შესახებ:**

„რას ვაგრძელებდე? გატეხა ფიცი, სიმტკიცე სჯულისა,  
უამბო პოვნა ქალისა, მჭერეტაგან მზედ სახულისა.  
მეფესა მეტად ეამა, მიეცა ღვინი გულისა,  
უბრძანა დარბაზს მოყვანა, სრულ-ქმნა უსენის თქმულისა.  
მე აქა ჩემსა ამოდ ვჯე, მუნამდის არ მიკვნესია.  
შემოდგა კარსა მეფისა მონათა უხუცესია,  
თანა ჰყვა მონა სამოცი, ვით ხელმწიფეთა წესია,  
მოვიდეს, ღია გაგჰკვირდი, ვთქვი: „რამე საქმე ზესია“.

1. *განმარტეთ*, კონკრეტულად რაში გამოიხატა უსენის მიერ ფიცის გატეხა.
2. *დაახახელეთ*, მეფის რა ემოცია ჩანს პირველ სტროფში (ციტირება დაუშვებელია!).
3. *განმარტეთ*, რა მიზნით ეწვია ფატმანს მეფის მონათა უხუცესი.
4. *ამოიწერეთ* სამი სიტყვა, რომლებშიც ჩანს – ამ მომენტამდე ფატმანი კმაყოფილი იყო თავისი ცხოვრებით.

(3) **7. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი დავით გურამიშვილის „დავითიანიდან“:**

სახით სიტყვა შევნიერო, სხიო, მზეთა მზის სახეო,  
ვეძებე და შენი მზგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო;  
გვაჯები, ნუ გამწირავ, მოგჰკვდე, შენ კერძ დამმარხეო,  
ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდე, მიწყალობე სამოთხეო!  
ვამე, ჩემო საესავო, ტკბილო ცხოვრებისა წყარო,  
გავეყარე შენს სახესა, ვა თუ, ველარ შავეყარო!  
აწ შენვე გთხოვ, შენ შემყარო, ვინც გარდასთენ ცა-სამყარო,  
მასაც გვედრებ, ვინც გამყარა, მისი ჯაგრიც ამამყარო!

1. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც ჩანს, რომ დავითი ამქვეყნად ვერ ხედავს უმაღლეს სულიერ ფასეულობას.
2. *განმარტეთ*, რა იგულისხმება გადატანითი მნიშვნელობით სიტყვებში: „შენ კერძ დამმარხეო“ (ციტირება დაუშვებელია!).
3. *განმარტეთ*, რა არის პოეტის სევდის მიზეზი.

(3) **8. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირას“:**

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრო გასართველად,  
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;  
აქ ღბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,  
აქაც ყოველი არე-მარე იყო მოწყენით;  
ნელად მოღელავს მოღუღუნე მტკვარი ანკარა  
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა.  
იდაყვ-დაყრდნობილ ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალსა  
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!

1. *განმარტეთ*, რატომ ისწრაფვის პოეტი მტკვრის ნაპირას განმარტოებისაკენ (ციტირება დაუშვებელია!).
2. *ამოიწერეთ* პირველი სტროფიდან სტრიქონი, რომელშიც გამოყენებულია გაპიროვნება.
3. *განმარტეთ*, რისკენ ისწრაფვის პოეტის მხერა (ციტირება დაუშვებელია!).

(3) **9. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „კაცია-ადამიანი?!“:**

ვინც ლუარსაბის სახეში თავის-თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის-თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს და „გიჟიას“ დაუძა-

ხებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ.

სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გაგამხნევებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“... ზოგი გულის-ტკივილს იმითი იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმითი, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულის-ტკივილი და სიყვარული აქვს – ეს თითონ მკითხველმა გამოიცნოს.

1. *განმარტეთ*, რატომ ვარაუდობდა ილია, რომ მის თანამედროვე მკითხველს ლუარსაბის სახეში შეიძლებოდა საკუთარი თავი ეცნო (ციტირება დაუშვებელია!).
2. *განმარტეთ*, მკითხველის რა რეაქციას ელის ავტორი (ციტირება დაუშვებელია!).
3. ჩამოაყალიბეთ პრინციპი, რომელსაც, ამ ტექსტის მიხედვით, უნდა ემსახურებოდეს მწერლობა (ციტირება დაუშვებელია!).

**(3) 10. ვაჟა-ფშაველას პოემაში „გველის მჭამელი“ ვკითხულობთ:**

გამარჯვებულნი მოდიან  
ხევსურეთს ვაჟნი მუდამა.  
ზღუდე გამაგრდა ქართლისა,  
მტერს შაუკერეს სუდარა.  
ერი თუ მტრის მძლეველია,  
მის მეტი არა უნდარა...  
ხევსურებს არა უშავთრა,  
ვეღარვინ ჰბედავს რჩოლასა...

1. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით, რა იგულისხმება სტრიქონში: „ზღუდე გამაგრდა ქართლისა“.
2. *დაასახელეთ*, რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მეოთხე სტრიქონში.
3. *ამოიწერეთ* სიტყვა, რომელიც გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავს მტრობას.

**(4) 11. ლეო ქიჩელის მოთხრობაში „ჰაკი აბა“ ვკითხულობთ:**

ძალიან უცნაური სახის ადამიანი გამოჩნდა, რომლის დანახვამ სოხუმელები ძალიან გააოცა... ამათი გაოცების მიზეზი ის იყო, რომ ამ კაცის ერთ ტანზე ორ პირისახესა და სამ თვალს ხედავდნენ სრულიად გარკვეულად. იგი ნავს ორნაირი მიმართულებით დასცქეროდა: ერთთვალნიანი სახით რომ დელეგატებს ათვალიერებდა, მეორე ორთვალნიანი სახით ვასილი ხრიტანიუკს დასწერებოდა რაღაც სასტიკი, რისხვიანი გამომეტყველებით, რომელსაც არ შეიძლებოდა შიში არ გამოეწვია. – შავი ქურთუკი ეცვა, სახელოებზე ყაითანშემოვლებული, რომლის კალთის ქვეშ მარჯვენა გვერდზე მოგრძოლულიანი რევოლვერი ეკიდა ბუდით.

1. *განმარტეთ*, კონკრეტულად რა იყო უცნობის გარეგნობაში საოცარი.
2. *დაასახელეთ* ამ პერსონაჟის სულიერი თვისება, რომელზედაც მიგვანიშნებს ავტორი.
3. *განმარტეთ*, გაოცების გარდა, კიდევ რა განცდა დაეუფლათ სოხუმელებს.
4. *დაასახელეთ* ლიტერატურული მიმართულება, რომელსაც მიეკუთვნება ეს ტექსტი.

**(2) 12. ტიცინი ტაბიძის ლექსში „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“ ვკითხულობთ:**

და გადავყურებ აღმას უფსკრულებს,  
კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს,  
ვხედავ გიგანტის შოლტის მუსკულებს  
და რკინის ბაწარს, ყელზე რომ მომდებს.

1. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთ-ერთ პოეტურ სახეს ეხმიანება.
2. *განმარტეთ*, რა განცდაა გამოხატული ბოლო ორ სტრიქონში.

### III. წაკითხულის გააზრება და წერიტი დავალება

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

წაკითხულის გააზრების შესრულებისას **გაითვალისწინეთ:** თუ თქვენ აირჩიეთ დავალება №1, აღნიშვნები პასუხების ფურცელში გადაიტანეთ საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას (დავალება №1 – ა) წაკითხულის გააზრება), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აირჩიეთ დავალება №2, აღნიშვნები პასუხების ფურცელში გადაიტანეთ №2 დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას (დავალება №2 – ა) წაკითხულის გააზრება).

#### დავალება № 1

„ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილია ფატმან ხათუნის გამიჯნულების ამბავი:

სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის:

გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის,  
მართ ანაზღად გიღალატებს, გაჰკვეთს, რაცა დაესობის.

მით დიაცსა სამალავი არასთანა არ ეთხრობის.

ფატმან ხათუნს აეთანდილის გულსა ნდობა შეუვიდა,

სიყვარული მეტის-მეტი მოემატა, ცეცხლებრ სწვიდა.

დამალვასა ეცდებოდა, მაგრა ჭირთა ვერ მალვიდა,

იტყვის: „რა ვქმნა, რა მერგების?“ აწვიმებდა, ცრემლთა ღვრიდა...

დაწერა წიგნი საბრალო, მის ყმისა მისართმეველი,

მისისა მიჯნურობისა, მისთა პატიუთა მცნეველი,

მისთა მსმენელთა გულისა შემძვრელი, შემარხეველი,

უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახეველი:

„ჰე, მზეო, ღმერთსა ვინათგან მზედ სწადდი დასაბადებლად,

მით შეგქმნა მოშორებულთა ჭირთა, არ ღხინთა მწადებლად,

ახლოს შემყრელთა დამწველად, მათად ცეცხლისა მადებლად,

მნათობთა შენი შეხედვა ტკბილად უნს, დასაქადებლად.

შენ გტრფიალობენ მჭვრეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდებიან,

ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არ შენზედა კრფებიან!

შენი შვენება ყვავილთა აჭნობს, ჩემნიცა ჭნებიან;

სრულად დამწვარვარ, თუ მზისა შუქნი არ მომესწრებიან...

მე ვირე ამა წიგნისა პასუხი მომივიდოდეს,

ვცნობდე, გინდოდე საკლავად, ან ჩემი რა გაგვიდოდეს,

მუნამდის გაგძლო სულთა დგმა, გული რაზომცა მტკიოდეს,

სიცოცხლე ანუ სიკვდილი გარდმიწყდეს, ნეტარძი, ოდეს!“

ფატმან ხათუნ დაწერა და გაუგზავნა წიგნი მისი.

ყმამან ასრე წაიკითხა, და ვინმეა ანუ თვისი;

თქვა: „არ იცის გული ჩემი, ვინ მაშიეობს, ვისსა ვისი!

რომე მიმიჩნს სამიჯნურო, რათ ვამსგავსო მე მას ისი!“

თქვა: „ყვაგი ვარდსა რას აქმნევს ანუ რა მისი ფერია!

მაგრა მას ზედა ბულბულსა ჯერთ ტკბილად არ უმღერია.

უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია.

რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!“

ესევეგარი საზრახავი დაუზრახა გულსა შინა;

მერმე იტყვის: „ჩემგან კიდე ჩემი შემწე არავინ-ა;

რასათვისცა გამოჭრილვარ, მისი ძებნა რათგან მინა,

რათაცა ვით ვჰპოვებ, მას ვიქმ, გულმან სხვამცა რა ისმინა!

ისი დიაცი აქა ზის, მნახავი კაცთა მრავალთა,

მოსადგურე და მოყვარე მგზავრთა, ყოველგნით მავალთა;

მივჰყვე, მიაძობს ყველასა, რაზომცა ცეცხლი მწვავ ალთა,

ნუთუ რა მარგოს, გარდახდა მე მისგან ჩემთა ვცნა ვალთა!“

თქვა: „ღიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს გულსა, აუგი და მოყვინება არად შესწონს ყოლა კრულსა; რაცა იცის, გაუცხადებს, ხვაშიადსა უთხრობს სრულსა; მიჯობს, მივჰყვე, განლა სამე ვსცნობ საქმესა დაფარულსა“.

კვლა იტყვის: „ვერვინ ვერას იქმს, თუ ეტლი არ მოსთმინდების, მით, რაცა მინდა, არა მაქვს, რაცა მაქვს, არ მომინდების; ბინდის გვარია სოფელი, ესე თურ ამად ბინდების, კოკასა შიგან რაცა ღვას, იგივე წარმოსდინდების“.

### ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

#### უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- (1) 13. რა არის პირველი სტროფის მთავარი სათქმელი?
  - ა) ქალი ადვილად შეგიყვარებს.
  - ბ) ქალი არასოდეს გიღალატებს.
  - გ) ქალი ზოგჯერ მოგატყუებს.
  - დ) ქალის ნდობა არ შეიძლება.
- (1) 14. რომელ სტრიქონში ჩანს, რომ ფატმანს ერიდება, ავთანდილს თავისი გრძობა გაუმჟღავნოს?
  - ა) „ფატმან ხათუნს ავთანდილის გულსა ნდობა შეუვიდა“.
  - ბ) „სიყვარული მეტის-მეტი მოემატა, ცეცხლებრ სწვიდა“.
  - გ) „დამალვასა ეცდებოდა, მაგრა ჭირთა ვერ მალვიდა“.
  - დ) „იტყვის: „რა ვქმნა, რა მერგების?“ აწვიმებდა, ცრემლთა ღვრიდა“.
- (1) 15. ტროპული მეტყველების რომელ საშუალებას იყენებს ავტორი სტრიქონში: „ჰე, მზეო, ღმერთსა ვინათგან მზედ სწადდი დასაბადებლად“?
  - ა) გაპიროვნებას.
  - ბ) ეპითეტს.
  - გ) შედარებას.
  - დ) ჰიპერბოლას.
- (1) 16. რომელი სტრიქონი გამოხატავს აზრს: გამწირავ შენი გულცივობით, თუ ხათრს გამიწევ?
  - ა) „ვცნობდე, გინდოდე საკლავად, ან ჩემი რა გაგვიდოდეს“.
  - ბ) „მუნამდის გაგძლო სუღთა დგმა, გული რაზომცა მტკიოდეს“.
  - გ) „სრულად დამწვარვარ, თუ მზისა შუქნი არ მომესწრებიან“.
  - დ) „შენ გტრფიალობენ მჭვრეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდებიან“.
- (1) 17. რით ახსნა ავთანდილმა ფატმანის კადნიერება?
  - ა) ფატმანმა არ იცოდა, რომ ავთანდილი არაბეთის სპასპეტი იყო.
  - ბ) ფატმანმა არ იცოდა, რომ ავთანდილი სახელგანთქმული მეომარი იყო.
  - გ) ფატმანმა არ იცოდა, რომ ავთანდილს მიჯნური ჰყავდა.
  - დ) ფატმანმა არ იცოდა, რომ ავთანდილი ტარიელისათვის ზრუნავდა.
- (1) 18. რომელი მხატვრული სახე შეიძლება გულისხმობდეს თინათინს?
  - ა) ბუღბუღი.
  - ბ) ვარდი.
  - გ) მზე.
  - დ) მნათობი.
- (1) 19. რომელ სტრიქონში ჩანს მოტივი, რომლის გამოც ავთანდილი დაჰყვა ფატმანის ნებას?
  - ა) „მერმე იტყვის: „ჩემგან კიდე ჩემი შემწე არავინა“.
  - ბ) თქვა: „ღიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს გულსა“.



- გ) „აუგი და მოყვინება არად შესწონს ყოლა კრულსა“.
- დ) „მიჯობს, მივჰყვე, განლა სამე ვსცნობ საქმესა დაფარულსა“.

(1) 20. რას გულისხმობს ავთანდილი სიტყვებში: „ვერვინ ვერას იქმს, თუ ეტლი არ მოსთმინდების“?

- ა) ბედისწერა ვერაფერს შეცვლის ადამიანის ცხოვრებაში.
- ბ) ბედისწერის დახმარების გარეშე ადამიანი ვერაფერს მიაღწევს.
- გ) ბედისწერის მიუხედავად ადამიანი მაინც მიაღწევს მიზანს.
- დ) მხოლოდ ბედისწერის დახმარებით ადამიანი ვერაფერს მიაღწევს.

(1) 21. რას ახასიათებს მოცემული მონაკვეთის უკანასკნელი ორი სტრიქონი?

- ა) ზეციურ სამყაროს.
- ბ) მიწიერ სამყაროს.
- გ) პიროვნების ნებას.
- დ) ღვთის ნებას.

(1) 22. ავთანდილის რა თვისება ჩანს ამ ეპიზოდში?

- ა) ერთგულება.
- ბ) ვაჟკაცობა.
- გ) მიმტვევებლობა.
- დ) შორსმჭვრეტელობა.

**ბ) წერითი დავალება:**

**წერითი დავალების ინსტრუქცია:**

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულნი, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გამწვანდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამომვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

*წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.*

**გააანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ, როგორ პერსონაჟად წარმოგიდგება ფატმან ხათუნი;
- იმსჯელეთ ავთანდილის მხატვრული სახის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ პერსონაჟის ქცევის მოტივაციას);
- იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებითაა გამოხატული ავტორის სათქმელი. *თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!*

## დავალება № 2

ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ პერსონაჟის სვიმონ ჩოფიკაშვილის წინაშე დგას საბედისწერო არჩევანი საკუთარ იდეალებსა და მეფის გადაწყვეტილებას შორის:

საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლამდინაც სვიმონ ჩოფიკაშვილი იყო ერთი მიღებული კაცთაგანი მეფესთან. ამას ებარა მთელი მთის ხალხი და ის სიმაგრეები, რომელსაც კავკასიის კარს უწოდებდნენ – დარიელა.

ეს პირი ჯერ წინააღმდეგი იყო რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლისა, მაგრამ უკანასკნელს რჩევაზედ, რომელიც მეფის სასახლეში იყო გამართული, შეიტყო მეფის გარდაწყვეტილი სურვილი და, როგორც მეფის ერთგულთაგანი, რომელსაც მეფის წადილის წინააღმდეგობა მომაკვდავ ცოდვად მიაჩნდა, დამორჩილდა ბრძანებას და მიემხრო შეერთების მსურველთა.

რჩევის შემდეგ ისევ თავის მთებში დაბრუნდა და, მეფის ბრძანებისამებრ, თავის თავზედ მიიღო ზრუნვა მომავალს რუსებზედ.

ის გულმოდგინედ ასრულებდა ამ სამსახურს და ცდილობდა მეფე გიორგის აღსრულებოდა ის წადილი და ის სარგებლობა, რომელსაც მეფე და მისი მომხრენი ამ მფარველობისაგან მოელოდნენ. რუსებმაც ჩქარა შენიშნეს სვიმონ, რადგანაც დაინახეს იმისი გავლენა მთაში და თავის მხრითაც ჯარების შესახებ მიანდეს სხვადასხვა განკარგულება. რასაკვირველია, ეს იმათთვის სასარგებლო პირი კიდევ დააჯილდოვეს და პირდაპირ მაიორის მუნდირით და ეპოლეტებით მხარბეჭი აუყვავეს.

სვიმონის ამგვარმა მდგომარეობამ შური აღუძრა გაგის, რომელსაც სამუდამო ზრუნვად შეექმნა სვიმონის დამცირება, რომ იმისი ადგილი თითონ დაეჭირა. ამისათვის გაგი შეუჩნდა ალექსანდრე ბატონიშვილს, დაარწმუნა, რომ რუსების შემოსვლის მიზეზი მხოლოდ სვიმონ იყო, და ეს რომ არ ერეოდეს საქმეში და არ უშლიდეს, რუსების განდევნა ადვილი იქმნებოდაო. ბატონიშვილი წინადავე იცნობდა სვიმონს, როგორც ერთ სასარგებლო და ჭკვიან კაცს და ამისათვის იმის დაცემა იქამდის არ უნდოდა, სანამ იმის მომხრობას არ სცდიდა.

ალექსანდრემ, რომელსაც ხევსურეთში თავის მომხრე ჯარები შეეყარა, გამოუგზავნა კაცი სვიმონს და ითხოვდა მისგან სრულს მორჩილებას, ხევიდან რუსების გარეკას და ამ უკანასკნელებისათვის შემოსასვლელ გზების შეკერას. ამ ბრძანების აღსრულებისათვის ალექსანდრე ბატონიშვილი პირდებოდა დიდ პატივს და წყალობას, მაგრამ უკეთუ სვიმონ არ დამორჩილდებოდა, მაშინ ემუქრებოდა სარჩო-საბადებლის გადაწვას და ცოლ-შვილით ამოწყვეტას.

– როცა დრო იყო, მეც ვიძახოდი: რად გვინდა რუსები-მეთქი! მაგრამ მეფემა ბრძანა, შემოუშვიო, და მეც მეფის ბრძანებას საით გადაუვლიდი? – წარმოსთქვა სვიმონმა და ჩაჰკიდა თავი.

– მაშ ეხლა, ეხლა რას აპირებ?

– ახლა გვიან-დაა, გვიან!..

– მაშ რას პასუხს აძლევ ბატონიშვილს, იმის მხარეს არ იჭერ?

– არა.

– რას ამბობ? ხომ სულ ამოგწყვეტავს, სახლ-კარს ამოგიწვავს!

– რაი უყო?.. თუ რუსების შემოშვება არ გინდოდათ, მაშინ წინადავე უნდა გეფიქრათ, თუ არა და ეხლა, როცა ყველა სიმაგრეები ხელში ჩაიგდეს, მე რით-ღა განვდევნო?!

– გაიგე კარგა, რომ რუსებს მეფე მფარველობასა სთხოვს და...

– მეც ვგრე მგონია!.. აბა, რაი უყო? მეფეს ვგრე უნდა... – რაღაც მწუხარებით წარმოსთქვა სვიმონმა და დაეტყო, რომ ის მოქმედებდა თავის სურვილის წინააღმდეგ.

გაკვირვებული მოციქულები ყურს უგდებდნენ სვიმონის გადაწყვეტილებას, ისინი იცნობდნენ სვიმონს მთის კაცად, რომლისთვისაც თავისუფლება ყველაზედ უმაღლესი ჯილდო არის, და ეს კი თავის თავს და თავის ქვეყანას სხვა გვარტომობის ხალხს მონად აძლევდა! მონად აძლევდა ამისთვის, რომ თვითონაც დარწმუნებული იყო, რომ საქართველო რუსების ბატონობას ვერ გადარჩებოდა.

– მაშ ბატონიშვილს რა პასუხს უთვლი?

– ბატონიშვილსა? ჩემგან ხვეწნა და მუდარა მოახსენე: მეფეს ნუ ეწინააღმდეგება და საქართველოს ძალას შუაზე ნუ ჰყოფს... თუ ერთად ვიქნებით, რუსები კიდევ ვერას გვიზამენ, მაგრამ, თუ შუა გავიყავით, მაშინ ჩვენი საქმე წასულია!.. ჩავიდეს მეფესთან, მოუდგეს გვერდსა და რაიცა რუსებთან პირობები გვაქვს, ისინი აასრულებინოს! თორემ თუ ვგრე მოვიქცით, ჩვენ ერთმანეთთან ბრძოლაში დავიქანცებით, დავსუსტდებით, და რუსები კი თავიანთ წადილს აასრულებენ... ჩავიდეს მეფესთან, ჩა! მეფე ღვთისაგან არის დანიშნული. იმის გულის პასუხს კაცი ვერ მისწვდების, – მეფეს ყველა უნდა ემორჩილებოდეს.

– უფროხილდი, სვიმონ, ბატონიშვილი განრისხდება მაგ პასუხით და მაშინ ველარავინ გიხსნის.

– რა უყო!.. მეფის ბრძანებას და სურვილს ვერ გადავალ და თუ ბრძანებს, მარტო მე შევებში რუსებს.

ამ პასუხით გაისტუმრა იმან შუაკაცები, რომელთაც ბატონიშვილს ამ სიტყვების აზრი სრულებით სხვარიგად გადასცეს. იმათ ჩააგონეს, რომ სვიმონ დალატობს სამშობლოსაც და თვითონ მეფესაც, რომ სვიმონს ხალხის მოსვენება და თავისუფლება ბრჭყვიალა ტანისამოსზედ გაუცვლია.

ბატონიშვილმა გამოისტუმრა ჯარები სვიმონის დასასჯელად და გავის ჩააბარა იმათზედ უფროსობა. ეს ამბავი სვიმონს შეატყობინეს და ის თავის ცოლ-შვილით გაიხიზნა ჩერქეზეთში, თავის ცოლის სამშობლოში, სადაც რამოდენიმე ხანს დარჩა.

სვიმონს ისე საჩქაროდ მოუხდა თავის სახლიდგან გაქცევა, ისე მოულოდნელად, რომ ძლივს მოასწრო ცოცხალი თავის გახწევა და საქონელი, სიმდიდრე თუ სხვა ბარგი, ყველაფერი იქ დარჩა და შეიქმნა განადგურებული შემოსეულის ჯარისაგან.

სვიმონის სახლი გაცარცვეს, შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს, და, რისაც წაღება ვერ შეძლეს, მთლად ჩაბუგეს...

### ა) წაკითხულის გააზრება:

დავადების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

#### უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- (1) 13. რა თანამდებობა ეკავა სვიმონ ჩოფიკაშვილს?
  - ა) მეფისნაცვლის მოადგილე იყო.
  - ბ) მთიულეთის ხევისბერი იყო.
  - გ) ხევის მმართველი იყო.
  - დ) ხევსურეთის გუბერნატორი იყო.
  
- (1) 14. რა ინფორმაციას გვაძლევს სვიმონ ჩოფიკაშვილის შესახებ ტექსტის მეორე აბზაცი?
  - ა) საკუთარი სურვილის საპირისპიროდ რუსეთთან ურთიერთობას შეუწყო ხელი.
  - ბ) საკუთარი სურვილის საპირისპიროდ რუსეთის მეფის სურვილს დაემორჩილა.
  - გ) საკუთარი სურვილის საპირისპიროდ რუსეთის ჯარს შემოუძღვა საქართველოში.
  - დ) საკუთარი სურვილის საპირისპიროდ წინ აღუდგა რუსეთის შემოსვლას ხევში.
  
- (1) 15. რა მოტივი ამოძრავებდა სვიმონ ჩოფიკაშვილს?
  - ა) მეფის ერთგულების გრძნობა.
  - ბ) სამსახურებრივი დაწინაურების წადილი.
  - გ) სახელის მოხვეჭის სურვილი.
  - დ) შვილების კეთილდღეობაზე ზრუნვა.
  
- (1) 16. რატომ არწმუნებდა გაგი ალექსანდრე ბატონიშვილს, რომ სვიმონი მოღალატე იყო?
  - ა) სურდა რუსების განდევნა საქართველოდან.
  - ბ) სურდა რუსების გულის მოგება.
  - გ) სურდა სვიმონის დაბეზღება მეფესთან.
  - დ) სურდა სვიმონის თანამდებობის დაკავება.
  
- (1) 17. რატომ არ სურდა ალექსანდრე ბატონიშვილს სვიმონ ჩოფიკაშვილის დასჯა მანამდე, სანამ მის მიმხრობას არ სცდიდა?
  - ა) იმიტომ, რომ სვიმონს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი.
  - ბ) იმიტომ, რომ სვიმონს დიდი თანამდებობა ჰქონდა მოპოვებული.

- გ) იმიტომ, რომ სვიმონს მრავალრიცხოვანი ჯარი ემორჩილებოდა.
- დ) იმიტომ, რომ სვიმონს რუსები ანგარიშს უწევდნენ.

(1) 18. რას ითხოვდა სვიმონისაგან ალექსანდრე ბატონიშვილი?

- ა) არ შემოეშვა რუსეთის ჯარი დარიალის ხეობაში.
- ბ) სრული მორჩილება გამოეცხადებინა რუსეთის სარდლობისათვის.
- გ) უსიტყვოდ დამორჩილებოდა გაგი ჩოფიკაშვილის ბრძანებას.
- დ) ცოლ-შვილის ამოწყვეტის შიშით გახიზნულიყო ჩერქეზეთში.

(1) 19. რას სთხოვდა სვიმონ ჩოფიკაშვილი ალექსანდრე ბატონიშვილს?

- ა) არ დაესუსტებინა საქართველო.
- ბ) არ დამორჩილებოდა მეფეს.
- გ) არ დამორჩილებოდა რუსებს.
- დ) არ დაქანცულიყო ბრძოლით.

(1) 20. რატომ იყვნენ ბატონიშვილის მოციქულები გაკვირვებულნი სვიმონის გადაწყვეტილებით?

- ა) იმიტომ, რომ სვიმონი ამტკიცებდა, საქართველო რუსების ბატონობას ვერ გადაიტანსო.
- ბ) იმიტომ, რომ სვიმონი მთის ხალხში თავისუფლებისმოყვარე ვაჟკაცად იყო ცნობილი.
- გ) იმიტომ, რომ სვიმონი მხოლოდ საკუთარი დაწინაურებისა და კარიერისათვის ზრუნავდა.
- დ) იმიტომ, რომ სვიმონი ხალხის ნება-სურვილს ყურადღებას არ აქცევდა.

(1) 21. რატომ გამოგზავნა ბატონიშვილმა ჯარები სვიმონის დასასჯელად?

- ა) იმიტომ, რომ გაგის დაწინაურება სურდა.
- ბ) იმიტომ, რომ დაარწმუნეს სვიმონის დალატში.
- გ) იმიტომ, რომ მოხევეთა დასჯა სურდა.
- დ) იმიტომ, რომ ხიფათს არ ერიდებოდა.

(1) 22. სვიმონ ჩოფიკაშვილის რა თვისება ჩანს ამ ტექსტში?

- ა) ამპარტავნობა.
- ბ) მიმტვევებლობა.
- გ) მოხერხებულობა.
- დ) პრინციპულობა.

ბ) წერითი დავალება:

**წერითი დავალების ინსტრუქცია:**

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულნი, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკე-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

*წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.*

**გააანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელოთ ტექსტში ასახული დრამატული ვითარების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ ალექსანდრე ბატონიშვილისა და სვიმონ ჩოფიკაშვილის დაპირისპირების მიზეზებს);
- იმსჯელოთ სვიმონის მხატვრული სახის შესახებ (შეაფასეთ, რამდენად დამაჯერებელია მისი არგუმენტები);
- იმსჯელოთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი თავისი სათქმელის გამოსახატავად. **თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

**შავი სამუშაოსათვის**

---



---



---



---



---

A series of horizontal dashed lines spanning the width of the page, intended for writing or drawing.

A series of horizontal dashed lines spanning the width of the page, intended for writing or drawing.





# ქართული ენა და ლიტერატურა

## II ვარიანტი (შეფასების სქემა)

### ქართული ენა

1. 1. – ზ); 2. – დ); 3. – კ); 4. – ა).
2. I შეცდ. 3, 5, 7, 9, 10; II უშეცდ. 1, 2, 4, 6, 8.
3. კატების ოჯახში გამოიყოფა პანტერათა სახეობა, რომელსაც მიეკუთვნებიან შემდეგი მტაცებლები: ლომი, იაგუარი, ვეფხვი და ლეოპარდი. ამ სახეობის ყველაზე დიდი წარმომადგენელია ვეფხვი. იგი ღამით ნადირობს. ვეფხვი გზადაგზა მაღალ ბალახში იმალება და მსხვერპლს სიბნელეში უეცრად ესხმის თავს. იგი ნანადირევის ნარჩენებს ფოთლებით ფარავს. ვეფხვის ახალდაბადებული ნაშიერები ძალიან ღამაზები, მაგრამ ბრძეები და უსუსურები არიან. ყოველი მათგანი დედაზეა დამოკიდებული.  
საჭიროა უზრუნველყოთ ამ უნიკალური ოჯახის უსაფრთხოება, რადგან დიდი კატების რამდენიმე სახეობა, რომელთაც ადამიანებმა საარსებო გარემო შეუზღუდეს, გადაშენების გზაზეა.

### ქართული ლიტერატურა

5. შუშანიკის აზრით, მისი მდგომარეობა იმიტომ არ არის სატირელი, რომ ტანჯვის საზღაურად იგი იმქვეყნად ნეტარებას (სასუფეველს) მოიპოვებს (სამოთხეში მოხვდება, წამება საუკუნო სიხარულად გადაექცევა...). ხუცვის სიტყვებში ჩანს მისი მზრუნველობა დედოფლის მიმართ (ჩანს, რომ იგი თანაუგრძნობს ტანჯულ დედოფალს). „სისხლი ესე განმწმედელ არს ცოდვათა ჩემთაი“.  
1. *სასუფეველს მოიპოვებს* \_\_\_\_\_ 1ქ.  
2. *თანაგრძნობა* \_\_\_\_\_ 1ქ.  
3. *სისხლი ესე განმწმედელ არს ცოდვათა ჩემთაი* \_\_\_\_\_ 1ქ.
6. უსენმა მეფეს გაუმჟღავნა საიდუმლო, რომელიც მას ფატმანმა გაანდო (უამბო გულანშა-როში ნესტან-დარეჯანის ყოფნის შესახებ). მეფე გაახარა უსენის მიერ მოთხრობილმა ამბავმა (მეფეს ესიამოვნა). მეფის მონათა უხუცესი ფატმანს ეწვია ნესტან-დარეჯანის წასაყვანად (მეფის ბრძანების შესასრულებლად). „მუნამდის არ მიკვნესია“.  
1. *მეფეს გაუმჟღავნა ფატმანის მიერ განდობილი საიდუმლო* \_\_\_\_\_ 1ქ.  
2. *გაუხარდა* \_\_\_\_\_ 1ქ.  
3. *ნესტანის წასაყვანად* \_\_\_\_\_ 1ქ.  
4. *მუნამდის არ მიკვნესია* \_\_\_\_\_ 1ქ.
7. „ვეძებ და შენი მზგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო“. სიტყვებში – „შენ კერძ დამმარხო“ – იგულისხმება: შენთან (სამოთხეში) მამყოფე (სასუფეველში წამიყვანე, ჯოჯოხეთი ამარიდე). პოეტის სევდის მიზეზია მისი დაშორება ქრისტესაგან (სამშობლოდან გადახვეწა).  
1. *ვეძებ და შენი მზგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო* \_\_\_\_\_ 1ქ.  
2. *შენთან (სამოთხეში) მამყოფე* \_\_\_\_\_ 1ქ.  
3. *ღვთისაგან შორს ყოფნა (სამშობლოდან გადახვეწა)* \_\_\_\_\_ 1ქ.
8. პოეტი მტკვრის პირას განმარტოებისკენ ისწრაფვის, რათა ბუნებაში იპოვოს ნუგეში (სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად). „აქაც ყოველი არე-მარე იყო მოწყენით“. პოეტის მზერა ისწრაფვის პორიზონტისაკენ (ცისკენ).  
1. *ბუნებაში ეძებს ნუგეშს* \_\_\_\_\_ 1ქ.  
2. *აქაც ყოველი არე-მარე იყო მოწყენით* \_\_\_\_\_ 1ქ.  
3. *პორიზონტისაკენ (ცისკენ)* \_\_\_\_\_ 1ქ.

9. ილია ვარაუდობდა, რომ მისი თანამედროვე მკითხველი ლუარსაბის სახეში საკუთარ თავს იცნობდა, რადგან ლუარსაბი იმდროინდელი ქართველი თავადის განზოგადებულ სახედ წარმოადგინა. ილია მოელის, რომ მკითხველი აღშფოთდება (მკითხველი დაძრახავს, გააკრიტიკებს...). ტექსტის მიხედვით, მწერლობა უნდა ემსახურებოდეს ერის ინტერესებს (უნდა აკრიტიკებდეს ერის ნაკლოვანებებს, მწერლობამ უნდა ასახოს სინამდვილე).

1. ლუარსაბი ქართველთა ნაკლის კრებითი სახეა \_\_\_\_\_ 1ქ.
2. გაბრაზდება \_\_\_\_\_ 1ქ.
3. მწერლობა ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს \_\_\_\_\_ 1ქ.

10. სტრიქონში „ზღუდე გამაგრდა ქართლისა“ იგულისხმება, რომ მტრის წინააღმდეგ ხევსურთა თავდადებული ბრძოლების წყალობით ქართლი გაძლიერდა (ქართლის საზღვრები განმტკიცდა, მტერი დამარცხდა, ხევსურეთი უსაფრთხოდა...). მეოთხე სტრიქონში გამოყენებულია მეტაფორა. მტრობას გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავს სიტყვა „რჩოლა“.

1. საზღვარი განმტკიცდა \_\_\_\_\_ 1ქ.
2. მეტაფორა \_\_\_\_\_ 1ქ.
3. რჩოლა \_\_\_\_\_ 1ქ.

11. უცნობის გარეგნობაში საოცარი იყო მისი „ორი პირისახე და სამი თვალი“. ავტორი მიგვანიშნებს უცნობის სისასტიკეზე (დაუნდობლობაზე, სიმკაცრეზე...). სოხუმის მცხოვრებნი შეშინდნენ (აღელდნენ, აფორიაქდნენ...). ეს ტექსტი მიეკუთვნება რეალისტურ მიმართულებას (დასაშვებია აგრეთვე – ნეორომანტიკულს).

1. ორი პირისახე და სამი თვალი \_\_\_\_\_ 1ქ.
2. სისასტიკეზე \_\_\_\_\_ 1ქ.
3. შეშინდნენ \_\_\_\_\_ 1ქ.
4. რეალიზმს \_\_\_\_\_ 1ქ.

12. „კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს“. ბოლო სტრიქონში გამოხატულია განწირულების შეგრძნება (მოახლოებული სიკვდილის შეგრძნება, შიში).

1. კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს \_\_\_\_\_ 1ქ.
2. შიში \_\_\_\_\_ 1ქ.

### წაკითხულის გააზრება

#### (დავალება №1)

- |                 |                 |                 |                 |                 |
|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 13. დ) -----1ქ. | 14. გ) -----1ქ. | 15. დ) -----1ქ. | 16. ა) -----1ქ. | 17. გ) -----1ქ. |
| 18. ა) -----1ქ. | 19. დ) -----1ქ. | 20. ბ) -----1ქ. | 21. ბ) -----1ქ. | 22. დ) -----1ქ. |

#### (დავალება №2)

- |                 |                 |                 |                 |                 |
|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 13. გ) -----1ქ. | 14. ა) -----1ქ. | 15. ა) -----1ქ. | 16. დ) -----1ქ. | 17. ა) -----1ქ. |
| 18. ა) -----1ქ. | 19. ა) -----1ქ. | 20. ბ) -----1ქ. | 21. ბ) -----1ქ. | 22. დ) -----1ქ. |

**№ 4 დავალების შეფასების კრიტერიუმები**  
(საერთო ოთხივე ვარიანტისათვის)

მაქსიმალური ქულა – 12.

**I. კრიტერიუმი**

| №  | ტექსტის ორგანიზება  | ქულები                     |
|----|---|----------------------------|
| 1. | ტექსტი <i>ორგანიზებულია</i> და პასუხი გაცემულია <i>სამივე</i> მითითებაზე.   | 3                          |
| 2. | ტექსტი <i>ორგანიზებულია</i> და პასუხი გაცემულია <i>ორ</i> მითითებაზე ან პასუხი გაცემულია <i>სამივე</i> მითითებაზე, მაგრამ ტექსტი <i>არ არის</i> სათანადოდ ორგანიზებული.           | 2                          |
| 3. | ტექსტი <i>ორგანიზებულია</i> , მაგრამ პასუხი გაცემულია მხოლოდ <i>ერთ</i> მითითებაზე ან პასუხი გაცემულია <i>ორ</i> მითითებაზე, მაგრამ ტექსტი <i>არ არის</i> სათანადოდ ორგანიზებული. | 1                          |
| 4. | ტექსტი <i>არ არის</i> სათანადოდ ორგანიზებული და პასუხი გაცემულია მხოლოდ <i>ერთ</i> მითითებაზე ან/და დავალება არაადეკვატურადაა გაგებულნი.  | 0<br>ნაწერი არ<br>სწორდება |

**II. კრიტერიუმი**

| №  | დასაბუთება  | ქულები |
|----|---|--------|
| 1. | <i>კარგად</i> არის დასაბუთებული <i>სამივე</i> მითითება.   | 3      |
| 2. | <i>კარგად</i> არის დასაბუთებული <i>ორი</i> მითითება და მესამე – <i>ნაწილობრივ</i> .   | 2      |
| 3. | <i>კარგად</i> არის დასაბუთებული <i>ერთი</i> მითითება და <i>ნაწილობრივ</i> არის დასაბუთებული დანარჩენი ორიდან <i>ერთი მაინც</i> ან <i>ორი</i> მითითება <i>კარგად</i> არის დასაბუთებული, მაგრამ <i>ერთი</i> საერთოდ <i>არ არის</i> შესრულებული. | 1      |
| 4. | <i>ნაწილობრივ</i> არის დასაბუთებული <i>სამივე</i> მითითება ან <i>კარგად</i> არის დასაბუთებული მხოლოდ <i>ერთი</i> მითითება, დანარჩენი <i>ორი</i> საერთოდ <i>არ არის</i> შესრულებული.   | 0      |

**III. კრიტერიუმი**

| №  | ლექსიკა და სტილი  | ქულები |
|----|---|--------|
| 1. | ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება. გვხვდება ორიოდ სტილისტური ხარვეზი. | 2      |
| 2. | ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება სტილისტური ხარვეზები.  | 1      |
| 3. | ნაშრომი სტილისტურად გაუმართავია.  | 0      |

#### IV. კრიტერიუმი

| №  | მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი              | ქულები |
|----|---|--------|
| 1. | არ არის დაშვებული <i>ორზე მეტი</i> შეცდომა.   | 3      |
| 2. | არ არის დაშვებული <i>ოთხზე მეტი</i> შეცდომა.  | 2      |
| 3. | არ არის დაშვებული <i>ექვსზე მეტი</i> შეცდომა. | 1      |
| 4. | დაშვებულია <i>ექვსზე მეტი</i> შეცდომა.        | 0      |

#### V. კრიტერიუმი

| №  | პუნქტუაცია                                   | ქულები |
|----|--|--------|
| 1. | არ არის დაშვებული <i>სამზე მეტი</i> შეცდომა. | 1      |
| 2. | დაშვებულია <i>სამზე მეტი</i> შეცდომა.        | 0      |

**წერიტი დავალების შეფასების კრიტერიუმები**  
(საერთო ოთხივე ვარიანტისათვის)

წერიტი დავალების მაქსიმალური ქულაა **25**. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.

თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

**I კრიტერიუმი**

| <b>№</b> | <b>დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება</b>   | <b>ქულები</b>                          |
|----------|---|--|
| 1.       | დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებულ, ტექსტი ღრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.          | <b>4</b>                               |
| 2.       | დავალების პირობა და ტექსტი ადეკვატურადაა გაგებულ.   | <b>3</b>                               |
| 3.       | დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში ადეკვატურადაა გაგებულ და გააზრებული, თუმცა ერთ შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან ტექსტის არაადეკვატური გაგება. | <b>2</b>                               |
| 4.       | <i>ერთზე მეტ</i> შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებულ.  | <b>1</b>                               |
| 5.       | ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულ.  | <b>0</b><br>ნაწერი<br>აღარ<br>სწორდება |

**II კრიტერიუმი**

| <b>№</b> | <b>ნაშრომის აგება</b>  | <b>ქულები</b> |
|----------|--|---------------|
| 1.       | ნაშრომი უპასუხებს <i>სამივე</i> მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.                     | <b>3</b>      |
| 2.       | ნაშრომი უპასუხებს <i>სამ</i> მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს <i>ორ</i> მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. | <b>2</b>      |
| 3.       | ნაშრომი უპასუხებს <i>ორ</i> მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს <i>ერთ</i> მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. | <b>1</b>      |
| 4.       | ნაშრომი უპასუხებს <i>ერთ</i> მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.  | <b>0</b>      |

### III კრიტერიუმი

| №  | <i>მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება</i>  | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | მსჯელობა <i>სამივე</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია (არგუმენტირებულია) და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.  | 6             |
| 2. | მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.  | 5             |
| 3. | მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდვე წინადადებითაა გადმოცემული).  | 4             |
| 4. | მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>ორ</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.   | 3             |
| 5. | მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, <i>მეორე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდვე წინადადებითაა გადმოცემული).   | 2             |
| 6. | <i>სამივე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.  | 1             |
| 7. | <i>ორი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული. | 0             |

### IV კრიტერიუმი

| №  | <i>ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება</i>   | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის <i>არაერთი</i> მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.   | 2             |
| 2. | ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის <i>ერთი</i> მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითით.  | 1             |
| 3. | ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ არ არის დასაბუთებული კონკრეტული მაგალითებით; ანდა ნაშრომში არ არის <i>გამოყოფილი</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები. | 0             |

### V კრიტერიუმი

| №  | <i>დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება</i>  | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.  | 3             |
| 2. | ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.   | 2             |
| 3. | ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება. | 1             |
| 4. | ნაშრომში <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.  | 0             |

### VI კრიტერიუმი

| №  | <i>ფაქტობრივი შეცდომები</i>                           | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში <i>არ არის</i> დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა. | 1             |
| 2. | ნაშრომში <i>დაშვებულია</i> ფაქტობრივი შეცდომა.        | 0             |

### VII კრიტერიუმი

| №  | <i>ლექსიკა და სტილი</i>   | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდ სტილისტური ხარვეზი. | 2             |
| 2. | ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.  | 1             |
| 3. | თხზულება სტილისტურად გაუმართავია.   | 0             |

### VIII კრიტერიუმი

| <i>№</i> | <i>სინტაქსური კონსტრუქციები</i>                          | <i>ქულები</i> |
|----------|--|---------------|
| 1.       | ნაშრომში დაშვებულია <i>ერთი</i> სინტაქსური შეცდომა.      | <b>2</b>      |
| 2.       | ნაშრომში დაშვებულია <i>ორი</i> სინტაქსური შეცდომა.       | <b>1</b>      |
| 3.       | ნაშრომში დაშვებულია <i>ორზე მეტი</i> სინტაქსური შეცდომა. | <b>0</b>      |

### IX კრიტერიუმი

| <i>№</i> | <i>მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია</i>     | <i>ქულები</i> |
|----------|---|---------------|
| 1.       | არ არის <i>ოთხზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.     | <b>2</b>      |
| 2.       | არ არის <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.    | <b>1</b>      |
| 3.       | დაშვებულია <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა. | <b>0</b>      |



# III ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2010

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!**  
**პასუხების ფურცლის გაქონვა დაუშვებელია!**  
**ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!**

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ენა; II. ქართული ლიტერატურა; III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება.

I ნაწილის (ქართული ენა) №1 დავალება შემდეგნაირად უნდა შეასრულოთ: მაგალითად, თუ პირველი (1) ხაზგასმული სიტყვისათვის შეარჩიეთ ლექსიკური ერთეული, რომელიც გ) ასოთია აღნიშნული, ამ შემთხვევაში უჯრედების პირველ სტრიქონში X-ით ის უჯრედი უნდა მონიშნოთ, რომელიც „გ“ ასოს შეესაბამება. მეორე სტრიქონში X ნიშანი იმ ასოს ქვეშ უნდა დასვათ, რომელიც მეორე (2) ხაზგასმული სიტყვისათვის თქვენ მიერ შერჩეულ ლექსიკურ ერთეულს შეესაბამება და ა. შ.

თუ პასუხების ფურცელში უჯრედი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ იგი მთლიანად გააშავეთ და იმავე სტრიქონში მონიშნეთ სხვა უჯრედი.

ტესტის I ნაწილის დანარჩენი დავალებებისა და II ნაწილის (ქართული ლიტერატურა) შესრულებისათვის აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს. **ყურადღებით გაეცანით ამ ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადაგანა პასუხების ფურცელში.**

ტესტის III ნაწილი – წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება – ორი დავალებისაგან შედგება. უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (ან №1 ან №2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: ა) **წაკითხულის გააზრება** და ბ) **წერითი დავალება**.

წაკითხულის გააზრების შესრულებისას **გაითვალისწინეთ**: თუ თქვენ აირჩიეთ დავალება №1, აღნიშვნები პასუხების ფურცელში გადაიგანეთ **საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას** (დავალება №1 – ა) წაკითხულის გააზრება), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აირჩიეთ დავალება №2, აღნიშვნები პასუხების ფურცელში გადაიგანეთ **№2 დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას** (დავალება №2 – ა) წაკითხულის გააზრება). შეგიძლიათ წაკითხულის გააზრების ყველა პასუხი ჯერ ტესტის ბუკლეტში მონიშნოთ და შემდეგ გადაიგანოთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას.

წერითი დავალების შავი ვარიანტის დასაწერად ტესტის ბუკლეტში საგანგებოდ ამისათვის გამოყოფილია რამდენიმე გვერდი (გვ. 13-15).

**ბახსოვლად**: აუცილებელია ყველა პასუხის გადაგანა პასუხების ფურცელში!  
**გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომელის პასუხების ფურცელი საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გაღებულ!**

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

**ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.**

**გისურვებთ წარმატებას!**

## I. ქართული ენა

(4) 1. ტექსტში ხაზგასმული სიტყვების ნაცვლად შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელია კონტექსტისათვის უფრო შესაფერისი ლექსიკური ერთეულები.

- ა) ბოძებული; ბ) ვითარდება; გ) იზრდება; დ) ლიცლიცებს; ე) მინიჭებული; ე) ტივტივებს;  
 ხ) უბიწო; თ) უხადო; ი) უხიაგო; კ) ყვავის.

საგნობრივ სიმბოლიკაში ყვავილს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აღმოსავლური სამყაროს უმთავრესი საკულტო მცენარეა ლოტოსი. ეს (1)უხინჯო ფორმის უმშვენებრესი ყვავილი შლამში (2)ამოდის და წყლის ზედაპირზე (3)დაცურავს. ძველი ეგვიპტელებისათვის იგი ღმერთთაგან იყო (4)მოცემული. ლოტოსი სიცოცხლისა და აღორძინების სიმბოლოს წარმოადგენდა.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები ხაზგასმული სიტყვების შესაბამისი ნომრების გასწვრივ მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

|    |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |
|----|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|
|    | ა                        | ბ                        | გ                        | დ                        | ე                        | ვ                        | ზ                        | თ                        | ი                        | კ                        |
| 1. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

(10) 2. ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები. ხუთ წინადადებაში თითო-თითო შეცდომაა, ხუთი წინადადება უშეცდომოა. თუ წინადადებაში შეცდომაა დაშვებული, აღნიშვნა **X** გააკეთეთ პირველი რიგის შესაბამის უჯრედში, ხოლო თუ წინადადებაში შეცდომა არაა, აღნიშვნა **X** გააკეთეთ მეორე რიგის შესაბამის უჯრედში.

|  | I<br>შეცდ.               | II<br>უშეცდ.             |
|--|--------------------------|--------------------------|
| 1. არსენ იყალთოელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XI საუკუნის 60-იანი წლებიდან XII საუკუნის 30-იან წლებამდე. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. მან საფუძვლიანი განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში, სადაც ბრწყინვალედ დაეუფლა ბერძნულ ენას.           | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. აქვე ჩამოყალიბდა არსენი როგორც მრავალ მხრივი მეცნიერი და მწიგნობარი.                                | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. მან ბერძნულიდან თარგმნა ფილოსოფიური და თეოლოგიური ლიტერატურა, შექმნა ორიგინალური ნაწარმოებები.      | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 5. არსენის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაშრომია ფილოსოფიურ ტრაქტატების კრებული „დოგმატიკონი“.        | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 6. მასში შეტანილია ყველაფერი, რაც შეიძლება დაჭირვებოდა მკითხველს ქრისტიანობის არსის გასაგებად.         | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 7. არსენი ზრუნავდა, რომ ქართული ენა ბერძნულივით მოქნილი და გამომსახველობითი ყოფილიყო.                  | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 8. იგი იკვლევდა პრობლემებს, რომელიც ქართული გრამატიკული აზროვნების                                     | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

ნების განვითარებას უკავშირდება.

9. მის მიერ მარჯვედ შექმნილი არაერთი ტერმინი დღესაც იგივე შინაარსით გამოიყენება.

10. სარწმუნო წყაროებით, არსენის სახელს უკავშირდება იყალთოს აკადემიის დაარსება.

(14) 3. ტექსტში დაშვებულია სულ 11 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. **გაასწორეთ** ეს შეცდომები და ხარვეზები და **ისე გადაწერეთ ტექსტი**, რომ არც ერთი წინადადების შინაარსი არ შეცვალოთ. თუ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში არ იქნება არც ერთი შეცდომა, დამატებით მოგეცემათ 3 ქულა.

*გაითვალისწინეთ*, ერთ წინადადებაში შეიძლება შეგხვდეთ ერთზე მეტი შეცდომა ან ხარვეზი.

კატების ოჯახში გამოიყოფა პანტერათა სახეობა რომელსაც მიეკუთვნებიან შემდეგი ცხოველები ღომი, იაგუარი, ვეფხვი და ლეოპარდი. თითოეული მათგანი საუკეთესო მონადირეა. ამ სახეობის ყველაზე დიდი წარმომადგენელია ვეფხვი. ვეფხვები ძლიერი მტაცებლებია და შეუძლიათ საშინლად დიდი ზომის ნადირის დამარცხება. ნანადირევს ვეფხვი რამდენიმე დღის განმავლობაში სჭამს. ნადირობა დამღლელი პროცესია, ამიტომ იგი დრო და დრო ისვენებს. დედა ვეფხვს, რომელსაც ბუნაგის შეცვლა უნდა კისერში ავლებს პირს ბოკვერს და ასე ახდენს მის გადაყვანას.

ვერ ვუარყოფთ, რომ ამ უნიკალურ ცხოველს ადამიანი სერიოზულ საფრთხეს უქმნის. სწორედ ამიტომ ატარებენ საგანგებო ღონისძიებებს ვეფხვების დასაცავად.

(12) 4. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი სკოლის სამეურვეო საბჭომ გამოაცხადა კონკურსი: საუკეთესო ღონისძიება თემაზე – „კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა სულიერი აღზრდის აუცილებელი პირობაა“. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შექმენით ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რამდენად აქტუალურია ეს თემა;
- აღწერეთ, კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებთ;
- დაასაბუთეთ, რა მნიშვნელობა ექნება ამ ღონისძიებას უშუალოდ თქვენი სკოლისათვის.

შეარჩიეთ ოფიციალურ-საქმიანი ტექსტის სტილი. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული, უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტექსტში გამოყოფილია ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი).

**გაითვალისწინეთ:** არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!

**შავი სამუშაოსათვის**

-----  
-----  
-----  
-----  
-----



(4) **6. მელიქ-სურხავის სასახლეში დატყვევებულმა ნესტან-დარეჯანმა უთხრა მცველებს:**

„არ ვარგვარ თქვენად დედოფლად, ჩემი გზა კიდევანია;  
მაშოროს ღმერთმან მამაცი, პირად მზე, სარო-ტანია!  
სხვასა რას მნუკევთ საქმესა, ჩემნი საქმენი სხვანია,  
თქვენთანა ჩემი სიცოცხლე არ ჩემი შესაგვანია.

უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიცემ დანასა,  
თქვენ დაგხოცს თქვენი პატრონი, სოფელს ვერ დაჰყოფთ ხანასა;  
ესე სჯობს: მოგცე საჭურჭლე, მძიმე მარტყია ტანასა,  
მე გამაპარეთ, გამიშვიტ, თვარა დაიწყებთ ნანასა!“

1. ამოიწერეთ ერთ-ერთი მეტაფორა, რომელიც ნესტანისათვის არასასურველ საქმროს აღნიშნავს.
2. განმარტეთ, რა ხიფათს უქადის მცველებს ნესტანის შესაძლო თვითმკვლელობა.
3. განმარტეთ, რას სთხოვს ნესტანი მცველებს განძის სანაცვლოდ.
4. დაასახელეთ, ნესტანის რა თვისება ჩანს ტექსტის ამ მონაკვეთში.

(3) **7. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი დავით გურამიშვილის „დავითიანიდან“:**

იქმოდე გულის თქმისასა გემოვნებისა თმენასა,  
თავს თაფლი, ბოლოს ძირმწარე ნუ გეტკბილები ენასა;  
გულით უფროხოდე ყურითა სასაფრხოს სიტყვის სმენასა,  
მით შეაყრები საყვარელს, შენს ღამაზს სულის ღხენასა!  
ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:  
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო;  
ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვის ხელფასადაო;  
ვით რემა ხნარცვს არ ჩავარდეს, ულაგმო და უსადაო.

1. გადმოეცით თქვენი სიტყვებით პირველი სტრიქონის შინაარსი.
2. ამოიწერეთ სტრიქონი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს ღმერთთან მიახლოებას.
3. განმარტეთ, რა არის სწავლის დანიშნულება ტექსტის ამ მონაკვეთის მიხედვით (ციტირება დაუშვებელია!).

(3) **8. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან „რად ჰყვედრი კაცსა...“:**

რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტიცობას?  
თუ ემდური შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას,  
რომ არ გემსჭვალვის საუკუნო ტრფიალებითა?  
ჰგავს, არ პასუხს სცემ შენ მას სულით მშვენიერითა.  
სიღამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების  
და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დატკნების,  
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჭვალელები,  
ცვალებადია, წარმავალი და უმტიცები!

1. განმარტეთ, რას უპირისპირებს ავტორი მიწიერ სიყვარულს.
2. ამოიწერეთ პირველი სტროფიდან სტრიქონი, რომელშიც ჩანს მამაკაცის „პირუმტიცობის“ მიზეზი.
3. დაასახელეთ, ხორციელი სიყვარულის რა თვისებას აღნიშნავს ავტორი (ციტირება დაუშვებელია!).

(3) **9. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“ არჩილი მიმართავს კესოს:**

– გული, ესე იგი, ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა რომ აღარ არის, ან არის და დამუნჯებულია, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგუკვდომოდეს, თუ მართლა არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალთვალა და ცალყურა ნახევრით-და ვცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს. აქ ცდომა უეჭველია, იმიტომ რომ სწორედ ის თვალთ დახუჭვილი, ის ყურია დახშული, რომელიც სჭრის სხვის ხედვად, სხვის სმენად. გული რა არის? მარტო ერთადერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ,

გულიც არ იქნებოდა. გული მადლია, და მადლი მარტო ორს შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხდეს, იმიტომ, რომ მადლი ერთისაგან გაწირვას და მეორისაგან შეწირვას ერთსა და იმავე დროს...

1. *გადმოეცით*, რა აზრის გამოხატვა სურს ავტორს შემდეგი სიტყვებით: „მადლი მარტო ორს შუა ჰსაქმობს“.
2. *განმარტეთ*, რა საზოგადოებრივი პრობლემის შესახებ მსჯელობს არჩილი (ციტირება დაუშვებელია!).
3. *დაასახელეთ* ლიტერატურული მიმართულება, რომელსაც მიეკუთვნება ეს ტექსტი.

(3) 10. **ვაჟა-ფშაველას პოემაში „გველის მჭამელი“ ვკითხულობთ:**

...და კოშკი დაფიქრებული  
ხეობას დაჰმზერს მადლითა.  
კოშკში მოსჩანან ქალები,  
როგორც ყვავილნი მთისანი, –  
სძლევენ მტერს, თუ ვერ ხევესურნი,  
მათ სასაუბრო ის არი...  
ზოგები სხედან ფიცარზე,  
ჰბჭობენ, თან ჰქსოვენ წინდასა,  
ისინიც სამშობლოსადა  
ლოცვას ამბობენ წმინდასა.

1. *დაასახელეთ*, რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული პირველ სტრიქონში.
2. *განმარტეთ*, რა არის კოშკში შეფარებული ქალების შემფოთების მიზეზი (ციტირება დაუშვებელია!).
3. *განმარტეთ*, რის მეშვეობით ცდილობენ ქალები სამშობლოს დახმარებას.

(4) 11. **კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ მეფე გიორგი ამბობს:**

„სიყრმე და სიჭაბუკე საქართველოს შევალიე, მაგრამ ქართლელები „აფხაზს“ მე-  
დახდნენ, ხოლო აფხაზები – „ქართლელების მსტოვარს“ მიწოდებდნენ ბაგრატიონს,  
ლაზს. დამანელა აზნაურებისა და სარდლების კინკლაობამ... ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს  
აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლობა. მუდამ ბიზანტიელებს  
ეგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები და ღორმუცელა ეპისკოპოზები, მეფეები  
მწვანე ეტლებს მიეტრფოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებს, ამიტომაც არ მიყვარდა  
პაპაჩემი – გურგენ მაგისტროსი, მამაჩემი – ბაგრატი კურაპალატი, და მცხეთიდან  
გაქცევის წინაღამეს ჩემს ვაჟს წავეკიდე, ბაგრატს“.

1. *განმარტეთ*, რა აზრის გამოხატვა სურს მეფე გიორგის პირველი წინადადებით (ციტირება დაუშვებელია!).
2. *ამოიწერეთ* სიტყვა, რომლის მეშვეობითაც გიორგი გამოხატავს საკუთარ ემოციურ და-  
მოკიდებულებას შინაფეოდალური აშლილობის მიმართ.
3. *დაასახელეთ* მეფის ოჯახის წევრთა თვისება, რომელზედაც მიანიშნებს გიორგი ამ მო-  
ნოლოგში (ციტირება დაუშვებელია!).
4. *განმარტეთ*, საქართველოს რა საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა ჩანს ამ მონოლოგში.

(2) 12. **გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „შერიგება“ ვკითხულობთ:**

ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი,  
თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები  
და წავალ ქარში, როგორც მოცარტი,  
გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით.

1. *დაასახელეთ*, რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული პირველ სტრიქონში.
2. *განმარტეთ*, ლირიკული გმირის რა განწყობილებაა გამოხატული ამ სტროფში.

### III. წაკითხულის გააზრება და წერიტი დავალება

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

წაკითხულის გააზრების შესრულებისას **გაითვალისწინეთ:** თუ თქვენ აირჩიეთ დავალება №1, აღნიშნები პასუხების ფურცელში გადაიტანეთ საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას (დავალება №1 – ა) წაკითხულის გააზრება), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აირჩიეთ დავალება №2, აღნიშნები პასუხების ფურცელში გადაიტანეთ №2 დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას (დავალება №2 – ა) წაკითხულის გააზრება).

#### დავალება № 1

„ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილია ტარიელისა და ავთანდილის ფრიდონთან მისვლის ამბავი:

რა გათენდა, გაემართნეს, წაიტანეს ასმათ თანა,  
ნურადინის ქვეყანამდის შეისვიან მათ უკანა;  
მუნ ვაჭარმან ოქროს ფასად ცხენი მისცა, არ უძღვანა;  
ავთანდილ კმა ყოლაუზად, სხვამცა ვინღა წაიტანა!  
იარეს და ზედა შეჰხდეს ნურადინის მეჯოგეთა;  
ჯოგი ნახეს, მოეწონა, ფრიდონისთვის ეაგეთა.  
მუნ ავთანდილს ინდო ეტყვის: „გაქმნევ კარგთა სიშმაგეთა,  
მოდი, ფრიდონს ველადობნეთ, ჯოგსა მისსა მივადგეთა!  
ჯოგი წავუღოთ, მოსრულნი ვესმით ჯოგისა წადებად,  
გამომმართვის საომრად, ველთა სისხლითა დაღებად,  
ანაზღად გვიცნობს, გაკრთების, გულსა შეჰკლამის დაღებად“ –  
ამოა კარგი ღაღობა, ღაღსა შე-ვე-იქმს ღაღებად!  
დაუწყეს პერობა ტაიჭთა ფრიდონის უკეთესებსა,  
მუნ მეჯოგეთა ფანოსი შეექმნა, ეკრა კვესებსა,  
უყვიღეს: „ვინ ხართ, მოყმენო, ვინ იქმთ საქმესა ზესებსა?  
ჯოგი მისია, ვინ მტერსა ჰკრავს ხმალსა, არ აკვნესებსა!“  
მათ მშვილდები დაიწვადეს, მეჯოგეთა გაეკიდნეს,  
მეჯოგენი მიიზახდეს, ხმანი მათნი გაადიდნეს:  
„გვიშველეთო, გვიშველეთო, მეკობრეთა ამოგვეყვიდნეს!“  
ხმა შეიქმნა, შეიყარნეს, ფრიდონს ჰკადრეს, არ დაჰრიდნეს.  
შეეკაზმა ფრიდონ, შეჯდა, შეკაზმული გამოვიდა,  
ხმა შეიქმნა, შეიყარნეს, რაზმი ველთა დაჰფარვიდა.  
იგი მზენი მოეგებნეს, ვის ზამთარი ვერ დაზრვიდა,  
დაეხურა ზარადები, პირსა მათსა უფარვიდა.  
რა ტარიელ ფრიდონ იცნა, თქვა: „ვნახეო, ვინცა მინა“.  
მუზარადი მოიხადა, გაიდიმნა, გაიცინა;  
ფრიდონს უთხრა: „რასა ჰკლამი, ჩვენი მოსღვა რას გეწყინა?  
პურად ავი მასპინძელი მოგვეგებვი ომად წინა!“  
ფრიდონ ფიცხლა გარდაიჭრა, დავარდა და თაყვანის-სცა, –  
იგინცა გარდაუხდეს, მოეხვივნეს, – აკოცისცა.  
ფრიდონ ღმერთსა ხელ-აპყრობით უსაზომო მადლი მისცა;  
დიდებულნი აკოცებდეს, იცნობდიან იგი ვისცა.  
ფრიდონ უთხრა: „რასა სდევით, მოგელლოდი უწინარე,  
მე მზა ვარო, სამსახური თქვენი რამცა დავიზარე!“  
ჰგვანდა, თუმცა შეყრილ იყვნეს ორნი მზენი, ერთი მთვარე,  
ერთმანერთი დააშვენეს, გაემართნეს, იქცეს გარე.  
ფრიდონის სახლსა გარდახდეს ორნივე, ტურფად გებულსა.  
ტარიელ დაჯდა საჯდომსა, ოქსინო-გარდაგებულსა;  
ახლოს დაისვამს ავთანდილს, მისსა ძმად-შეფიცებულსა;  
მათ უძღვნეს იგი აბჯარი ფრიდონს, ჭაბუკად ქებულსა.

უთხრეს: „ჯერთ უამად არა გვაქვს სხვა შენთვის არმადანია, მაგრა ტურფანი მრავალნი ქვე სამე გვისხენ სხვანია“. მან დასდვა პირი მიწასა, არ დაიყოვნა ხანია: „ჩემთვის ამისი ბოძება არს თქვენი შესაგვანია“.

გამოისვენეს მას ღამით ფრიდონის მასპინძლობითა; აბანოს ბანნა, აავსნა შესამოსლისა ძღვნობითა, დამოსნა ტურფა-ტურფითა, ერთმანერთისა მჯობითა, თვალ-მარგალიტი ღარიბი უძღვნა ოქროსა გობითა.

#### ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

#### უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- (1) 13. ვაჭართათვის დამახასიათებელ რა თვისებას გვიჩვენებს ავტორი პირველ სტროფში?
- ა) სიბრიყვეს.
  - ბ) სიუხვეს.
  - გ) სიხარბეს.
  - დ) სიჯიუტეს.
- (1) 14. რას სთავაზობს ტარიელი ავთანდილს მეორე სტროფში?
- ა) გაეხუმრონ მეჯოგეებს.
  - ბ) გაეხუმრონ ფრიდონს.
  - გ) შეაშინონ მეჯოგეები.
  - დ) შეაშინონ ფრიდონი.
- (1) 15. რა ხერხით აპირებს ტარიელი ფრიდონის გამოყვანას სასახლიდან?
- ა) ბრძოლის დაწყებით.
  - ბ) თავდასხმის გათამაშებით.
  - გ) მეჯოგეთა ამოწყვეტით.
  - დ) ცხენების დაფრთხობით.
- (1) 16. რომელი სტრიქონი გამოხატავს ფრიდონის ხასიათის თვისებას?
- ა) „დაუწყეს პერობა ტაიჭთა ფრიდონის უკეთესებსა“.
  - ბ) „მუნ მეჯოგეთა ფანოსი შეექმნა, ეკრა კვესებსა“.
  - გ) „ჯოგი მისია, ვინ მტერსა ჰკრავს ხმალსა, არ აკვნესებსა“.
  - დ) „ხმა შეიქმნა, შეიყარნეს, ფრიდონს ჰკადრეს, არ დაჰრიდნეს“.
- (1) 17. რომელ სტრიქონში იყენებს ავტორი ტროპულ მეტყველებას?
- ა) „მეჯოგენი მიიზახდეს, ხმანი მათნი გაადიდნეს“.
  - ბ) „შეეკაზმა ფრიდონ, შეჯდა, შეკაზმული გამოვიდა“.
  - გ) „იგი მზენი მოეგებნეს, ვის ზამთარი ვერ დაზრვიდა“.
  - დ) „დაეხურა ზარადები, პირსა მათსა უფარვიდა“.
- (1) 18. ტარიელის რა თვისება ჩანს მის სიტყვებში: „პურად ავი მასპინძელი მოგვეგებვი ომად წინა“?
- ა) ვაჟკაცობა.
  - ბ) თავმდაბლობა.
  - გ) იუმორი.
  - დ) ცინიზმი.
- (1) 19. რატომ შესწირა ფრიდონმა ღმერთს „უსაზომო მადლი“?
- ა) იმიტომ, რომ მეჯოგეების შიში არ გამართლდა.
  - ბ) იმიტომ, რომ მტერთან შებრძოლებას გადაურჩა.



- გ) იმიტომ, რომ საკუთარი სამეფო დაიცვა.
- დ) იმიტომ, რომ სასურველი სტუმრები ეწვივნენ.

- (1) 20. ტროპული მეტყველების რომელ საშუალებას იყენებს ავტორი სიტყვებში: „შეყრილ იყვნეს ორნი მზენი, ერთი მთვარე“?
- ა) გაპიროვნებას.
  - ბ) ეპითეტს.
  - გ) მეტაფორას.
  - დ) შედარებას.
- (1) 21. რას გულისხმობს ფრიდონი სიტყვებში: „ჩემთვის ამისი ბოძება არს თქვენი შესაგვანია“?
- ა) იმას, რომ ასეთი ძვირფასი საჩუქარი გადამეტებული პატივია მისთვის.
  - ბ) იმას, რომ რაინდებმა მათთვის შესაფერისი საჩუქარი მიართვეს ფრიდონს.
  - გ) იმას, რომ ფრიდონი მათთვის შესაფერისი საჩუქარს მიართმევს მეგობრებს.
  - დ) იმას, რომ ძვირფასი საჩუქრების ბოძება რაინდთათვის ჩვეული ამბავია.
- (1) 22. ფრიდონის რა თვისება ჩანს ბოლო სტროფში?
- ა) გულუხვობა.
  - ბ) ვაჟკაცობა.
  - გ) მიმტევებლობა.
  - დ) შორსმჭვრეტელობა.

**ბ) წერითი დავალება:**

**წერითი დავალების ინსტრუქცია:**

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გამწვანდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკე ცალკე მოცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

*წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.*

**გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ ტარიელის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ფრიდონის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებითაა გამოხატული ავტორის სათქმელი. **თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

## დავალება № 2

რომანში „გვადი ბიგვა“ ლეო ქიაჩელი მოგვითხრობს – გონა სალანდია აღშფოთებულია იმით, რომ კოლექტივმა მისი კამეჩი ტყიდან ჯირკების გამოსატანად გამოიყენა:

კამეჩი ჯირკეში იყო შებმული, მშვიდად იღბა თავისთვის და იცოხნიდა... გვადი წამოდგა და კამეჩისკენ მიიქცა. ერთი გრძლად ამოიოხრა „ჰეეს“ დაყოლებით და ზოსიმეს მისაშველებლად კამეჩს მეორე მხრით ამოუდგა. ამანაც თოკს შეხსნა დაუწყო.

– უცნაურია ერთი რამე, ზოსიმე... – დაბალი ხმით მიმართა ცოტა ხნის შემდეგ გვადიმ ზოსიმეს, – ამ კამეჩისათვის სულერთია კოლექტივისა იქნება ის, გონასი თუ, სიტყვაზე, ჩემი ან შენი... ხედავ, როგორ მშვიდად სდგას და იცოხნის... გონასთვის კი, ან, სიტყვაზე, შენთვის თუ ჩემთვის, ეს სულაც არ არის სულერთი. აბა, თუ მეტყვი, რატომ არის ასე?..

ზოსიმემ ამ დროს საბელები შეხსნა კამეჩს.

– გეყოფა ამდენი ლაქლაქიო. – გაჯავრებით უთხრა გვადის და მოხსნილი საბელი ესროლა, კისერზე ქამანდასავით ჩამოაცვია.

ამ დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გერაც მიუახლოვდა მათ.

– ეს კამეჩი შენ გარეკე, გვადი, და ახლავე პატრონს მიჰგვარე! – უბრძანა მან გვადის...

გვადიმ გონას კამეჩი წინ გაიგდო, მინდორი გაიარა და ძირს სოფლის შუაგულისაკენ დაეშვა. ისეთი გზა აირჩია, რომელიც მის ჯარგვალს ჩაუვლიდა. სანამ გონამდე მიაღწევდა, უნდოდა გზადაგზა თვალი გადაეველო თავის კარმიდამოსთვის და შეემოწმებინა, ბალები შინ დაბრუნებულები იქნებოდნენ თუ არა...

ერთ ჩასავალთან ნიკორა შესდგა... მერე ზანტად დაეშვა. გვადის თვალწინ კარგა მოზრდილი ტიკივით გაბერილი ცური კამეჩის უკანა ფეხებშუა შექანავდა, აქეთ-იქით ბარძაყებზე ტლაშუნი გაადინა. გვადის ყურადღება მიიპყრო.

– ბიჭოს, ამას ეს რა ჰქონებია! – გაუკვირდა გვადის და როცა კამეჩი მთელი ტანით ძირს დაეშვა, მიუახლოვდა და ცურზე ხელი ამოუსვა.

– ყოჩად, ნიკორა! – შეაქო კამეჩი, როცა ხელში რძით სავსე მკვრივი ცური მოხვდა.

ახლა ამაზედაც აზრები აეშალნენ გვადის:

– ჰეე, საცა სამართალია, ამისთანა კამეჩი გონას კი არა, გვადის უნდა ჰყავდეს. გონას რად უნდა? თვითონ ხომ არ დაღვეს ამხელა ყაზახი რძეს? მისი სასმელი არაყი და ღვინოა, თუ ვაჟკაცია. რაც შეეხება ტასიას, გვადიმ კარგად იცის მისი გემოვნება: ტყემალი და წიწაკით შეზავებული ღობიო აჭამე და მეტი არაფერი უნდა... ნაიამ კი დიდი, დიდი დღეში ერთი ჭიქა დალიოს, თუ რძის სმა ჯერ კიდევ არ მიუტოვებია... სულ სხვა ამბავი სჭირს გვადის: მისი ხუთი ბაღლი ისეთ პასაკში არიან, რომ უთუოდ რძით უნდა იკვებებოდნენ. ერთი ქეციანი თხა რომ ჰყავს, ის, აბა რას აუვა ამდენ პირს!.. და აი, ნამდვილი უსამართლობა სწორედ ეს არის! იმას ჰყავს, ვისაც არ სჭირია, და იმას კი არა ჰყავს, ვისაც სჭირია...

და გერას თუ ნამდვილი სოციალისტობა უნდა, ეს კამეჩი გონას უნდა წაართვას და გვადის მისცეს... აბაა!

– ჰაი, გიდი, რატომ გვადი არ არის კოლექტივის თავმჯდომარე, რომ ქვეყანა ისე გაასწოროს, ვერც კი იცნოს კაცმა...

– ჰოდა, რატომ გონა სალანდიას ჰყავს კამეჩი და რატომ გვადი ბიგვას კი არა? რატომ?

– ამისთანა საქონელს გვადი, რა თქმა უნდა, ბაზარში კი არ გაიყვანს გასაყიდად. ზედ გადაყვება და გონაზე ნაკლებად არ მოუვლის. ვითომ ვერ მოუვლის თუ? ამდენ რძეს თუ მისცემს, რას მიქვიან, ვერ მოუვლის!.. ამისთანა ცური განძია, განძი ოჯახისათვის!

გვადის დახარბებული თვალები ნიკორას ცურისათვის ვერ მოეწევიტა. ხან მარჯვნივ მოუვლიდა და შეხედავდა, ხან მარცხნიდან შეავლებდა თვალს.

– ჰოოჰო, აი მესმის... ჩვენი დიდი კათხაც კი, უხმარი რომ ჰკიდია კედელზე, მგონი, ისიც კი აავსოს თავამდე! იმ კათხიდან კი გამოვა: მაწონი, რამდენიც გინდა, სამი თუ არა, ორი სულგუნნი მაინც, თითოეულს თუმნობის კვალობაზე რომ ჰყიდია ბაზარში, იმისთანა... ხაჭო უანგარიშო. წაქა კიდევ ცალკე, – ვინ ოხერი მიეკარება თუ არა... ჰოოჰო, ბუთქია კი დაისვამს ღარს. სამ-ოთხ დღეში უშველებელი ძაღლი დადგება!.. წაქა მისწრებაა!.. ბიჭებიც ისე მალე დაიზრდებიან, როგორც სიზმარში იცის ხოლმე: თითოეულს თვალის დახამხამებაში თითო წელიწადი მიემატებათ, სანამ დავაჟკაცდებიან. მაშინ ყოველ დღეს ხუთი შრომადღე თუ ოჯახში შემოიტანეს, გვადის სიმდიდრე მთელ ეზოშიც კი აღარ დაეტევა. შარშან შრომადღეზე იძლეოდნენ: ფულად რვა მანეთს და ამის გარდა კიდევ სიმინდს, ღობიოს, ცოტა ბრინჯს და სხვა ამისთანას. გვადის ყოველ დღეს მოუწევდა ხუთჯერ რვა მანეთი და ასე გამრავლებული ცალკე სიმინდი და ღობიო. ეს შარშანდელი ზომით. წელს ამბობენ, თერთმეტი მანეთი მოუწევსო შრო-

მადლეს!.. ეს კი გამოდის ხუთჯერ თერთმეტი! ამდენს ვერც კი იანგარიშებს გვადი!.. ხედავ, რა შესძლება ერთ კამენს? მაგრამ გონას ხელში გამოუყენებელი რჩება ასეთი განდი, რადგანაც ერთი ვაჟიც კი არ ჰყავს მაგ უბედურს და რძემ ისე რა მოგება უნდა მისცეს!

სად არის კაცი, ეს უსამართლობა რომ გამოასწოროს და გონას ნიკორა გვადის მისაკუთროს!

ასე ანგარიშობდა გვადი და ცურზე მიშტერებული თვალები უფრო და უფრო უფართოვდებოდნენ, ნერწყვის ყლაპვას ვერ აუდიოდა.

თავის ჯარგვალს რომ დაუახლოვდა, კამენი შეაყენა. ეზოსკენ პირი მიიბრუნა და ბაღებს უხმო. პასუხი არავინ გასცა. კიდევ უხმო. ახლაც პასუხი არ იყო. მაშინ გვადიმ გულჩათხრობილად მიმოიხედა და იქაურობა ოდნავ მოხუჭული თვალებით დახვერა.

მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ ჯარგვლისკენ მიიქცა და ახლა უფრო ხმამაღლა გასძახა:

– რომელი ხარ მანდ! აქეთ გამომაყურე!

ახლაც არავინ გასცა პასუხი.

ცხადი იყო, გვადის ბაღლები ჯერ კიდევ შინ არ დაბრუნებულიყვნენ.

გვადიმ ერთხელ კიდევ ჩამოაგდო სიჩუმე და გამახვილებულ თვალებს დაცქვეტილი ყურებიც მიაშველა, ახლო-მახლო ხომ ვინმე არ ჭაჭანებსო.

მერე ნიკორას გაგაზე მოფერებით შეუსვა ხელი და დაბალი, ტკბილი ხმით მიმართა:

– მოო, შენ კი გენაცვალე... აქეთ, ჭირიმეო, – და თავის ეზოში შეუძღვა.

...არ გასულა ხანი, რომ გონას ნიკორა გვადის ჯარგვლის წინ მდგარი ხურმის ხის ძირში იდგა. დიდი კათხა მომარჯვებული გვადი ცურთან მიჯდომილად და გამაღებული სწველიდა.

#### ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

#### უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

(1) 13. რით შეიძლება აიხსნას ის, რომ ზოსიმე გვადის მსჯელობას „ლაქლას“ უწოდებს?

- ა) იმით, რომ გვადის მსჯელობა არალოგიკურია.
- ბ) იმით, რომ გვადის მსჯელობა არაფრისმთქმელია.
- გ) იმით, რომ გვადის მსჯელობა მაღალფარდოვანია.
- დ) იმით, რომ გვადის მსჯელობა მწარე სიმართლეა.

(1) 14. რატომ აირჩია გვადიმ ისეთი გზა, „რომელიც მის ჯარგვალს ჩაუვლიდა“?

- ა) იმიტომ, რომ გონას კამენის მითვისება ჰქონდა გადაწყვეტილი.
- ბ) იმიტომ, რომ ეს გზა ყველაზე მოკლე იყო.
- გ) იმიტომ, რომ საკუთარი სახლ-კარისათვის თვალის შევლება სურდა.
- დ) იმიტომ, რომ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა კამენის მოწველა.

(1) 15. გვადის რა თვისება ჩანს მის მსჯელობაში, როდესაც იგი სამართლიანობის აღდგენის მოტივით ცდილობს გაამართლოს საკუთარი საქციელი?

- ა) თვალთმაქცობა.
- ბ) სიბრიყვე.
- გ) სილანრე.
- დ) უსაქმურობა.

(1) 16. როგორ ესმის გვადის სოციალიზმის არსი?

- ა) მდიდარს უნდა ჩამოერთვას ქონება და გადაეცეს კოლექტივს.
- ბ) მდიდარს უნდა ჩამოერთვას ქონება და გადაეცეს ღარიბს.
- გ) ღარიბების კეთილდღეობაზე თვითონ ღარიბებმა უნდა იზრუნონ.
- დ) ღარიბების კეთილდღეობაზე მდიდრებმა უნდა იზრუნონ.

- (1) 17. **რას მიგვანიშნებს ავტორი პერსონაჟის სიტყვებით:** „ჰაი, გიდი, რატომ გვადი არ არის კოლექტივის თავმჯდომარე, რომ ქვეყანა ისე გაასწოროს, ვერც კი იცნოს კაცმა“?
- გვადის გულწრფელად სურს სოციალისტური წყობის გამარჯვება.
  - გვადის სურს კეთილდღეობის მისაღწევად ძალაუფლების გამოყენება.
  - გვადის სურს თანასოფელთათვის სიღარიბის თავიდან აცილება.
  - გვადის სურს ქვეყნის საკეთილდღეოდ კოლმეურნეობების გაძლიერება.
- (1) 18. **რომელ ფრაზაში მიმართავს ავტორი ჰიპერბოლიზაციის ხერხს?**
- „ჩვენი დიდი კათხაც კი... აავსოს თავამდე“.
  - „თვალის დახამხამებაში თითო წელიწადი მიემატებათ“.
  - „ყოველ დღეს ხუთი შრომადღე თუ ოჯახში შემოიტანეს“.
  - „თუმნობის კვალობაზე რომ ჰყიდიან ბაზარში“.
- (1) 19. **რა მიზანს ისახავს გვადი ბიგვა, როდესაც ამბობს – „გოჩას ხელში გამოუყენებელი რჩება ასეთი განძი“?**
- სურს, გაამართლოს თავისი საქციელი.
  - სურს, გოჩას ქონება გაანიავოს.
  - სურს, სოფელში სამართლიანობა აღადგინოს.
  - სურს, სოციალისტური წესრიგი დაამყაროს.
- (1) 20. **გვადის ხასიათის რა თვისებას გამოხატავს ფრაზა: „ცურზე მიშტერებული თვალეპი უფრო და უფრო უფართოვდებოდნენ“?**
- სიბრიყვეს.
  - სიმარჯვეს.
  - სიძუნწეს.
  - სიხარბეს.
- (1) 21. **რის საზგასასმელად იყენებს ავტორი ფრაზას: „ბაღლები ჯერ კიდევ შინ არ დაბრუნებულნიყვენ“?**
- ბავშვები ვერ შეძლებენ მამის გაკიცხვას.
  - ბავშვები ვერ შეძლებენ მამის გარჯის დაფასებას.
  - ბავშვები ვერ შეძლებენ მამის მიშველებას.
  - ბავშვები ვერ შეძლებენ მამის შექებას.
- (1) 22. **„სიბრძნე სიცრუისას“ პერსონაჟთა რომელი გამონათქვამი გამოხატავს ტექსტის მთავარ სათქმელს?**
- „არა კაცს კარგის მოქმედისათვის კარგი არ უქმნია...“
  - „მიწაში თუნდა ოქრო იდვას, თუნდა ქვაო...“
  - „საქონელი ბევრი სჯობს, თუ კაცი კარგა იხმარებს...“
  - „ცოდვის უამესი ცოტა ხანს არა არის რა...“

ბ) წერითი დავალება:

**წერითი დავალების ინსტრუქცია:**

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არააღგებვარადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.**

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გამწვანდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

*წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.*

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ გვადი ბიგვას მხატვრული სახის შესახებ;
- ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ტექსტში წამოჭრილი მორალურ-ეთიკური პრობლემის მიმართ;
- იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებითაა გამოხატული ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.  
***თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!***

**შავი სამუშაოსათვის**

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

A series of horizontal dashed lines spanning the width of the page, intended for writing or drawing.

A series of horizontal dashed lines spanning the width of the page, intended for writing or drawing.





# ქართული ენა და ლიტერატურა

## III ვარიანტი (შეფასების სქემა)

### ქართული ენა

1. 1. – თ); 2. – გ); 3. – ვ); 4. – ა).
2. I შეცდ. 3, 5, 6, 7, 9; II უშეცდ. 1, 2, 4, 8, 10.
3. კატების ოჯახში გამოიყოფა პანტერათა სახეობა, რომელსაც მიეკუთვნებიან შემდეგი ცხოველები: ლომი, იაგუარი, ვეფხვი და ლეოპარდი. თითოეული მათგანი საუკეთესო მონადირეა. ამ სახეობის ყველაზე დიდი წარმომადგენელია ვეფხვი. ვეფხვები ძლიერი მტაცებლები არიან და შეუძლიათ ძალიან დიდი ზომის ნადირის დამარცხება. ნანადირევს ვეფხვი რამდენიმე დღის განმავლობაში ჭამს. ნადირობა დამღლევი პროცესია, ამიტომ იგი დროდადრო ისვენებს. დედა ვეფხვი, რომელსაც ბუნაგის შეცვლა უნდა, კისერში ავლებს პირს ბოკვერს და ასე გადაჰყავს. ვერ უარყოფთ, რომ ამ უნიკალურ ცხოველს ადამიანი სერიოზულ საფრთხეს უქმნის. სწორედ ამიტომ ატარებენ საგანგებო დონისძიებებს ვეფხვების დასაცავად.

### ქართული ლიტერატურა

5. შუშანიკის აზრით, ფიზიკური ტანჯვის გზით იგი მიადწევს სასუფეველს (სამოთხეს, იმკვეცი ნიურ ნეტარებას...). ვარსკენის სიტყვებში ჩანს აგდებული (ცინიკური, სარკასტული, ირონიული...) დამოკიდებულება ქრისტიანული რწმენის მიმართ. დედოფლის საწამებლად ვარსკენი ბრძანებს, შიმშილით მოკლან დედოფალი.

1. სასუფეველს \_\_\_\_\_ 1ქ.
2. აგდებული \_\_\_\_\_ 1ქ.
3. შიმშილს \_\_\_\_\_ 1ქ.

6. ნესტანისთვის არასასურველ საქმროს აღნიშნავს მეტაფორა „პირად მზე“ („სარო-ტანი“). ნესტანის შესაძლო თვითმკვლევლობა მცველებს სიკვდილით დასჯას უქადის (ნესტანის თვითმკვლელობის შემთხვევაში მეფე მათ დახოცავს, დასჯის...). ნესტანი განძის სანაცვლოდ მცველებს სთხოვს, გააპარონ. ტექსტის ამ მონაკვეთში ჩანს ნესტანის მოხერხებულობა (საზრიანობა, გამჭრიახობა, გონიერება...).

1. „პირად მზე“ („სარო-ტანი“) \_\_\_\_\_ 1ქ.
2. სიკვდილს \_\_\_\_\_ 1ქ.
3. გაუშვან (გაათავისუფლონ) \_\_\_\_\_ 1ქ.
4. საზრიანობა \_\_\_\_\_ 1ქ.

7. ნებისყოფით დათრგუნე საკუთარი გულისთქმა (დაითმინე სიამოვნების სურვილი). „მით შეყრები საყვარელს, შენს ღამაზს სულის ღხენასა“. სწავლის დანიშნულება არის საკუთარი თავის შეცნობა (ცხოვრებაში საკუთარი ადგილის პოვნა, საკუთარი დანიშნულების, ადგილის გარკვევა სამყაროში...).

1. არ აჭყვე საკუთარ გულისთქმას \_\_\_\_\_ 1ქ.
2. მით შეყრები საყვარელს, შენს ღამაზს სულის ღხენასა \_\_\_\_\_ 1ქ.
3. საკუთარი თავის შეცნობა \_\_\_\_\_ 1ქ.

8. ავტორი ხორციელ სიყვარულს უპირისპირებს მარადიულ ტრფიალებას. „ჰგავს, არ პასუხს სცემ შენ მას სულით მშვენითა“. ავტორი ამქვეყნიური სიყვარულის ცვალებადობას (წარმავლობას) აღნიშნავს.

1. მარადიულ სიყვარულს \_\_\_\_\_ 1ქ.
2. ჰგავს, არ პასუხს სცემ შენ მას სულით მშვენითა \_\_\_\_\_ 1ქ.
3. წარმავლობა \_\_\_\_\_ 1ქ.

9. სიტყვებში „მაღლი მარტო ორს შუა ჰსაქმობს“ იგულისხმება: სიკეთე ორი ადამიანის ურთიერთობისას წარმოიშობა. არჩილი მსჯელობს საზოგადოების გაუცხოების (ხიდჩატეხილობის

პრობლემის) შესახებ (ადამიანები ერთმანეთს ვეღარ უბეზენ). ეს ტექსტი მიეკუთვნება რეალისტურ მიმართულებას.

1. სიკეთე ურთიერთობაში წარმოიშობა -----1ქ
2. ხიდჩატეხილობის -----1ქ
3. რეალიზმი -----1ქ

10. პირველ სტრიქონში გამოყენებულია გაპიროვნება. კოშკში შეფარებული ქალების შეშფოთების მიზეზი არის ის, რომ ხევსურები საბრძოლველად არიან წასულნი (სამშობლოს განსაცდელი, მტრების თავდასხმა სამშობლოზე...). ქალები სამშობლოს დახმარებას ღოცვით ცდილობენ.

1. გაპიროვნება -----1ქ
2. ხევსურ მებრძოლთა ბედი -----1ქ
3. ღოცვით -----1ქ

11. მეფე გიორგის სურს გამოხატოს აზრი, რომ ქვეშევრდომები არ ენდობოდნენ (სათანადოდ არ აფასებდნენ, თავის მეფედ არ მიიჩნევდნენ). საკუთარ ემოციურ დამოკიდებულებას შინაფეოდალური აშლილობის მიმართ გიორგი გამოხატავს სიტყვით „დამანელა“. ამ მონოლოგში გიორგი მიანიშნებს საკუთარი ოჯახის წევრთა მლიქვნელობის (კარიერიზმის, პატივმოყვარეობის) შესახებ. ამ მონოლოგში ჩანს ბიზანტიის გავლენა საქართველოზე.

1. არ ენდობოდნენ -----1ქ
2. დამანელა -----1ქ
3. მლიქვნელობაზე -----1ქ
4. დამოკიდებულება ბიზანტიაზე -----1ქ

12. პირველ სტრიქონში გამოყენებულია მეტაფორა. ამ სტროფში გამოხატულია ლირიკული გმირის საზეიმო (ღალი, ამაღლებული...) სულიერი განწყობილება.

1. მეტაფორა -----1ქ
2. საზეიმო -----1ქ

## წაკითხულის გააზრება

(დავალება №1)

- |                |                |                |                |                |
|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| 13. გ) -----1ქ | 14. ბ) -----1ქ | 15. ბ) -----1ქ | 16. გ) -----1ქ | 17. გ) -----1ქ |
| 18. გ) -----1ქ | 19. დ) -----1ქ | 20. გ) -----1ქ | 21. ბ) -----1ქ | 22. ა) -----1ქ |

(დავალება №2)

- |                |                |                |                |                |
|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| 13. ბ) -----1ქ | 14. გ) -----1ქ | 15. ა) -----1ქ | 16. ბ) -----1ქ | 17. ბ) -----1ქ |
| 18. ბ) -----1ქ | 19. ა) -----1ქ | 20. დ) -----1ქ | 21. ა) -----1ქ | 22. დ) -----1ქ |

**№ 4 დავალების შეფასების კრიტერიუმები**  
(საერთო ოთხივე ვარიანტისათვის)

მაქსიმალური ქულა – 12.

**I. კრიტერიუმი**

| №  | ტექსტის ორგანიზება  | ქულები                     |
|----|---|----------------------------|
| 1. | ტექსტი <i>ორგანიზებულია</i> და პასუხი გაცემულია <i>სამივე</i> მითითებაზე.   | 3                          |
| 2. | ტექსტი <i>ორგანიზებულია</i> და პასუხი გაცემულია <i>ორ</i> მითითებაზე ან პასუხი გაცემულია <i>სამივე</i> მითითებაზე, მაგრამ ტექსტი <i>არ არის</i> სათანადოდ ორგანიზებული.           | 2                          |
| 3. | ტექსტი <i>ორგანიზებულია</i> , მაგრამ პასუხი გაცემულია მხოლოდ <i>ერთ</i> მითითებაზე ან პასუხი გაცემულია <i>ორ</i> მითითებაზე, მაგრამ ტექსტი <i>არ არის</i> სათანადოდ ორგანიზებული. | 1                          |
| 4. | ტექსტი <i>არ არის</i> სათანადოდ ორგანიზებული და პასუხი გაცემულია მხოლოდ <i>ერთ</i> მითითებაზე ან/და დავალება არაადეკვატურადაა გაგებულნი.  | 0<br>ნაწერი არ<br>სწორდება |

**II. კრიტერიუმი**

| №  | დასაბუთება  | ქულები |
|----|---|--------|
| 1. | <i>კარგად</i> არის დასაბუთებული <i>სამივე</i> მითითება.   | 3      |
| 2. | <i>კარგად</i> არის დასაბუთებული <i>ორი</i> მითითება და მესამე – <i>ნაწილობრივ</i> .   | 2      |
| 3. | <i>კარგად</i> არის დასაბუთებული <i>ერთი</i> მითითება და <i>ნაწილობრივ</i> არის დასაბუთებული დანარჩენი ორიდან <i>ერთი მაინც</i> ან <i>ორი</i> მითითება <i>კარგად</i> არის დასაბუთებული, მაგრამ <i>ერთი</i> საერთოდ <i>არ არის</i> შესრულებული. | 1      |
| 4. | <i>ნაწილობრივ</i> არის დასაბუთებული <i>სამივე</i> მითითება ან <i>კარგად</i> არის დასაბუთებული მხოლოდ <i>ერთი</i> მითითება, დანარჩენი <i>ორი</i> საერთოდ <i>არ არის</i> შესრულებული.   | 0      |

**III. კრიტერიუმი**

| №  | ლექსიკა და სტილი  | ქულები |
|----|---|--------|
| 1. | ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება. გვხვდება ორიოდ სტილისტური ხარვეზი. | 2      |
| 2. | ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება სტილისტური ხარვეზები.  | 1      |
| 3. | ნაშრომი სტილისტურად გაუმართავია.  | 0      |

#### IV. კრიტერიუმი

| №  | მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი              | ქულები |
|----|---|--------|
| 1. | არ არის დაშვებული <i>ორზე მეტი</i> შეცდომა.   | 3      |
| 2. | არ არის დაშვებული <i>ოთხზე მეტი</i> შეცდომა.  | 2      |
| 3. | არ არის დაშვებული <i>ექვსზე მეტი</i> შეცდომა. | 1      |
| 4. | დაშვებულია <i>ექვსზე მეტი</i> შეცდომა.        | 0      |

#### V. კრიტერიუმი

| №  | პუნქტუაცია                                   | ქულები |
|----|--|--------|
| 1. | არ არის დაშვებული <i>სამზე მეტი</i> შეცდომა. | 1      |
| 2. | დაშვებულია <i>სამზე მეტი</i> შეცდომა.        | 0      |

**წერიტი დავალების შეფასების კრიტერიუმები**  
(საერთო ოთხივე ვარიანტისათვის)

წერიტი დავალების მაქსიმალური ქულაა **25**. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, **უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას.**

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, **დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.**

თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

**I კრიტერიუმი**

| <b>№</b> | <b>დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება</b>  | <b>ქულები</b>                          |
|----------|--|--|
| 1.       | დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებულ, ტექსტი ღრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.                 | <b>4</b>                               |
| 2.       | დავალების პირობა და ტექსტი ადეკვატურადაა გაგებულ.  | <b>3</b>                               |
| 3.       | დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში ადეკვატურადაა გაგებულ და გააზრებული, თუმცა <i>ერთ</i> შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან ტექსტის არაადეკვატური გაგება. | <b>2</b>                               |
| 4.       | <i>ერთზე მეტ</i> შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებულ.   | <b>1</b>                               |
| 5.       | ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულ.   | <b>0</b><br>ნაწერი<br>აღარ<br>სწორდება |

**II კრიტერიუმი**

| <b>№</b> | <b>ნაშრომის აგება</b>  | <b>ქულები</b> |
|----------|--|---------------|
| 1.       | ნაშრომი უპასუხებს <i>სამივე</i> მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. <i>დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.</i>              | <b>3</b>      |
| 2.       | ნაშრომი უპასუხებს <i>სამ</i> მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს <i>ორ</i> მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. | <b>2</b>      |
| 3.       | ნაშრომი უპასუხებს <i>ორ</i> მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს <i>ერთ</i> მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. | <b>1</b>      |
| 4.       | ნაშრომი უპასუხებს <i>ერთ</i> მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.  | <b>0</b>      |

### III კრიტერიუმი

| №  | <i>მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება</i>  | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | მსჯელობა <i>სამივე</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია (არგუმენტირებულია) და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.  | 6             |
| 2. | მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.  | 5             |
| 3. | მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).   | 4             |
| 4. | მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>ორ</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.   | 3             |
| 5. | მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, <i>მეორე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).  | 2             |
| 6. | <i>სამივე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.  | 1             |
| 7. | <i>ორი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული. | 0             |

### IV კრიტერიუმი

| №  | <i>ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება</i>   | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის <i>არაერთი</i> მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.   | 2             |
| 2. | ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის <i>ერთი</i> მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითით.  | 1             |
| 3. | ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ არ არის დასაბუთებული კონკრეტული მაგალითებით; ანდა ნაშრომში არ არის <i>გამოყოფილი</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები. | 0             |

### V კრიტერიუმი

| №  | <i>დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება</i>  | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.  | 3             |
| 2. | ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.   | 2             |
| 3. | ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება. | 1             |
| 4. | ნაშრომში <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.  | 0             |

### VI კრიტერიუმი

| №  | <i>ფაქტობრივი შეცდომები</i>                           | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში <i>არ არის</i> დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა. | 1             |
| 2. | ნაშრომში <i>დაშვებულია</i> ფაქტობრივი შეცდომა.        | 0             |

### VII კრიტერიუმი

| №  | <i>ლექსიკა და სტილი</i>   | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდ სტილისტური ხარვეზი. | 2             |
| 2. | ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.  | 1             |
| 3. | თხზულება სტილისტურად გაუმართავია.   | 0             |

### VIII კრიტერიუმი

| <i>№</i> | <i>სინტაქსური კონსტრუქციები</i>                          | <i>ქულები</i> |
|----------|--|---------------|
| 1.       | ნაშრომში დაშვებულია <i>ერთი</i> სინტაქსური შეცდომა.      | <b>2</b>      |
| 2.       | ნაშრომში დაშვებულია <i>ორი</i> სინტაქსური შეცდომა.       | <b>1</b>      |
| 3.       | ნაშრომში დაშვებულია <i>ორზე მეტი</i> სინტაქსური შეცდომა. | <b>0</b>      |

### IX კრიტერიუმი

| <i>№</i> | <i>მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია</i>     | <i>ქულები</i> |
|----------|---|---------------|
| 1.       | არ არის <i>ოთხზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.     | <b>2</b>      |
| 2.       | არ არის <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.    | <b>1</b>      |
| 3.       | დაშვებულია <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა. | <b>0</b>      |





# IV

## ბანკი ქართულ ენასა და ლიბერატურაში

2010

### ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეგი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!  
პასუხების ფურცლის გაქონვა დაუშვებელია!  
ტესტის ბუკლეგი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!**

ქართული ენისა და ლიგერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ენა; II. ქართული ლიგერატურა; III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება.

I ნაწილის (ქართული ენა) №1 დავალება შემდეგნაირად უნდა შეასრულოთ: მაგალითად, თუ პირველი (1) ხაზგასმული სიტყვისათვის შეარჩიეთ ლექსიკური ერთეული, რომელიც გ) ასოთია აღნიშნული, ამ შემთხვევაში უჯრედების პირველ სტრიქონში X-ით ის უჯრედი უნდა მონიშნოთ, რომელიც „გ“ ასოს შეესაბამება. მეორე სტრიქონში X ნიშანი იმ ასოს ქვეშ უნდა დასვათ, რომელიც მეორე (2) ხაზგასმული სიტყვისათვის თქვენ მიერ შერჩეულ ლექსიკურ ერთეულს შეესაბამება და ა. შ.

თუ პასუხების ფურცელში უჯრედი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ იგი მთლიანად გააშავეთ და იმავე სტრიქონში მონიშნეთ სხვა უჯრედი.

ტესტის I ნაწილის დანარჩენი დავალებებისა და II ნაწილის (ქართული ლიგერატურა) შესრულებისათვის აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ბუკლეგში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს. **ყურადღებით გაეცანით ამ ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადაგანა პასუხების ფურცელში.**

ტესტის III ნაწილი – წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება – ორი დავალებისაგან შედგება. უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (ან №1 ან №2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) წერითი დავალებაც.**

წაკითხულის გააზრების შესრულებისას **გაითვალისწინეთ:** თუ თქვენ აირჩიეთ დავალება №1, აღნიშვნები პასუხების ფურცელში გადაიგანეთ **საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას** (დავალება №1 – ა) წაკითხულის გააზრება), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აირჩიეთ დავალება №2, აღნიშვნები პასუხების ფურცელში გადაიგანეთ **№2 დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას** (დავალება №2 – ა) წაკითხულის გააზრება). შეგიძლიათ წაკითხულის გააზრების ყველა პასუხი ჯერ ტესტის ბუკლეგში მონიშნოთ და შემდეგ გადაიგანოთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას.

წერითი დავალების შავი ვარიანტის დასაწერად ტესტის ბუკლეგში საგანგებოდ ამისათვის გამოყოფილია რამდენიმე გვერდი (გვ. 13-15).

**ბახსროვდით:** აუცილებელია ყველა პასუხის გადაგანა პასუხების ფურცელში!  
**გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის ღვაწლბა, რომელმაც პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ ღვაწლბისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გაღატანილი!**

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

**ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.**

**გისურვებთ წარმატებას!**

## I. ქართული ენა

(4) 1. ტექსტში ხაზგასმული სიტყვების ნაცვლად შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელია კონტექსტისათვის უფრო შესაფერისი ლექსიკური ერთეულები.

ა) განასახიერებს; ბ) განახორციელებს; გ) განსაზღვრავს; დ) გაჯერებული; ე) დაფარული; ვ) მოფენილი; ზ) სრულფასოვანი; თ) სრულყოფილი; ი) უბიწო; კ) უხინჯო.

საგნობრივ სიმბოლიკაში ყვავილს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ მხრივ ყველაზე პროპულარულია ვარდი. სპარსულ პოეზიაში იგი (1)სრულქმნილი სილამაზის განსახიერებაა. ევროპულ კულტურაში ვარდს სხვადასხვაგვარი დატვირთვა აქვს. თეთრი ვარდი (2)უმანკლ სიყვარულს (3)აღნიშნავს, წითელი ვარდი – ხორციელ ღტოლვას. ქრისტიანული ტრადიციით, მეწამული ვარდი, რომლის ღეროც ეკლებით არის (4)საფსკ მაცხოვრის მოწამეობას უკავშირდება.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები ხაზგასმული სიტყვების შესაბამისი ნომრების გასწვრივ მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

|    |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |                          |
|----|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|
|    | ა                        | ბ                        | გ                        | დ                        | ე                        | ვ                        | ზ                        | თ                        | ი                        | კ                        |
| 1. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

(10) 2. ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები. ხუთ წინადადებაში თითო-თითო შეცდომაა, ხუთი წინადადება უშეცდომოა. თუ წინადადებაში შეცდომაა დაშვებული, აღნიშვნა **X** გააკეთეთ პირველი რიგის შესაბამის უჯრედში, ხოლო თუ წინადადებაში შეცდომა არაა, აღნიშვნა **X** გააკეთეთ მეორე რიგის შესაბამის უჯრედში.

|  | I<br>შეცდ.               | II<br>უშეცდ.             |
|--|--------------------------|--------------------------|
| 1. ცნობილი სასულიერო პირი და მთარგმნელი ექვთიმე მთაწმინდელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 955 წლიდან 1028 წლამდე. | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. იგი იყო ათონის ქართული სალიტერატურო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ივერთა მონასტრის წინამძღვარი.          | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. ექვთიმეს მოღვაწეობით ქართულ სასულიერო მწერლობაში სრულიად ახალი ხანა დაიწყო.                               | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. მან თარგმნა ჰაგიოგრაფიული ჟანრის ისეთი თხზულებები, რომელიც მანამდე არ იყო თარგმნილი.                      | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 5. მისი მთარგმნელობითი მეთოდი ტექსტებში მრავალ ფეროვან ცვლილებათა შეტანას გულისხმობდა.                       | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 6. ხშირად ამა თუ იმ თხზულების თარგმანში იგივე ავტორის სხვა ტექსტები იყო ჩართული.                             | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 7. ექვთიმეს წამდა, რომ სასულიერო წიგნების შინაარსი მკითხველისათვის ასე უფრო გასაგები იქნებოდა.               | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

8. ამ თარგმანთა გამრავლება და სამშობლოში ჩამოტანა სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმედ იყო მიჩნეული.
9. ექვთიმე გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობდა ბერძენ მწიგნობართა შორის.
10. სწორედ ამიტომ მიეცა მას შესაძლებლობა, რომ ზოგიერთი ქართული თხზულება ბერძნულად ეთარგმნა.

(14) 3. ტექსტში დაშვებულია სულ 11 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. *გაასწორეთ* ეს შეცდომები და ხარვეზები და *ისე გადაწერეთ ტექსტი*, რომ არც ერთი წინადადების შინაარსი არ შეცვალოთ. თუ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში არ იქნება არც ერთი შეცდომა, დამატებით მოგეცემათ 3 ქულა.

*გაითვალისწინეთ*, ერთ წინადადებაში შეიძლება შეგხვდეთ ერთზე მეტი შეცდომა ან ხარვეზი.

კატეხის ოჯახის პანტერათა სახეობას მიეკუთვნებიან შემდეგი მტაცებლები ღომი, იაგუარი, ვეფხვი და ლეოპარდი. ამათგან ოჯახებად მხოლოდ ღომები ცხოვრობენ. ოჯახის მართვას აწარმოებს ყველაზე ძლიერი ღომი. ბოკვერი სამ თვემდე მხოლოდ ძუძუს სწოვს. თითოეული მათთაგანის აღზრდაზე მთელი ოჯახი ზრუნავს. ძუ ღომებს, რომლებსაც მონადირის მოვალეობები აკისრიათ ხვადებზე უფრო სწრაფებია. ნადირობისას ერთი ან ორი ღომი ფეხ და ფეხ მისდევს მსხვერპლს და იმ ადგილამდე მიჰყავს სადაც ღომების ჯგუფია ჩასაფრებული. ღომს საშინლად ხშირი ფაფარი აქვს, რომელიც მას მტერთან შეტაკებისას იცავს.

ვერ ვუბნულებლყოფთ იმ ფაქტს, რომ ამ მრისხანე ცხოველს საფრთხეს მხოლოდ ადამიანი უქმნის.

(12) 4. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი სკოლის სამეურვეო საბჭომ გამოაცხადა კონკურსი: საუკეთესო ღონისძიება თემაზე – „ხელოვნება სულიერი აღზრდის აუცილებელი პირობაა“. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შექმენით ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რამდენად აქტუალურია ეს თემა;
- აღწერეთ, კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებთ;
- დაასაბუთოთ, რა მნიშვნელობა ექნება ამ ღონისძიებას უშუალოდ თქვენი სკოლისათვის.

შეარჩიეთ ოფიციალურ-საქმიანი ტექსტის სტილი. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული, უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში გამოყოფილია ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი).

**გაითვალისწინეთ:** არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!

### შავი სამუშაოსათვის

-----

-----

-----

-----



(4) **6. ფატმანი ნესტანის შესახებ უამბობს ავთანდილს:**

„მან ტურფამან სახლსა ჩემსა ვერე დაყო ხანი დიდი;  
ვერ გავანდეჲ ქმარსა ჩემსა, შესმენისა მქონდა რიდი,  
ვთქვი: „თუ ვუთხრობ, ვიცი, დარბაზს გამამუღავნებს ისი ფლიდი“.  
ესე მეყო საგონებლად, შევიდი თუ გამოვიდი.

ვთქვი: „თუ არ ვუთხრა, რა ვუყო, ჩემგან რა მოეგვარების?  
არცა რა ვიცი, რა უნდა, რა ვისგან მოეხმარების;  
ქმარი რა მიგრძნობს, მო-ცა-მკლავს, ველარა მომეფარების;  
ვითა დავმალო ნათელი, ვინ მზესა დაედარების?!“

1. *განმარტეთ*, რატომ არ გააძლიერებდა ფატმანი ქმარს თავისი საიდუმლო (ციტირება დაუშვებელია!).
2. *ამოიწერეთ* სიტყვა, რომელიც სამეფო კარს აღნიშნავს.
3. *განმარტეთ*, რა საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს ნესტანის დამალვა თავად ფატმანისათვის.
4. *განმარტეთ*, ფატმანის რა სულიერი მდგომარეობა ჩანს ტექსტის ამ მონაკვეთში.

(3) **7. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი დავით გურამიშვილის „დავითიანიდან“:**

მითხარ, მტერო, დავის თხოვნით დავითისგან მოიგე რა?  
რად უყვედრე უშობელსა, ბერწობ, ვერა მოიგე-რა!  
იმას შევილად ვერვინა სჯობს, დავით ვინც ძედ მოიგერა,  
ვინც გამოთქვა, ის იშვილა, მტერი იმით მოიგერა.

მე რაც ვშობე, შევილად ვსჯერვარ, ეს თუ მზრდელმან გამიზარდა,  
ვზრდი მომდერლად, მე თუ ჩემი სიმდერა არ გამიზარდა.  
თუმცა ენა გასარეკლდა, გული მისთვის გამიზარდა,  
მაგრამ მეფეთ სამსახურით ეს საზრდელად გამიზარდა.

1. *ამოიწერეთ* პირველი სტროფიდან სტრიქონი, რომელშიც ჩანს, რომ ავტორი ძალიან შეფასებას აძლევს საკუთარ თხზულებას.
2. *განმარტეთ*, რის მეშვეობით „მოიგერა“ დავითმა „მტერი“ (ციტირება დაუშვებელია!).
3. *განმარტეთ*, ვინ იგულისხმება გადატანითი მნიშვნელობით სიტყვაში „მზრდელმან“.

(3) **8. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან „შემოდამება მთაწმინდაზე“:**

ვითარი მაშინ იღუმილობა დაისადგურებს შენს არემარეს!  
რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!  
ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა,  
და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებასა!

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნადვლიანი,  
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,  
და წყნარს სადამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,  
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

1. *ამოიწერეთ* შედარება, რომელიც მიგვანიშნებს, რომ პოეტს ბუნება ტაძრად წარმოუდგება (არა უმეტეს სამი სიტყვისა).
2. *განმარტეთ*, რატომ არის პოეტისათვის ბუნებაში განმარტობა საამო.
3. *დაახსენეთ* ლიტერატურული მიმართულება, რომელსაც მიეკუთვნება ეს ტექსტი.

(3) **9. აღექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ხვეისბერი გოჩა“ ვკითხულობთ:**

ესენი ამ თავდავიწყებაში იყვნენ, როდესაც ერთბაშად გავარდა თოფი და შეყვარებულები ფეხზედ წამოცვივდნენ.

ბედნიერებით გატაცებულს და თავდავიწყებულს ონისეს მხოლოდ ესლა მოაგონდა თავისი ვალი და სამწუხარო ჭეშმარიტებამ გულზედ მწარე ჭახრაკი მოუჭირა. მის თვალწინ წუთზედ გაირბინა მლოცავი გოჩას სურათმა, მოაგონდა იმის სიტყვები და თავმოყვარეობამ ცრემლები გადმოადინა. მას თვალწინ გადაეშალა შესადრწუნებელი სურათი მისის ამხანაგების ამოჟღერისა, რომელნიც ონისეზედ დაიმედებულნი მიწოლილიყვნენ და უზრუნველად ეძინათ.

1. *განმარტეთ*, რა იგულისხმება სიტყვებში: „სამწუხარო ჭეშმარიტება“.
2. *განმარტეთ*, რა განცდას იწვევს ონისეს პიროვნებაში „მლოცავი გოჩას სურათის“ გახსენება (ციტირება დაუშვებელია!).
3. *განმარტეთ*, რა „ვალი“ უნდა ყოფილიყო ის, რომელიც „ონისეს მხოლოდ ესლა მოაგონდა“.

(3) 10. **ვაჟა-ფშაველას პოემაში „გველის მჭამელი“ ვკითხულობთ:**

– მზიავ, გულშამოყრითა ხარ  
შენ უფრო სხვებზე მეტადა;  
ქმარას თუ ჰნანობ, თვალშურთხო,  
ვერ ჰქმერობ მოსაკვლელადა,  
არა გცოდნია, რო ომსა  
ის ჰსახავს თავის ბედადა  
და მინდიაის მამკლავი  
ჯერ არ გაუხდავ დედასა.

1. *განმარტეთ*, მზიას რა სულიერი მდგომარეობა ჩანს მოცემულ მონაკვეთში (ციტირება დაუშვებელია!).
2. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც ეპითეტია გამოყენებული.
3. *განმარტეთ*, მინდიას რა თვისება ჩანს მოცემულ მონაკვეთში.

(4) 11. **კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ მეფე გიორგი ამბობს:**

„მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია. ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარის ფესვებისა, გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატნია... როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას... ოდითგანვე ასე მოგვდამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დაგვორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.

1. *ამოიწერეთ* ორი სიტყვა, რომელთა მეშვეობითაც გიორგი ასაბუთებს თავის ნათქვამს: „ვაჟკაციც ვიყავი“.
2. *განმარტეთ*, რატომ ამბობს გიორგი, რომ იგი მშიშარაც იყო.
3. *განმარტეთ*, რის გასამართლებლად სჭირდება გიორგის შემდეგი ფრაზის წარმოთქმა: „როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას“.
4. *განმარტეთ*, რა საშინაო-პოლიტიკური ვითარება იხატება გიორგის სიტყვების მიხედვით.

(2) 12. **პაოლო იაშვილის ლექსში „წერილი დედას“ ვკითხულობთ:**

ტირილი, ტირილი, ტირილი ბევრი!  
ბზის განიაგება, კალო და კევრი,  
და სოფლის სიწმინდე, მართალი ბათმანი,  
როცა მე ქალაქში მაწუხებს, მახელებს  
ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი.

1. *განმარტეთ*, რა არის სოფლის იდეალიზაციის საფუძველი.
2. *განმარტეთ*, რა განცდას იწვევს ავტორში ქალაქური ყოფა (ციტირება დაუშვებელია!).

### III. წაკითხულის გააზრება და წერიტი დავალება

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

წაკითხულის გააზრების შესრულებისას გაითვალისწინეთ: თუ თქვენ აირჩიეთ დავალება №1, აღნიშვნები პასუხების ფურცელში გადაიტანეთ საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას (დავალება №1 – ა) წაკითხულის გააზრება), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აირჩიეთ დავალება №2, აღნიშვნები პასუხების ფურცელში გადაიტანეთ №2 დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას (დავალება №2 – ა) წაკითხულის გააზრება).

#### დავალება № 1

„ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილია ხატაელ ძმებთან ავთანდილის შეხვედრის ამბავი:

ავთანდილ მიდგა, ეუბნა მათ კაცთა გულ-მდუღარეთა,

მათ უთხრეს მათი ამბავი, ტირილით მოუბარეთა:

„ჩვენ ვართო ძმანი სამნივე, მით ვიდენტ ცრემლთა მწარეთა,

ღია გვაქეს ციხე-ქალაქი ხატაეთს არე-მარეთა.

კარგი გვესმა სანადირო, ნადირობას წამოვედით,

გვევს ღაშქარნი უთვალავნი, წყლისა პირსა გარდავხედით,

სანადირო მოგვეწონა, თვესა ერთსა არ წავედით,

ვხოცდით მხეცსა უზომოსა მინდორით და მთით და ქედით.

ჩვენ სამთა ძმათა ჩვენთანა მესროლნი დავაწბილენით,

მით ერთმანერთსა სამნივე ჩვენ კიდე დავეცილენით;

„მე უკეთ მოვკალ, მე გჯობო“, სიტყვანი ვავაქილენით,

ვერ გავაჩინეთ მართალი, ვისარჩლეთ, ვითაკილენით.

დღეს ავეარენით ღაშქარნი, სავსენი ირმის ტყავითა,

ვთქვიით: „გავაჩინოთ მართალი, ვინ ვსჯობთ თავისა მკლავითა,

თავსა ვვახლნეთ მარტონი, დავდგეთ მართ ოდენ თავითა,

თვით დანახულსა მოვკლავიდეთ, ნუ ვესრვით დამნახავითა“.

ჩვენ ვიახლენით სამთავე სამნივე მეაბჯრენია,

ღაშქართა წასლვა ვუბრძანეთ, მით არას მოაზრენია,

მოვინადირეთ მინდორი, ისი ტყენი და ღრენია,

დავხოცეთ მხეცი, მფრინველი არცა ზე გარდაგვფრენია.

ანაზღად მოყმე გამოჩნდა კუშტი, პირ-გამქუშავია,

ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, – მერანი რამე, შავია, –

თავსა და ტანსა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავია,

ჯერთ მისი მსგავსი შვენება კაცთაგან უნახავია.

ვუჭვრიტეთ, მისთა ელვათა შუქნი ძლივ გავიცადენით.

ვთქვიით, თუ: „მზეაო ქვეყანად, ნუ ვეუბნებით ცად ენით!“

მისი მოგვინდა შეპყრობა, ვჰკადრეთ და შევეცადენით,

ასრე სულთქმით და ვაებით მით ვართ, ცრემლისა დადენით.

მე უხუცესმან უმცროსთა კაცი დავსთხოვე ქნებით,

ჩემმან შედეგმან ტაიჭი მისი მით აქო ხსენებით,

ამან მართ ოდენ მორეგნა გვითხრა, ვუაღლეთ ჩვენ ნებით,

მივჰმართეთ, იგი აგრევე წყნარად მივა და შვენებით.

ბროლმან, ღალსა გარეულმან, ვარდნი თხელნი ანატიფნა,

იგი ტკბილნი გონებანი ჩვენთვის მეტად გაამყიფნა:

არ აგვიხვნა, არცა დაგვსხნა, ყოლა არად ამოგვკრიფნა.

მისნი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა!

უმცროსსა ძმასა მივეციით, უფროსნი დავეზიდენით;

ხელი მოჰკიდა, „დადგო“, ესეცა ჰკადრა კიდ ენით;

მან ხრმაღსა ხელი არ მიჰყო, ჩვენ ამად დავერიდენით,

თავსა გარდაჰკრა მათრახი, ვნახეთ სისხლისა კი დენით.

მით ერთითა მათრახითა თავი ასრე გადაჰფრიწა,  
 ვითა მკედარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა,  
 მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოაწიწა,  
 თვალთა წინა წაგვივიდა ლალი, კუშტი, ამაყი, წა-!  
 აღარ დაბრუნდა, წავიდა წყნარად და აუჩქარებლად,  
 აკერა მივა, ნახეო, იგი მზეებრ და მოვარებლად“,  
 შორს უჩვენებდეს ავთანდილს მტირალნი გაუხარებლად,  
 ოდენ ჩნდა შავი ტაიჭი მისი მის მზისა მარებლად.

**ა) წაკითხულის გააზრება:**

დავალებების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

**უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:**

- (1) **13. როგორ მოხვდნენ ხატაელები იმ ადგილას, სადაც ავთანდილს შეხვდნენ?**
  - ა) სამეკობროდ იყვნენ წამოსულები.
  - ბ) სანადიროდ იყვნენ წამოსულები.
  - გ) საომრად იყვნენ წამოსულები.
  - დ) საჯირითოდ იყვნენ წამოსულები.
- (1) **14. რომელი სტრიქონი მიანიშნებს, რომ ხატაელები კარგი მოისარნი არიან?**
  - ა) „ჩვენ სამთა ძმათა ჩვენთანა მესროლნი დავაწბილენით“.
  - ბ) „მით ერთმანერთსა სამნივე ჩვენ კიდე დავეცილენით“.
  - გ) „მე უკეთ მოკვალ, მე გჯობო“, სიტყვანი ვავაქილენით“.
  - დ) „ვერ გავარჩიეთ მართალი, ვისარჩლეთ, ვითაკილენით“.
- (1) **15. რატომ დაითხოვეს ლაშქარი ხატაელმა ძმებმა?**
  - ა) მარტო დარჩენილნი რომ გამკლავებოდნენ განსაცდელს.
  - ბ) მარტო დარჩენილნი რომ შებრძოლებოდნენ უცნობს.
  - გ) მარტო დარჩენილნი რომ შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.
  - დ) მარტო დარჩენილნი რომ წასულიყვნენ სამეკობროდ.
- (1) **16. რა იგულისხმება გადატანითი მნიშვნელობით ფრაზაში: „ფრინველი არცა ზე გარდაგვ-ფრენია“?**
  - ა) ფრინველებზე არ გვინადირია.
  - ბ) ფრინველები დაუხოცავი არ გაგვიშვია.
  - გ) ფრინველები საერთოდ არ შეგვხვედრია.
  - დ) ფრინველებს თავზე არ გადაუფრენიათ.
- (1) **17. როგორი იყო, ხატაელი ძმების სიტყვით, უცნობი მხედარი?**
  - ა) გულდამშვიდებული.
  - ბ) გულნატკენი.
  - გ) გულქვა.
  - დ) გულჩათხრობილი.
- (1) **18. ტროპული მეტყველების რომელ საშუალებას იყენებს ავტორი სტრიქონში: „ვეუჭვრიტეთ, მისთა ელვათა შუქნი ძლივ გავიცადენით“?**
  - ა) გაპიროვნებას.
  - ბ) ეპითეტს.
  - გ) შედარებას.
  - დ) ჰიპერბოლას.
- (1) **19. რატომ არიან ხატაელი ძმები „სულთქმით და ვაებით“?**
  - ა) იმიტომ, რომ უცნობი მხედრის მოკვლა სცადეს.
  - ბ) იმიტომ, რომ უცნობი მხედრის შეპყრობა სცადეს.



- გ) იმიტომ, რომ უცნობ მხედართან გასაუბრება სცადეს.
- დ) იმიტომ, რომ უცნობ მხედარს ნადირობა არ დააცადეს.

(1) 20. რომელი სტრიქონი გამოხატავს აზრს: ყურადღება არ მოგვაქცია, ანგარიში არ გავვიწია, არაფრად ჩავვაგლო?

- ა) „არ აგვიხენა, არცა დაგვსხნა, ყოლა არად ამოგვეკრიფნა“.
- ბ) „ბროლმან, ლალსა გარეულმან, ვარდნი თხელნი ანატიფნა“.
- გ) „იგი ტკბილნი გონებანი ჩვენთვის მეტად გაამყიფნა“.
- დ) „მისნი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა!“

(1) 21. რომელ სტრიქონში ჩანს, რომ უცხო მხედარს ხატაელი ძმების არ ეშინია?

- ა) „ადარ დაბრუნდა, წავიდა წყნარად და აუჩქარებლად“.
- ბ) „აგერა მივა, ნახეო, იგი მზეებრ და მთვარებლად“.
- გ) „შორს უჩვენებდეს ავთანდილს მტირალნი გაუხარებლად“.
- დ) „ოდენ ჩნდა შავი ტაიჭი მისი მის მზისა მარებლად“.

(1) 22. ტარიელის რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?

- ა) გამჭრიახობა.
- ბ) მიმტვევებლობა.
- გ) შეუპოვრობა.
- დ) შორსმჭვრეტელობა.

**ბ) წერითი დავალება:**

**წერითი დავალების ინსტრუქცია:**

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულის, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გამწვანდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

*წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.*

**გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ ხატაელი მონადირეების მხატვრულ სახეთა შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, რა განაპირობებს კონფლიქტს ხატაელ მონადირეებსა და უცნობ მხედარს შორის);
- იმსჯელეთ უცნობი მხედრის მხატვრული სახის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ მის განწყობილებასა და ქცევის მოტივაციას);
- იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებითაა გამოხატული ავტორის სათქმელი. **თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

## დავალბა № 2

მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „არსენა მარაბდელი“ აღწერილია, თუ როგორ გასცა 1832 წლის შეთქმულება იესე ფალავანდიშვილმა:

ნიკომ კიბის ბაქანზე მდგომ მსახურს მიუგდო: – წადი, იას დამიძახე. ჩქარა!

მისი ძმა იესე იქვე ფლიგელში სცხოვრობდა და ხუთიოდე წუთის შემდეგ ამოვიდა... ია შესდგა და შეკრთა, მან კარგად იცოდა ძმის ხასიათი... ნიკო თითქმის დარბოდა და თავის ძმას არც კი ამჩნევდა, შემდეგ გაჯავრებით ჩაჰკეტა კარი, ძმას ზედ მიასკდა, მაჯაში სტაცა ხელი, თვალი თვალში გაუყარა და ჩააშტერდა.

– რა იყო... რა დაგემართა? – შიშნარევი ხმით ჰკითხა იესემ...

ნიკო ძმას ორივე ხელით მისწვდა მხრებში. შეანჯღრია და მიმხვალა ხრინწით ჩაუსისინა:

– ბედოვლათებო! ნაცარქექიებო! ტუტუცებო! რამ გაგაგიჟათ! ვინ გამოგიღაყათ ეგ უბადრუკი თავები! რუსის ჯარს თქვენ კი არა, ხუთი ხელმწიფეც ვერას დააკლებს. ნუ თუ აქამდე ვერაფერი დაინახეთ და ვერა გაიგეთ რა? რუსებმა ოსმალეთი თქვენს თვალწინ შემუსრეს, სპარსეთი დაახოქეს, პოლონეთი შეჰბოჭეს, ნაპოლეონიც კი დაიფრინეს და თქვენ... ახა-ხა! რა მასხრები ყოფილხართ!.. ღმერთო ჩემო... არა, მოდი და ნუ გაიცინებ.

– ნუ იცინი. – წაიღულღულა იესემ და მუხლმოჭრილი ჩაჯდა სკამზე. – ნუ იცინი მეთქი. შენ საქართველოს დასცინი, შენ...

– გაჩუმდი და ყური მიგდე. ზოგი ექიმი ავადმყოფს ნამეტანი სიყვარულით და ყბედობით მოჰკლავს, ზოგი კი ხმაგაკმენდილი მოუფლის მას და ფეხზე დააყენებს. თქვენ კი გინდათ ჩვენი ხალხი სისხლით დასცალოთ და მერმე თავი იმართლოთ, მისი განკურნება გვინდოდაო? ამგვარ ექიმს ჩამოხნობის მეტი ვერა არგებს რა. – მაგიდას ხელი დაჰკრა და ისეთი ხმით წამოიძახა, რომ მის მსმენელს, ისედაც გაფითრებულსა და მთრთოლვარეს, ყინულმა ჩაურბინა სისხლში:

– დიად, თქვენ ჩამოხნობის ღირსი ხართ და კიდევაც ჩამოგახნობენ! ჩამოგახნობთ მეთქი!..

ორჯერ-სამჯერ ჩაირბინა ოთახი, შემდეგ შესდგა, სანთლებს მოუკიდა, თავჩაქინდრულ ძმას დაჰხედა, წინ ჩამოუჯდა, ღმობიერად ჩამოართვა ხელი და ღმობიერივე ხმით უთხრა:

– ჩხუბი არაფერს გვარგებს. მე და შენ ერთი მუცლისანი ვართ და ერთგულად უნდა გავიცანოთ ერთმანეთი. ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო. დაგივიწყოთ, რაც აქამდე უსიამოვნება გვქონია და ერთმანეთს ვუშველოთ... გამაგებინე, ეს საქმე ვინ დაიწყო, როდის დაიწყო, რა გააკეთეთ და როგორ აპირებთ ამ საქმის მოგვარებას.

იესე ოღნავ მოცოცხლდა. თავჩაღუნულმა დაიწყო და თავაწეულმა განაგრძო, მაგრამ ხმა ვეღარ იპოვა და ისევე მოდუნებით ლულულღებდა... და როცა ნიკომ თავის ძმა დაპირქვავებული კოკასავით დააცალიერა, მუხლზე ხელი დაიდო და უთხრა:

– მაიორ არლოვს ასიოდე მოენე ჰყავს ბორჩალოში. ზოგი მათგანი ჩემი დოსტიც არის და აქედანაც იღებენ ჯამაგირს. დღეს საღამოს ჟამს ერთ-ერთ მათგანს შევხვდი და მითხრა, მთელმა ბორჩალომ იცის, რომ რამდენიმე დღეში აჯანყებამ უნდა იფეთქოსო.

იესე შეკრთა და ფერი წედანდელზე უარესად ეცვალა...

– მე ვკითხე, არლოვმაც იცის მეთქი? იმან მიპასუხა: ჯერ არა, პირველად თქვენ მოგახსენეთ და იმას დღეს საღამოს ვეახლებიო. ახლა ხომ გესმის? გაიგე რა მახეში გაებით?

იესეს აღარ ესმოდა რა. ტვინი აუღულდა, სისხლი აერია და ცივი კანკალი აუვარდა...

– მესმის. – ჩაიკნავლა შეთქმულმა. – მესმის, მაგრამ...

მაგრამ ცხადზე-უცხადესი იყო, რომ მას აღარც რაიმე ესმოდა და არც ნებისყოფის ნატამალი შერჩენოდა. მოშვებული, პირდაღებული და თვალგაყინული მიჰშტერებოდა ძმას და უსიტყვოდ ეკითხებოდა: რას მირჩევ? რა ვუყო? როგორ მოვიქცეო?..

– მეტი გზა არა გაქვს, უნდა დაასწრო. – ჩაუღვარა მან პირველი წვეთი.

– რაო? დავასწრო? ვის დავასწრო?

– იმას, მოენეს, არლოვს... თორემ ის დავასწრებთ და... ია, ნუ გეშინიან. მე მომენდე. ყველას აუხსნინი და დავაჯერებ, რომ შენ უბრალო ხარ.

– უბრალო ვარ! ღმერთი, რჯული, უბრალო ვარ და ავად ნუ მომიხსენებენ... ვაი მე დედავ! რა უბრალოდ ვიღუპები!.. გადავრჩები? რა ოხრად მინდა გადავრჩენა! ნეტა ჩამომახნობდნენ და მეტი არა მინდა რა.

– ნუ მიჰქარავ მეთქი! – ძმურად მოუღობო ხმას ნიკომ. – არაფერიც არ იქნება. გადავასახლებენ, იქ სამსახურს მოგცემენ, ხუთიოდე წლის შემდეგ დაგაბრუნებენ და ისეთ წარჩინებაში შესვალთ, რომ ეს ამბავი სიზმრადაც ძლივს მოგეჩვენებათ... ოღონდ... ოღონდ... გონიერება უნდა მოიკრიბო და არლოვს უნდა დაასწრო, თორემ...

– ვის... ვისთან უნდა მივიდე? – მომაკვდავივით ამოისუნთქა იესემ.

– გენერალ ვოლხოვსკისთან მიხვალ, ზრდილობიანი კაცია და ყველაფერს ადვილად გაიგებს... თუმცა სჯობს მე თვითონვე გამოვყვე. მაშ ნუ შეშინდები. აბა, წავიდეთ...

ათიოდე წუთის შემდეგ იესე ქურდივით შეიპარა მთავარ შტაბში. ნიკოც მაშინვე შევიდა და გენერალი იკითხა:

– თქვენო მაღალადმატებულებავ, – ეუბნებოდა ქლესა ხმით შტაბის გამგეს მისალმებისა და დაბრძანების შემდეგ გუბერნატორი, – მე და ჩემს ძმას იმპერატორისადმი ერთგულებამ და სამშობლოსადმი სიყვარულმა გაგვაბედვინა თქვენი უდროო შეწახება. ჩემს ძმას უდიდესი და უპატივებელი ცოდვა ჩაუდენია და ჰსურს წრფელი გულით მოინანიოს იგი. მეც დავეხმარე, შევაგნებინე და მოგიყვანეთ. დანარჩენს ის მოგახსენებთ... ოღონდ ერთი სათხოვარი უნდა გკადროთ და იმედია შემისრულებთ: საჭირო არ არის გაიგოს ვინმემ გარდა უზენაესი მთავრობისა, რომ ჩემი ძმა მე თვითონვე მოგიყვანეთ. დანარჩენს თვითონ ჩემი ძმა მოგახსენებთ, რომელიც... ღმერთმა დამსაჯა და ძმად მარგუნა...

ცრემლი მოიხოცა... ოთახიდან გამოვიდა და კედელზე ატეხულ ძმას უთხრა:

– ყველაფერი მზად არის... გენერალი გიცდის და შედი.

იესე გასაქცევად მოსხლტა: – ნიკო, რას მიშვრები? ძმა ხარ და შემიბრალებ...

ნიკომ არ შეიბრალა და ღვიძლი ძმა დასაკლავი ხარით შეუგდო გენერალს. შეუგდო და რომის იმ სენატორივით გამოვიდა გარეთ, ვინც ეს არის ახლა უმძიმესი და უზენაესი ვალი მოიხადა ცეზარისა და სამშობლოს წინაშე. გამოვიდა და ერთი წუთით რომაულ ტოგას მაგივრად ოქრომკვდით მოქარგული რუსული სენატორის მუნდირი მოელანდა.

იქ კი, შიგნით, გენერლის წინაშე მისი ღვიძლი ძმა შეტორტმანდა. გულწასულივით დაეშვა სკამზე და კაემნით საესე თვალები იატაკს ჩააბჯინა.

– აბა, დავიწყოთ. – ინება ბოლოს გენერალმა...

ერთი საათის შემდეგ მანამდე მიყუჩებულმა შტაბმაც დაიწყო გამოცოცხლება, ხოლო შუადამისას ისე აიბურძგნა, თითქო ომი დაწყებულიყო. ბნელ ქუჩებში ცხენოსანი ყაზახები დაჰქროდნენ, ნამძინარევი აფიცრები შტაბისკენ გამორბოდნენ, ბრძანებას ისმენდნენ, აქედან სალდათებისა და ჟანდარმების მცირე გუნდები მოჰყავდათ და იქიდან დაპატიმრებული ორბელიანები, ერისთავები, ყველა მეთაურები და მათი მოზიარენიც მოჰყავდათ.

#### ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

#### უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

(1) 13. რატომ შეკრთა იესე ძმის დანახვაზე?

- ა) შეატყო, რომ ძმა განრისხებული იყო.
- ბ) შეატყო, რომ ძმა გულდაწყვეტილი იყო.
- გ) შეატყო, რომ ძმა სასოწარკვეთილი იყო.
- დ) შეატყო, რომ ძმა შეურაცხყოფილი იყო.

(1) 14. რის თქმა სურს ნიკო ფალავანდიშვილს ფრაზით: „რუსის ჯარს... ხუთი ხელმწიფეც ვერას დააკლებს“?

- ა) ნიკო ფალავანდიშვილის აზრით, რუსეთის ჯარი დამპყრობელია.
- ბ) ნიკო ფალავანდიშვილის აზრით, რუსეთის ჯარი მრავალრიცხოვანია.
- გ) ნიკო ფალავანდიშვილის აზრით, რუსეთის ჯარი უძლეველია.
- დ) ნიკო ფალავანდიშვილის აზრით, რუსეთის ჯარი სასტიკია.

(1) 15. რატომ „ჩაურბინა“ იესეს „ყინულმა სისხლში“?

- ა) იგრძნო, რომ გამოსავალი იპოვა.
- ბ) იგრძნო, რომ საფრთხე აიცილა.
- გ) იგრძნო, რომ საფრთხე დაემუქრა.
- დ) იგრძნო, რომ წამება ელოდა.

- (1) 16. რას გულისხმობს ნიკო ფალავანდიშვილი სიტყვებში: „ერთი მუცლისანი ვართ“?
- ათასობით თანამემამულე უნდა დავიცვათ.
  - განსაცდელში ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ.
  - ნათესაობას ქვეყანა არ უნდა გადავაყოლოთ.
  - სამშობლოსათვის თავი უნდა გავწიროთ.
- (1) 17. რა მიზნით ახსენებს ნიკო ფალავანდიშვილი მაიორ არლოვსა და მის მოწინააღმდეგეებს?
- სურს, იესე დასმენაზე დაიყოლიოს.
  - სურს, იესეს ერთგულება დაუმტკიცოს.
  - სურს, იესეს მდგომარეობა შეუმსუბუქოს.
  - სურს, იესე წამებისაგან იხსნას.
- (1) 18. რა მიზანი ამოძრავებს იესეს, როცა ამბობს: „ღმერთი, რჯული, უბრალო ვარ“?
- სურს გაამართლოს საკუთარი საქციელი.
  - სურს დაგმოს საკუთარი საქციელი.
  - სურს დამალოს საკუთარი საქციელი.
  - სურს მონიანი საკუთარი საქციელი.
- (1) 19. რატომ სურს ნიკო ფალავანდიშვილს, რომ გენერალთან ძმის მიყვანა „უზენაესმა მთავრობამ“ გაივლოს?
- სურს, მისი როლი შეთქმულების გაცემაში საზოგადოებამ დააფასოს.
  - სურს, მისი როლი შეთქმულების გაცემაში შთამომავლობამ დააფასოს.
  - სურს, მისი როლი შეთქმულების გაცემაში ძმამ დააფასოს.
  - სურს, მისი როლი შეთქმულების გაცემაში ხელისუფლებამ დააფასოს.
- (1) 20. რომელი ფრაზა გამოხატავს ნიკო ფალავანდიშვილის ქცევის მოტივაციას?
- „ნიკომ არ შეიბრადა... ღვიძლი ძმა“.
  - „რომის... სენატორივით გამოვიდა გარეთ“.
  - „უმძიმესი და უზენაესი ვალი მოიხადა“.
  - „რუსული სენატორის მუნდირი მოეღიბა“.
- (1) 21. რა არის ბოლო აბზაცის მთავარი აზრი?
- მოდალატე მოკლეს.
  - ომი დაიწყო.
  - რეპრესიები დაიწყო.
  - შეთქმულები დახოცეს.
- (1) 22. იესეს რა თვისებები ჩანს ამ ტექსტში?
- სიმამაცე და უპასუხისმგებლობა.
  - სიმხდალე და უპრინციპობა.
  - სიფიცხე და უპრინციპობა.
  - სიჯიუტე და უპასუხისმგებლობა.

**ბ) წერითი დავალება:**

**წერითი დავალების ინსტრუქცია:**

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებულნი, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.**

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გამწვანდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამომვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

*წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.*

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- დაახასიათეთ ნიკო ფალავანდიშვილი და იმსჯელეთ მისი ქცევის მოტივაციის შესახებ.
- დაახასიათეთ იესე ფალავანდიშვილი და იმსჯელეთ მისი ქცევის მოტივაციის შესახებ.
- იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებითაა გამოხატული ამ ტექსტის მთავარი სათქმელი. **თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

**შავი სამუშაოსათვის**

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

A series of horizontal dashed lines spanning the width of the page, intended for writing or drawing.

A series of horizontal dashed lines spanning the width of the page, intended for writing or drawing.





# ქართული ენა და ლიტერატურა

## IV ვარიანტი (შეფასების სქემა)

### ქართული ენა

1. 1. – თ); 2. – ი); 3. – ა); 4. – ე).
2. I შეცდ. 4, 5, 6, 7, 8; II უშეცდ. 1, 2, 3, 9, 10.
3. კატეხის ოჯახის პანტერათა სახეობას მიეკუთვნებიან შემდეგი მტაცებლები: ლომი, იაგუარი, ვეფხვი და ლეოპარდი. ამათგან ოჯახებად მხოლოდ ლომები ცხოვრობენ. ოჯახს მართავს ყველაზე ძლიერი ლომი. ბოკვერი სამ თვემდე მხოლოდ ძუძუს წოვს. თითოეული მათგანის აღზრდაზე მთელი ოჯახი ზრუნავს. ძუ ლომები, რომლებსაც მონადირის მოვალეობები აკისრიათ, ხვადებზე უფრო სწრაფები არიან. ნადირობისას ერთი ან ორი ლომი ფეხდაფეხ მისდევს მსხვერპლს და იმ ადგილამდე მიჰყავს, სადაც ლომების ჯგუფია ჩასაფრებული. ლომს ძალიან ხშირი ფაფარი აქვს, რომელიც მას მტერთან შეტაკებისას იცავს.  
ვერ უგულებელვყოფთ იმ ფაქტს, რომ ამ მრისხანე ცხოველს საფრთხეს მხოლოდ ადამიანი უქმნის.

### ქართული ლიტერატურა

5. სამი სიტყვა, რომლებიც აღნიშნავს ქრისტიანული სამყაროს განაპირა მხარეს, არის: „ყურესა ამას ქუეყანისასა“ (დასაშვებია აგრეთვე – „ვართ ყურესა... ქუეყანისასა“). „გარდადრიენეს გზისაგან სიმართლისა“ ნიშნავს: გადაიბირეს (სარწმუნოება შეაცვლევინეს, ქრისტიანებს რწმენა შეურყიეს...). ავტორი იმოწმებს იმ ფაქტს, რომ ქართველებმა ხუთასი წლის წინ – ან უფრო ადრეც – მიიღეს ქრისტიანობა.  
1. *ყურესა ამას ქუეყანისასა* \_\_\_\_\_ 1ქ  
2. *გადაიბირეს* \_\_\_\_\_ 1ქ  
3. *ქართველებმა სულ ცოტა ხუთასი წლის წინ მიიღეს ქრისტიანობა* \_\_\_\_\_ 1ქ
6. ფატმანმა იმიტომ არ გაანდო თავისი საიდუმლო უსენს, რომ ეშინოდა, ქმარს არ გაემჟღავნებინა ნესტან-დარეჯანის ამბავი (იმიტომ, რომ უპირო, არასაიმედო კაცი იყო). სამეფო კარს აღნიშნავს სიტყვა „დარბაზი“. ნესტანის დამადღვის გამო ქმარს შეიძლებოდა მოეკლა ფატმანი (მკაცრად დაესაჯა იგი). ტექსტის ამ მონაკვეთში ჩანს ფატმანის შეშფოთება (ორჭოფობა, მღელვარება, შიში...).  
1. *საიდუმლო მეფისთვის არ გაემჟღავნებინა* \_\_\_\_\_ 1ქ  
2. *დარბაზი* \_\_\_\_\_ 1ქ  
3. *შეიძლებოდა მოეკლათ* \_\_\_\_\_ 1ქ  
4. *შეშფოთება* \_\_\_\_\_ 1ქ
7. „იმას შვილად ვერვინა სჯობს, დავით ვინც ძედ მოიგერა“. დავითმა „მტერი“ „მოიგერა“ საკუთარი შემოქმედების (თხზულების, ნაწარმოებების) მეშვეობით. სიტყვაში „მზრდელმან“ იგულისხმება უფალი (უზენაესი, მაცხოვარი).  
1. *იმას შვილად ვერვინა სჯობს, დავით ვინც ძედ მოიგერა* \_\_\_\_\_ 1ქ  
2. *საკუთარი პოეზიის მეშვეობით* \_\_\_\_\_ 1ქ  
3. *ღმერთი* \_\_\_\_\_ 1ქ
8. შედარება, რომელიც მიგვანიშნებს, რომ პოეტს ბუნება წმინდა ტადრად წარმოუდგება, არის: „ვით გუნდრუკსა სამადლობელსა“ (დასაშვებია აგრეთვე – „და ვით გუნდრუკსა“). პოეტისათვის ბუნებაში განმარტობა საამო იმიტომ არის, რომ ბუნება მისი განცდების თანაზიარია (ბუნება თანაუგრძნობს, როგორც მეგობარი...). ეს ტექსტი მიეკუთვნება რომანტიზმის ლიტერატურულ მიმართულებას.  
1. *ვით გუნდრუკსა სამადლობელსა* \_\_\_\_\_ 1ქ  
2. *ბუნება მისი განცდების თანაზიარია* \_\_\_\_\_ 1ქ  
3. *რომანტიზმს* \_\_\_\_\_ 1ქ

9. სიტყვებში „სამწუხარო ჭეშმარიტება“ იგულისხმება ის, რომ ონისეს დაავიწყდა საკუთარი მოვალეობა (მისი თავდავიწყების გამო მტერმა მოხვევები დახოცა; ონისეს მიერ ჩადენილი უნებლიე დაღატი). ონისეს პიროვნებაში „მლოცავი გოჩას“ გახსენება სინდისის ქენჯნას (სინანულს, სასოწარკვეთილებას, შეძრწუნებას...) იწვევს. ის „ვალი“, რომელიც „ონისეს მხოლოდ ეხლა მოაგონდა“, გუშაგობა (ყარაულობა, საფრთხის შესახებ მეგობრების გაფრთხილება) უნდა ყოფილიყო.

1. მოვალეობის დავიწყება \_\_\_\_\_ 1ქ
2. სინდისის ქენჯნას \_\_\_\_\_ 1ქ
3. გუშაგობა \_\_\_\_\_ 1ქ

10. მოცემულ მონაკვეთში ჩანს მზიას შემფოთება (აღვლევება, წუხილი, შიში...). სტრიქონი, რომელშიც ეპითეტია გამოყენებული, არის: „ქმარას თუ ჰნანობ, თვალშურთხო“. მოცემულ მონაკვეთში ჩანს მინდიას ვაჟკაცობა (უძლეველობა, შეუპოვრობა, სიმტკიცე...).

1. შემფოთება \_\_\_\_\_ 1ქ
2. ქმარას თუ ჰნანობ, თვალშურთხო \_\_\_\_\_ 1ქ
3. ვაჟკაცობა \_\_\_\_\_ 1ქ

11. ორი სიტყვა, რომელთა მეშვეობითაც გიორგი ასაბუთებს თავის ნათქვამს „ვაჟკაციც ვიყავი“, არის: „კეისარს ვებრძოდი“. გიორგი ამბობს, რომ მშიშარაც იყო, რადგან ეშინოდა ხვიარის ფესვებისა. გიორგის იმის გასამართლებლად სჭირდება შემდეგი ფრაზის წარმოთქმა: „როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას“, რომ სურს გაამართლოს საკუთარი წარუმატებელი პოლიტიკა. გიორგის სიტყვების მიხედვით იხატება შინააშლილობა (შუღლი, გაუტანლობა, ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ).

1. კეისარს ვებრძოდი \_\_\_\_\_ 1ქ
2. ეშინოდა ხვიარის ფესვებისა \_\_\_\_\_ 1ქ
3. საკუთარი დამარცხებების გასამართლებლად \_\_\_\_\_ 1ქ
4. შინააშლილობა \_\_\_\_\_ 1ქ

12. სოფლის იდეალიზაციის საფუძველია მისი სიწმინდე (შეურყენელობა, სიმართლე...). ავტორში ქალაქური ყოფა იწვევს გაღიზიანებას (წუხილს, სოფლის ნოსტალგიას, გაუცხოებას, სიყალბის განცდას...).

1. სიწმინდე \_\_\_\_\_ 1ქ
2. გაღიზიანებას \_\_\_\_\_ 1ქ

## წაკითხულის გააზრება

### (დავალება №1)

- |                |                |                |                |                |
|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| 13. ბ) -----1ქ | 14. ა) -----1ქ | 15. გ) -----1ქ | 16. ბ) -----1ქ | 17. დ) -----1ქ |
| 18. დ) -----1ქ | 19. ბ) -----1ქ | 20. ა) -----1ქ | 21. ა) -----1ქ | 22. გ) -----1ქ |

### (დავალება №2)

- |                |                |                |                |                |
|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| 13. ა) -----1ქ | 14. გ) -----1ქ | 15. გ) -----1ქ | 16. ბ) -----1ქ | 17. ა) -----1ქ |
| 18. ა) -----1ქ | 19. დ) -----1ქ | 20. დ) -----1ქ | 21. გ) -----1ქ | 22. ბ) -----1ქ |

**№ 4 დავალების შეფასების კრიტერიუმები**  
(საერთო ოთხივე ვარიანტისათვის)

მაქსიმალური ქულა – 12.

**I. კრიტერიუმი**

| №  | ტექსტის ორგანიზება  | ქულები                     |
|----|---|----------------------------|
| 1. | ტექსტი <i>ორგანიზებულია</i> და პასუხი გაცემულია <i>სამივე</i> მითითებაზე.   | 3                          |
| 2. | ტექსტი <i>ორგანიზებულია</i> და პასუხი გაცემულია <i>ორ</i> მითითებაზე ან პასუხი გაცემულია <i>სამივე</i> მითითებაზე, მაგრამ ტექსტი <i>არ არის</i> სათანადოდ ორგანიზებული.           | 2                          |
| 3. | ტექსტი <i>ორგანიზებულია</i> , მაგრამ პასუხი გაცემულია მხოლოდ <i>ერთ</i> მითითებაზე ან პასუხი გაცემულია <i>ორ</i> მითითებაზე, მაგრამ ტექსტი <i>არ არის</i> სათანადოდ ორგანიზებული. | 1                          |
| 4. | ტექსტი <i>არ არის</i> სათანადოდ ორგანიზებული და პასუხი გაცემულია მხოლოდ <i>ერთ</i> მითითებაზე ან/და დავალება არაადეკვატურადაა გაგებულნი.  | 0<br>ნაწერი არ<br>სწორდება |

**II. კრიტერიუმი**

| №  | დასაბუთება  | ქულები |
|----|---|--------|
| 1. | <i>კარგად</i> არის დასაბუთებული <i>სამივე</i> მითითება.   | 3      |
| 2. | <i>კარგად</i> არის დასაბუთებული <i>ორი</i> მითითება და მესამე – <i>ნაწილობრივ</i> .   | 2      |
| 3. | <i>კარგად</i> არის დასაბუთებული <i>ერთი</i> მითითება და <i>ნაწილობრივ</i> არის დასაბუთებული დანარჩენი ორიდან <i>ერთი მაინც</i> ან <i>ორი</i> მითითება <i>კარგად</i> არის დასაბუთებული, მაგრამ <i>ერთი</i> საერთოდ <i>არ არის</i> შესრულებული. | 1      |
| 4. | <i>ნაწილობრივ</i> არის დასაბუთებული <i>სამივე</i> მითითება ან <i>კარგად</i> არის დასაბუთებული მხოლოდ <i>ერთი</i> მითითება, დანარჩენი <i>ორი</i> საერთოდ <i>არ არის</i> შესრულებული.   | 0      |

**III. კრიტერიუმი**

| №  | ლექსიკა და სტილი  | ქულები |
|----|---|--------|
| 1. | ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება. გვხვდება ორიოდ სტილისტური ხარვეზი. | 2      |
| 2. | ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება სტილისტური ხარვეზები.  | 1      |
| 3. | ნაშრომი სტილისტურად გაუმართავია.  | 0      |

#### IV. კრიტერიუმი

| №  | მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი              | ქულები |
|----|---|--------|
| 1. | არ არის დაშვებული <i>ორზე მეტი</i> შეცდომა.   | 3      |
| 2. | არ არის დაშვებული <i>ოთხზე მეტი</i> შეცდომა.  | 2      |
| 3. | არ არის დაშვებული <i>ექვსზე მეტი</i> შეცდომა. | 1      |
| 4. | დაშვებულია <i>ექვსზე მეტი</i> შეცდომა.        | 0      |

#### V. კრიტერიუმი

| №  | პუნქტუაცია                                   | ქულები |
|----|--|--------|
| 1. | არ არის დაშვებული <i>სამზე მეტი</i> შეცდომა. | 1      |
| 2. | დაშვებულია <i>სამზე მეტი</i> შეცდომა.        | 0      |

**წერიტი დავალების შეფასების კრიტერიუმები**  
(საერთო ოთხივე ვარიანტისათვის)

წერიტი დავალების მაქსიმალური ქულაა **25**. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.

თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

**I კრიტერიუმი**

| <b>№</b> | <b>დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება</b>  | <b>ქულები</b>                          |
|----------|--|--|
| 1.       | დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული, ტექსტი ღრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.          | <b>4</b>                               |
| 2.       | დავალების პირობა და ტექსტი ადეკვატურადაა გაგებული.   | <b>3</b>                               |
| 3.       | დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული, თუმცა ერთ შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან ტექსტის არაადეკვატური გაგება. | <b>2</b>                               |
| 4.       | <i>ერთზე მეტ</i> შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული.  | <b>1</b>                               |
| 5.       | ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული.  | <b>0</b><br>ნაწერი<br>აღარ<br>სწორდება |

**II კრიტერიუმი**

| <b>№</b> | <b>ნაშრომის აგება</b>  | <b>ქულები</b> |
|----------|--|---------------|
| 1.       | ნაშრომი უპასუხებს <i>სამივე</i> მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.                     | <b>3</b>      |
| 2.       | ნაშრომი უპასუხებს <i>სამ</i> მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს <i>ორ</i> მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. | <b>2</b>      |
| 3.       | ნაშრომი უპასუხებს <i>ორ</i> მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს <i>ერთ</i> მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. | <b>1</b>      |
| 4.       | ნაშრომი უპასუხებს <i>ერთ</i> მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.  | <b>0</b>      |

### III კრიტერიუმი

| №  | <i>მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება</i>  | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | მსჯელობა <i>სამივე</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია (არგუმენტირებულია) და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.  | 6             |
| 2. | მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.  | 5             |
| 3. | მსჯელობა <i>ორი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდვე წინადადებითაა გადმოცემული).  | 4             |
| 4. | მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>ორ</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.   | 3             |
| 5. | მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, <i>მეორე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდვე წინადადებითაა გადმოცემული).   | 2             |
| 6. | <i>სამივე</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.  | 1             |
| 7. | <i>ორი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა <i>ერთი</i> მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არაადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული. | 0             |

### IV კრიტერიუმი

| №  | <i>ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება</i>   | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის <i>არაერთი</i> მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.   | 2             |
| 2. | ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის <i>ერთი</i> მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითით.  | 1             |
| 3. | ნაშრომში <i>გამოყოფილია</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ არ არის დასაბუთებული კონკრეტული მაგალითებით; ანდა ნაშრომში არ არის <i>გამოყოფილი</i> ტექსტის მხატვრული თავისებურებები. | 0             |

### V კრიტერიუმი

| №  | <i>დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება</i>  | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.  | 3             |
| 2. | ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.   | 2             |
| 3. | ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება. | 1             |
| 4. | ნაშრომში <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე <i>არ</i> გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.  | 0             |

### VI კრიტერიუმი

| №  | <i>ფაქტობრივი შეცდომები</i>                           | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში <i>არ არის</i> დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა. | 1             |
| 2. | ნაშრომში <i>დაშვებულია</i> ფაქტობრივი შეცდომა.        | 0             |

### VII კრიტერიუმი

| №  | <i>ლექსიკა და სტილი</i>   | <i>ქულები</i> |
|----|---|---------------|
| 1. | ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდ სტილისტური ხარვეზი. | 2             |
| 2. | ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.  | 1             |
| 3. | თხზულება სტილისტურად გაუმართავია.   | 0             |

### VIII კრიტერიუმი

| <i>№</i> | <i>სინტაქსური კონსტრუქციები</i>                          | <i>ქულები</i> |
|----------|--|---------------|
| 1.       | ნაშრომში დაშვებულია <i>ერთი</i> სინტაქსური შეცდომა.      | <b>2</b>      |
| 2.       | ნაშრომში დაშვებულია <i>ორი</i> სინტაქსური შეცდომა.       | <b>1</b>      |
| 3.       | ნაშრომში დაშვებულია <i>ორზე მეტი</i> სინტაქსური შეცდომა. | <b>0</b>      |

### IX კრიტერიუმი

| <i>№</i> | <i>მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია</i>     | <i>ქულები</i> |
|----------|---|---------------|
| 1.       | არ არის <i>ოთხზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.     | <b>2</b>      |
| 2.       | არ არის <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.    | <b>1</b>      |
| 3.       | დაშვებულია <i>ცხრაზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა. | <b>0</b>      |